გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
5 ნოემბერი **შაბათი** 2011
№ 261 (13 558) ფასი 80 თეთრი

# ერთი ბრინჯაო




10

ლაშა შავდათუაშვილი (მარცხნივ) კეიპტაუნის კვარცხლბეკზე

# დღეს არმია ფინალიაია

## ავჭალაში ყველა ბილეთი გაყიდულია



13



## ოქროს ბუცი პატრონმა ჩაიბარა

გასულ სეზონში „რეალის“ პორტუგალიელმა სუპერვარსკვლავმა **კრიშტიანო რონალდომ** 40 გოლი გაიტანა და ევროპის ბომბარდირი გახდა, თუმცა კუთვნილი „ოქროს ბუცი“ მან მხოლოდ გუშინ მიიღო. რონალდომ პრესტიჟული პრიზი ფეხბურთის ორი ლეგენდისგან, **ეუსებიოსა** და **ალფრედო დი სტეფანოსგან** ჩაიბარა.

# ინტრიგა, რომელიც შეიქმნა დინამომ

## ხვალ მეცამეტე ტურია და, ვინმემ არა თქვას, 13 მართლა თარსიაო

3-4



2011 წლის 14 აგვისტო.
დინამო-ვიტ ჯორჯია 2:0

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი. XIII ტურის წინათქმა

ინგლისი
**სიტი და დიდი რბოლა**
ლიდერს ლონდონერი რეინჯერსი გამოცდის



გენუაში ფეხბურთი არ იქნება

იტალია
**სამხრეთი VS ჩრდილოეთი**
ჯენოა-ინტერი გადაიდო, ლიგურიაში წყალდიდობაა

გერმანია
**ჩემპიონი მგლების ხროვაში**
ბასტიანს წელს ველარ ვნახავთ

ესპანეთი
**დერბების ტური**
რეალი და ლიდერთა რისხვა

საფრანგეთი
**ლე ბლეს დებიუტანტი**
ანტიგლობალისტების შეეშინდათ

ევროუქმეების წინ 5-9

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხელი თემა

# მამუკა წერეთელი
# ქეცბაიას თანადგომა სჭირდება და არა სარმები

**საქართველოს ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა მამუკა წერეთელმა კარიერა ნაადრევად დაასრულა, მაგრამ ფეხბურთთან კავშირი არ გაუწყვეტია, ახლა აფრიკის ქვეყნებში სამენეჯერო საქმიანობას ეწევა.**

**თუმცა დღევანდელ ინტერვიუში მის საქმიანობაზე სიტყვაც არ ითქმება: წერეთელი თავად დაგვიკავშირდა და ეროვნული ნაკრების მწვრთნელის მხარდაჭერა დააფიქსირა:**

- თემურ ქეცბაია ნაკრებში თამაშისას გავიცანი და ეროვნულის მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ მხოლოდ ერთხელ ვნახე. მაგრამ არ შემიძლია გულგრილად ვუყურო, შესარჩევი ციკლის შემდეგ რა ზეწოლას განიცდის.

მრჩება შთაბეჭდილება, რომ ვიღაცას მისი დარჩენა ხელს არ აძლევს. ცხადია, კრიტიკაც ისმის, რაც ბუნებრივია და ასეც უნდა იყოს. მესმის მედიისაც, რომელიც ნაკრებში მიმდინარე მოვლენების შეფასებას და ნაკლის წარმოჩენას ცდილობს, მაგრამ ზომიერებაა საჭირო, ადამიანს უსამართლოდ გული რომ არ ვატკინოთ.

**- მედია ვერც ქეცბაიას მხარეს დაიჭერს და ვერც მისი კრიტიკოსებისას. მაგრამ კრიტიკული აზრის გამო ფეხბურთელს რედაქციის კარს ვერ ჩავუკეტავთ, ეს ისევ ქეცბაიას სჭირდება.**

- მერე, ვინმე საწინააღმდეგოს ამბობს? მედიას თავისი ადგილი და როლი აქვს და განსხვავებული აზრი უნდა დააფიქსიროს, მაგრამ კრიტიკა უნდა იყოს მეგობრული და არა ჩასაფრებულის პოზიციიდან – ამაში მედიას ნამდვილად არ ვგულისხმობ. თემურს დიდი ხანია, ვიცნობ და ვიცი, რა გულის კაცია - ნაკრებშიც ერთ-ერთი ყველაზე გულიანი ფეხბურთელი იყო.

რა დამავიწყებს, საბერძნეთს თბილისში რომ შევხვდით და 1:2 წავაგეთ, მუხლი საშინლად აწუხებდა, წყალი ამოუღეს და ამის მიუხედავად, მოედანზე გასვლა დაიჟინა, ითამაშა და გოლიც გაიტანა.

უკრაინასთან თბილისში ამხანაგური შეხვედრა წავაგეთ და კაცს თვალზე ცრემლი მოადგა, გამწარდა, გაგიჟდა, ყველა დაგვცეცხლა, ხალხი პურის ფულით ბილეთს ყიდულობს, იმედით გვიყურებს და ასე უჯიგროდ როგორ თამაშობთო. კი ბატონო, ემოციურია, მაგრამ იმიტომ, რომ ქვეყანა უყვარს და მისი ღირსების შელახვა და წაგება აღიზიანებს.

18 თუ 19 წლის ვიყავი, ნაკრებში მის გვერდით რომ ვთამაშობდი და იცით, მისი ბრძოლის ჟინი და მონდომება როგორი გადამდები იყო?! მოედანზე მეც იმ განწყობით გავდიოდი, რომ ქეცბაიასავით გულიანად მეთამაშა.

ძალიან არ მინდა, ვიღაცამ ბინძური ხერხებით ჩამოიშოროს და ხაზი გადაუსვას იმ დამსახურებას, რაც მას საქართველოს წინაშე აქვს.

როდესაც ნაკრები ჩაიბარა, მას შემდეგ ერთადერთხელ ვნახე, ისიც შემთხვევით და ვკითხე, თემურ, რამ გადაგრია, რატომ ჩამოხვედი, აქ შეგჭამენ-მეთქი. რა ვქნა, საქართველოს როგორ არ დავეხმარო, სხვაგვარად არ შემეძლოო. არადა, გამიგია, ძალიან სარფიან წინადადებებზე უთხრა უარი ევროპელებს, კვიპროსზე კი საქმე ჰქონდა აწყობილი და ხელის გულზე ატარებდნენ.

კუნძულზე მეც ვთამაშობდი და ასე მეგონა, ფეხბურთელი და მწვრთნელი კი არა, კვიპროსის გმირი იყო. ახლაც თამამად ვიტყვი, საქართველოს ნაკრებში ასეთ მწვრთნელს ვერ მოვძებნით. და თუ გუნდს შედეგები არ აქვს, მხოლოდ ქეცბაიას ნუ დავაბრალებთ. დღეს ქართული ფეხბურთი ისეთ მდგომარეობაშია, მას შველა სჭირდება და არა ცაში ფრენა. რა, ევრო 2012-ზე გასვლა შეგვეძლო და ქეცბაიამ შეგვიშალა ხელი? დიდი ხანია, რაც ასეთი მაგრები გავხდით? ბოლო წლებში პირველად ნაკრების იმედი ქეცბაიამ გააღვიძა და ისევ მას დავეძგერეთ. აი, ეს მაღიზიანებს, თორემ კრიტიკა რომ საჭირო და აუცილებელია, ორი აზრი არ არის..

**- ქეცბაიას დამსახურებას ვერავინ წაართმევს, მაგრამ, ფეხბურთელებთან მეტისმეტად ხისტიაო.**

- თემური დიპლომატი არ არის, მაგრამ სჯობს, ხისტი იყოს და ქვეყანა უყვარდეს, ვიდრე რბილი ხასიათით ფეხბურთელებს თავი შეაყვაროს და ნაკრები მიშვებული დარჩეს. კარგად მახსოვს, ნაკრებში რაც ხდებოდა, ხალხი შეკრებაზე ჩამოდიოდა და ვარჯიშებზე სახლიდან დადიოდა. ასეთი თავნებობა თემურთან არ გავა — თუ გუნდში დისციპლინა არ არის, წარმატება არ იქნება. მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რომ სიმკაცრე ბევრს არ უყვარს.

**- ჯგუფში ბოლოდან მეორე ადგილი შედეგია?!**

- ამას არავინ ამბობს, მაგრამ ყველაფერი შედარებითია – ავად გასახსენებელ წინა ციკლში გუნდმა 3 ქულა დააგროვა და ხალხს ფეხბურთი შეაზიზღა. ამის შემდეგ ერთი შეხვედრაც არ წაუგია სამარცხვინოდ და ეს არის ოდნავი წინსვლა, თორემ წარმატება ევროფინალში გასვლაა, რად უნდა ამას მტკიცება.

მეტისმეტად ემციურიაო. კი ბატონო, მაგრამ საქმე უყვარს. ერთხელ ვარჯიშზე ავტობუსით მივდიოდით და ბიჭები იცინოდნენ. გამწარებული წამოხტა და იყვირა, თამაშზე იფიქრეთო. ეს სულისკვეთება გადასდო ნაკრებს და ამიტომაც არის, არც ერთი შეხვედრა უბრძოლველად არ დაგვითმია. მეტიც, ნაკრები ასეთი ბრძოლისუნარიანი არასოდეს ყოფილა და სწორედ ამის საფუძველზე უნდა აშენდეს მომავლის გუნდი. მაგრამ ეს ერთ წელიწადში ვერ გაკეთდება, დრო სჭირდება და უნდა აცადონ.

ჩვენ კარგი მადა გვაქვს, მოგება გვსურს და თან "ბარსელონას" ფეხბურთით. ეს ყველას გვინდა, მაგრამ რეალობას ანგარიში უნდა გავუწიოთ - ადრე ნაკრებში თავდამსხმელთა და გამთამაშებლის პოზიციაზე ისეთი დიდი კონკურენცია იყო, ბევრს არ იწვევდნენ. დღეს კი ამ ამპლუებში ძალიან გვიჭირს და ქეცბაიას პრობლემაც მაღალი კლასის მოთამაშეთა დეფიციტია. ნაკრებში პასის მიმცემი რომ არ არის და შეტევები ვერ მწვავდება, ეს ქეცბაიას ბრალი ვერ იქნება და მეშინია, მისი წასვლით უფრო უარესი გუნდი არ შეგვრჩეს ხელთ.

კვიპროსში რატომ ხსნის საფეხბურთო სკოლასო. შემთხვევით გავიგე, რამდენ საფეხბურთო სკოლასა და ბავშვთა სახლს ეხმარება, მაგრამ "მარიაჟი" არ უყვარს და ხმას არ იღებს. კვიპროსში ქართველი არ ჩასულა, რომ იტყვიან, თან არ გადაჰყოლოდა. და თუ ქეცბაია ყოფილა ჩვენი ფეხბურთის პრობლემა, მაშინ საერთოდ ვერაფერს ვხედავთ.

გვიკვირს, როგორ ითამაშა ჩვენზე უკეთ სომხეთმა, როგორ მიაღწია ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფამდე ესტონეთმა, როგორ გავიდა ევროპის ჩემპიონატზე ლატვია. არ დავფიქრებულვართ, რომ ამის მიზეზი ერთმანეთის გაუტანლობაა? ეს შეგვიძლია, თანადგომა კი გვიჭირს და იქნებ, ახლა მაინც დავუდგეთ გვერდში ქეცბაიას, რომელიც ნამდვილად არ არის მოსაძულებელი პიროვნება, ის ჩვენ გვჭირდება და ნუ გავაქცევთ ამ კაცს. მას ახლა თანადგომა სჭირდება და არა სარმები.


მამუკა წერეთელი

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# ჯანო გოლით დაბრუნდა



**ჯანო ანანიძემ** ტრავმა კი მოიშუშა, მაგრამ "სპარტაკის" მთავარ გუნდში ჯერ არ გამოჩენილა. სამაგიეროდ, მან გუშინ "სახალხო გუნდის" დუბლშემადგენლობაში ითამაშა და მოსკოვის "დინამოს" გოლიც გაუტანა. "სპარტაკის" დუბლებმა 2:1 მოიგეს, ჯანომ თავი მე-60 წუთზე გამოიჩინა, მოედანზე კი 37-ე წუთზე შევიდა.

ანანიძემ ტრავმის გამო ბოლო სანაკრებო მატჩი გამოტოვა, ახლა კი **თემურ ქეცბაიას** იგი მოლდოვასთან გასამართი ამხანაგური შეხვედრისთვის ჰყავს გამოძახებული.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ბებერ ხართა...
## იაშვილის გოლი და პასი, გიგიაძის გადამწყვეტი

გუშინ გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში იმარჯვა **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუემ" და გასავარდნ ზონას თავი დააღწია. ქართველი კაპიტნის გუნდმა „ინგოლშტადს" 3:2 მოუგო. 57-ე წუთზე 34 წლის იაშვილმა პენალტის ნიშნულიდან გაიტანა. ეს მისი მე-4 გოლია ჩემპიონატში. აღსანიშნავია, რომ ჩვენებურს 7 აგვისტოს მერე არ გაეტანა. 76-ე წუთზე **ლავრიჩმა** იაშვილის პასით გაიტანა, ქართველი კი 88-ე წუთზე შეცვალეს. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი სწორედ იაშვილი გახდა, რომლის გარჯაც „შპორტალმა" 2,5 ქულით შეაფასა.

უკრაინის ჩემპიონატში მე-3 გოლი გაიტანა 34 წლის **ვასილ გიგიაძემ**. მისმა „ტავრიამ" ვასოს წყალობით სტუმრად 1:0 დაამარცხა „ზარია" (**ჯაბა ლიპარტია** დისკვალიფიცირებული იყო) და მე-5 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# მხოლოდ ერთი, ისიც შეცვლაზე

ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტურში მხოლოდ ერთმა ქართველმა ითამაშა. **ლადო დვალიშვილი**, რომელიც ბოლო დროს ჰაიფას "მაქაბის" ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება, ბუქარესტში "სტიაუასთან" 2:4 წაგებულ მატჩში მოედანზე 37-ე წუთზე შევიდა. "მაქაბი" დღეისთვის ჯგუფში 6 ქულით მეორე ადგილზეა და "სტიაუას" ერთი ქულით უსწრებს, ლიდერ "შალკეს" კი ორით ჩამორჩება.

**გიორგი ფოფხაძე**, რომელმაც "შტურმის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი მყარად დაიმკვიდრა, გრაცელებს ბელგიაში ტრავმის გამო ვერ დაეხმარა. "შტურმი" "ანდერლეხტთან" 0:3 განადგურდა და ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსიღა შეინარჩუნა.

**საბა კვერკველია** ამჯერადაც სათადარიგო იყო. მისმა "რუბინმა" ყაზანში ლონდონის "ტოტენჰემს" 1:0 სძლია და მას ქულებით გაუთანაბრდა. "რუბინსა" და "ტოტენჰემს" 7-7 ქულა აქვთ, ლიდერ პაოკ-ს – 8, მაგრამ ბერძნებს მდევრებზე რთული კალენდარი დარჩათ, რადგან, მათგან განსხვავებით, უიმედო აუტსაიდერს, ირლანდიურ "შემროკს" აღარ ეთამაშებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

საქმე

# ევრო 2012 და ქართული გესტი

გულშემატკივარმა ალბათ ნახა კიევის ულამაზეს სტადიონ „ოლიმპიისკის" საზეიმო გახსნა, რომელსაც უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** დაესწრო. ახალ არენაზე პირველი მატჩიც მალე გაიმართება, 11 ნოემბერს უკრაინის ნაკრები გერმანიისას ამხანაგურად უმასპინძლებს.

ჩვენთვის ეს თამაში იმითაც არის საინტერესო, რომ მასზე მივლენილია ქართველი მედიაოფიცერი, თბილისის „დინამოს" მუშაკი **მამუკა კვარაცხელია.** სტადიონზე, რომელზეც გაისად ევროპის ჩემპიონატის ფინალი უნდა გაიმართოს, ჯერ თამაში არ ჩატარებულა და ჟურნალისტებს იქ საქმიანობის დეტალებში სწორედ კვარაცხელია გაარკვევს.

მამუკას თქმით, გარდა მედიამიმართულებისა, იგი მატჩის ორგანიზებაშიც მიიღებს მონაწილეობას და სიამოვნებით დაეხმარება ქართველ ჟურნალისტებს, თუ ჩვენი კოლეგები ამ მატჩს დაესწრებიან.


მამუკა კვარაცხელია

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს თასი

# ამჯერად განუთესავად

8 ნოემბერს ფეხბურთის ფედერაციაში საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალური ეტაპის წილისყრა მოეწყობა. წინა ეტაპებისგან განსხვავებით, დებულება ამჯერად განთესვას აღარ ითვალისწინებს და, შესაბამისად, ნებისმიერი სიძლიერის წყვილის ხილვაა მოსალოდნელი.

შეგახსენებთ მეოთხედფინალში გასულ გუნდებს:

**ზესტაფონი, ტორპედო, მეტალურგი, მერანი, ბაია, ვიტ ჯორჯია, გაგრა, დილა.**

მეოთხედფინალური მატჩები წლეულსვე გაიმართება. პირველი შეხვედრები 24 ნოემბერს ჩატარდება, განმეორებითები – 7 დეკემბერს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:10
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ



რომან ახალკაცი (მარცხნივ) და რომან გოგინაშვილი

# ორი რომანი დილაზე

**გორის „დილა" უმაღლეს ლიგაში მაჩანჩალად არ დაბრუნებულა. მეტიც, სეზონის დასაწყისში გორელებმა სანახაობრივი ფეხბურთით დაამახსოვრეს მაყურებელს თავი, მერე „ზესტაფონის" მისსავე მოედანზე განადგურებით მიიქციეს ყურადღება და აგერ, ახლა საქართველოს თასიდან „დინამოს" გამოთიშვით დაადასტურეს, რომ მათ წარმატებებს სენსაციური აღარ ეთქმის.. „დილაში" რომელიმე ფეხბურთელის განსაკუთრებით გამორჩევა შეუძლებელია. ამიტომ გადავწყვიტეთ, ყველაზე გამოცდილები და თან ადგილობრივი მოთამაშეები შეგვერჩია „ლელოსთან" სასაუბროდ. ორი რომანი, ახალკაცი და გოგინაშვილი, უცხოეთში თამაშის მერე გუნდს შარშან დაუბრუნდნენ და, როგორც მოსალოდნელი იყო, მნიშვნელოვან როლსაც თამაშობენ მშობლიურ გუნდში.**

**- ალბათ, სასიამოვნოა, როცა დიდი ხნის განშორების შემდეგ, კარიერის მიწურულს ფეხბურთელი მშობლიურ გუნდს უბრუნდება...**

**ახალკაცი:** რა თქმა უნდა, თანაც, შინ გულშემატკივრის განსხვავებულ სითბოს გრძნობ, კლუბს კი ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარ.

**გოგინაშვილი:** „დილა" ყველა გორელი ფეხბურთელისთვის ძვირფასი გუნდია. მე ბელარუსსა და აზერბაიჯანში თამაშის შემდეგ დავბრუნდი აქ და შარშან უმაღლეს ლიგაში გადასვლაშიც შევიტანე ჩემი მოკრძალებული წვლილი. კლუბის ხელმძღვანელობამ ჩვენ მიმართ პატივისცემა ჯერ კიდევ მაშინ გამოხატა, როდესაც „დილაში" მოგვიწვია.

**- გუნდის გამოცოცხლება, უპირველესად, კლუბის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებამ განაპირობა. თქვენი თაობის აქედან წასვლისასაც რომ ასეთი მდგომარეობა ყოფილიყო, როგორ გგონიათ, „დილა" ამ წლების განმავლობაში რაიმე ტიტულს შესწვდებოდა?**

**ახალკაცი:** ჩემი აზრით, ის თაობა რომ შენარჩუნებულიყო, საპრიზო ადგილზე აუცილებლად გვიხილავდით და იქნებ თასის ფინალიც გვეთამაშა.

**გოგინაშვილი:** იმდროინდელი უყურადღებობით, ფაქტობრივად, მთელი თაობა დაიკარგა. ეგ კი არა, ერთხანს ფეხბურთიც აღარ იყო ჩვენს ქალაქში და უმაღლესი ლიგის სტაჟიანი წევრი გუნდი რამდენიმე წელი ქვედა ლიგაში თამაშობდა.

**- წლევანდელი სეზონის სტარტზე „დილა" ურიგოდ არ გამოიყურებოდა, მაგრამ რამდენიმე მატჩში უცნაურად მოგეცარათ ხელი. უიღბლობის ბრალი იყო ეს, შეუთამაშებლობის თუ უმაღლეს ლიგაში ხელახალი საადაპტაციო ეტაპის?**

**გოგინაშვილი:** მე უფრო უიღბლობის ბრალი მგონია. გეხსომებათ, არაერთ შეხვედრაში გამარჯვება ბოლო წუთებზე დავკარგეთ.

**ახალკაცი:** არა მარტო უიღბლობა - მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი ვიყავით გუნდში, უმაღლეს ლიგასთან ხელახლა შეგუებისთვის მაინც დაგვჭირდა გარკვეული დრო და სწორედ მაშინ იყო ის დასანანი შეხვედრები.

**- მათგან ყველაზე გულსატკენი მატჩი რომელი იყო?**

**ახალკაცი:** ბევრი თანაგუნდელი დამეთანხმება, რომ „ტორპედოსთან" შინ ორი - სამი ბურთით უნდა მოგვეგო. კურიოზული იყო, ისეთი გოლები ვერ შევაგდეთ, თანაც, მეტოქე კარგა ხანს ათი კაცით თამაშობდა.

**- „ზესტაფონთან" სტუმრად 4:0-ით გამარჯვებაზე აუცილებლად უნდა გკითხოთ. მაინც რა მოხდა იქ, ასე რომ დაჯაბნეთ მოქმედი ჩემპიონი?**

**ახალკაცი:** მოგეხსენებათ, ძლიერ გუნდთან, მით უფრო, ჩემპიონთან ყველას უნდა თავის გამოჩენა და ჩვენებმაც თავი არ დაზოგეს. თანაც, მეტოქემ 0:2-ზე თამაში გახსნა და მათ კართან ხიფათის შექმნა აღარ გვიჭირდა.

**- ჩვენს ჩემპიონატში ყველაზე ძლიერ გუნდად რომელს მიიჩნევთ?**

**გოგინაშვილი:** ყველაზე დიდ პოტენციალს „ტორპედოში" ვხედავ. ძლიერი გუნდია, ძლიერი სპეციალისტით სათავეში. სხვათა შორის, მომდევნო მატჩი სწორედ მათთან გვაქვს და სათასო თამაშის მერე კარგ ხასიათზე მყოფები ვხვდებით ამ დაპირისპირებას.

**- გულწრფელად თქვით, „დინამოსთან" პირველი მერვედფინალური შეხვედრის წინ ფიქრობდით, რომ გადალახავდით ამ ბარიერს?**

**გოგინაშვილი:** რატომაც არა?! მაშინ უკვე თამაში წაგვივიდა, საკუთარი შესაძლებლობების ვირწმუნეთ, თუნდაც „ზესტაფონთან" მატჩი რად ღირს, ფორტუნაც აღარ გვწირავდა და „დინამოსთან" სათამაშოდ გასვლისას თავი აუტსაიდერად არ მიგვაჩნდა. მეტიც, შეხვედრის ბოლოს რომ არ გაგვეშვა ბურთი, ვიგებდით კიდეც 2:1-ს.

**ახალკაცი:** ვერავინ იტყვის, რომ განმეორებით შეხვედრაში ძალიან გაგვიჭირდა. უბრალოდ, ფრე ხელს გვაძლევდა, ამ შედეგზე ვითამაშეთ და მივაღწიეთ კიდეც საწადელს.

**- რა იყო ის, რითაც „დინამოს" აჯობეთ?**

**- ახალკაცი:** ძალიან დიდი მონდომება. ამასთან, ვფიქრობ, მეტოქეთა თავდაჯერებულობაც დაგვეხმარა, ისინი ფიქრობდნენ, რომ უეჭველად გადალახავდნენ ჩვენს ბარიერს.

**- თქვენს ახალ მწვრთნელს, რამაზ სოლოლაშვილს კარგი დასაწყისი გამოუვიდა. მართალია, ჯერ არ მოგიგიათ, „დილამ" ზედიზედ ორი ფრე ითამაშა მისი ხელმძღვანელობით, მაგრამ ორივე მნიშვნელოვანი იყო...**

**გოგინაშვილი:** დიახ, პირველი ფრით წაგებათა სერია შევწყვიტეთ, მეორით კი თასის მეოთხედფინალში გავედით. რამაზი ახალგაზრდა სპეციალისტია, თვითონაც გვეუბნება, რომ, ფაქტობრივად, ახლა ყალიბდება მთავარ მწვრთნელად და ჩვენც ყველანაირად გვერდში ვუდგავართ.

**- ალბათ, არ შეიძლება გია ცეცაძის წვლილის დავიწყებაც გუნდის ჩამოყალიბებაში...**

**ახალკაცი:** მითამაშია ძოძუაშვილის, ყიფიანის, სიომინის, მახარაძის, ფილიას და ბევრი სხვა მწვრთნელის ხელმძღვანელობით, ბუნებრივია, ცეცაძეს მათ არ ვადრი, მაგრამ, ისე კარგად, როგორც გია უხსნიდა მთელ გუნდს ტაქტიკურ განლაგებას, თითოეულ მოთამაშეს კი - დავალებას, იშვიათად მინახავს. შეუძლებელია, არ მოგწონებოდა ცეცაძის შემტევი ტაქტიკა... შესაძლოა, იმ ბოლო წუთებზე დაკარგული გამარჯვებებისას ის ჯობდა, მატჩის დასასრულს ცოტა მეტი გვეფიქრა საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე, მაგრამ მწვრთნელი მიიჩნევდა, რომ საუკეთესო თავდაცვა თავდასხმაა.

**- ყველაფრის მიუხედავად, „დილა" სატურნირო ცხრილში ჯერ ვერ არის სახარბიელო პოზიციაზე. გულშემატკივარს რას ჰპირდებით, ანერვიულებთ ლიგის დატოვებაზე ფიქრით?**

**გოგინაშვილი:** არავითარ შემთხვევაში - დიდი იმედი გვაქვს, რომ რვა გუნდში აუცილებლად მოვხვდებით.

**ახალკაცი:** ძალიან კარგ განწყობაზე ვართ. პირადად მე მოუთმენლად ველი მომდევნო მატჩს ქუთაისში „ტორპედოსთან". იქაც ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

დავით ასპანიძის ფოტო

● ვიტ ჯორჯია-დინამო. მატჩის წინ

## გიორგი კახელიშვილი

# არეულობა? არავითარი!

ხვალ თბილისის "დინამო" "მცხეთა პარკზე" "ვიტ ჯორჯიას" ესტუმრება.

ამ გუნდების შეხვედრა მაყურებლისთვის ყოველთვის საინტერესო იყო და არც ამჯერად აკლია ინტრიგა.

მატჩის წინ დინამოელ **გიორგი კახელიშვილს** გავესაუბრეთ.

- ჩვენთვის ეს პრინციპული მატჩია და აუცილებლად უნდა მოვიგოთ. უკან დასახევი გზა არ გვაქვს, ჩვენი გაფუჭებული ჩვენვე უნდა გამოვასწოროთ. აქვე ვიტყვი – ვისაც ჰგონია, რომ "დინამო" ჩემპიონობისთვის ბრძოლას გამოეთიშა და ჩამოსაწერები ვართ, ძალიან ცდება. გვყავს კარგი მწვრთნელი, შემადგენლობა და გუნდს პერსპექტივა ეტყობა, თუმცა ჩამოსაყალიბებლად დრო გვჭირდება. ეტყობა, მწვრთნელის დავალებებს სათანადოდ ვერ ვასრულებთ, მაგრამ დრო სწორედ დასახვეწად და თამაშის გასაუმჯობესებლად გვჭირდება.

**- "დილასთან" სათასო მარცხის შემდეგ გუნდში რა ვითარებაა?**

- სამწუხაროდ, ასეც ხდება. ახლა მთლიანად საჩემპიონო ბრძოლაზე გადავერთვებით და დარწმუნებულიც ვარ, ჩემპიონები გავხდებით.

რა თქმა უნდა, თასიდან გამოთიშვა ძალიან საწყენი იყო, ჩვენი გუნდის სახელი ყველა მეტოქესთან და ყველა ტურნირზე გამარჯვებას გვავალდებულებს. ამიტომაც "დილასთან" წარუმატებლობა ძალიან მტკივნეული იყო. თასის მოპოვებაც ძალიან გვინდოდა, მაგრამ ამას გუნდში არანაირი არეულობა არ მოჰყოლია, რადგან "დინამო" სამაგალითო გუნდია – თუნდაც ერთმანეთის გატანითა და თანადგომით.



ყველა გავაანალიზებთ მარცხის მიზეზს, მსგავსი ჩავარდნა ჩემპიონატში რომ გამოირიცხოს და დარწმუნებული ვარ, თამაშს აუცილებლად გამოვასწორებთ.

**- ყოფილი კლუბის წინააღმდეგ თამაში გარკვეულ ემოციასაც უკავშირდება.**

- ბედნიერი ვარ, რომ "ვიტ ჯორჯიაში" თუნდაც ოთხი თვე ვითამაშე და ბევრი მეგობარი შევიძინე. მაგრამ ახლა დინამოელი ვარ, მის ინტერესებს ვემსახურები და ჩემთვის ახლა ყველა მეტოქე ერთია, ყოფილ კლუბთანაც ისეთივე მონდომებით ვითამაშებ, როგორც სხვასთან - მოგება, გატანა და წარმატება მსურს.

**მერაბ მამულაშვილი**

## გიორგი ჯანელიძე

# მცხეთაში ორი კოზირიდან მხოლოდ ერთი მოქმედებს



**"ვიტ ჯორჯიას" "დინამოსთან" არაერთი წარმატებული და შედეგიანი მატჩი ჩაუტარებია და ვეტერინარებს იმედი აქვთ, რომ ხვალინდელი შეხვედრა სწორედ ამგვართა კატეგორიაში ჩაიწერება. "ლელოს" რესპონდენტი "ვიტ ჯორჯიას" 22 წლის კაპიტანი გიორგი ჯანელიძეა.**

**- "დინამოს" საუკეთესო დროება არ უდგას. წესით, ამან "ვიტ ჯორჯიას" წარმატების შანსი უნდა გაზარდოს.**

- "დინამო" მართლაც არასტაბილურად ასპარეზობს, მაგრამ ციდან ვარსკვლავებს ვერც ჩვენ ვწყვეტთ. ჩვენც და დინამოელებსაც გამარჯვება გვინდა, რადგან მდგომარეობის გამოსწორება გვჭირდება. პროგნოზის გაკეთება ძალიან ძნელია. ორივე გუნდი არასახარბიელო სატურნირო ვითარებაში კია, მაგრამ ფეხბურთელები ზოგჯერ ასეთ დროს უფრო ახერხებენ ერთ მუშტად შეკვრას.

**- "ვიტ ჯორჯია" ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებს?**

- დიახ, არც ტრავმირებულები გვყავს და არც – დისკვალიფიცირებულები.

**- სამწვრთნელო შტაბისგან ამ მატჩის წინ განსაკუთრებული დავალებები ხომ არ მიგიღიათ?**

- ვემზადებით ისე, როგორც ჩემპიონატის სხვა ნებისმიერი შეხვედრისთვის. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ეს მატჩი ჩვენთვის რიგითი არ არის.

**- რამდენად დამაკმაყოფილებელი იქნება "ვიტ ჯორჯიასთვის" ფრე?**

- ჩვენ ყოველთვის მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობთ, მაგრამ გააჩნია თამაშის მიმდინარეობას. ზოგჯერ ფრეც არ არის ურიგო შედეგი.

**- პროგნოზებს შევეშვათ და იმის ვარაუდი თუ შეგიძლია, სანახაობრივი გამოვა თუ არა თბილისური დერბი?**

- ამაში თითქმის დარწმუნებული ვარ, რადგან "ვიტ ჯორჯიაც" და "დინამოც" შემტევი ფეხბურთის მიმდევარები არიან. არც იმას გამოვრიცხავ, რომ მატჩი უხვგოლიანი გამოდგეს.

**- "დინამოსთან" ამ სეზონში ერთხელ უკვე ითამაშეთ და დამეთანხმები, ეს შეხვედრა "ვიტ ჯორჯიამ" სუსტად ჩაატარა.**

- დიახ, ეს ის გამონაკლისი იყო, როცა "დინამოს", ფაქტობრივად, ვერაფერი დავუპირისპირეთ და სამართლიანად დავმარცხდით. თუმცა ეს უკვე წარსულია, შეცდომები გავაანალიზეთ, სათანადო დასკვნები გავაკეთეთ და შევეცდებით, ამ ტურში დავამტკიცოთ, რომ "დინამოსთვის" ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა შეგვიძლია. რაც მთავარია, ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხისგან თავისუფლები ვართ, რადგან "დინამო" არაერთხელ დაგვიმარცხებია.

**- თუ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, თბილისში შეხვდება "ვიტ ჯორჯია" "დინამოს" თუ მცხეთაში?**

- "მცხეთა პარკის" ხელოვნურ გაზონს უკვე გავუშინაურდით და იქ თამაში უკეთ გამოგვდის, ვიდრე სხვა სტადიონებზე. ასე რომ, მოედნის ფაქტორი ჩვენს წისქვილზე დაასხამს წყალს.

**- როცა საკუთარ სტადიონზე თამაშობ, წესით, გულშემატკივართა იმედიც უნდა გქონდეს, მაგრამ "ვიტ ჯორჯია" ამ ფუფუნებას მოკლებულია.**

- სამწუხაროდ, ასეა და მე და ჩემს თანაგუნდელებს ეს ამბავი ძალიან გვაწუხებს. ფაქტია, რომ ჩვენს საშინაო მატჩებზე მხოლოდ ჟურნალისტები და ფეხბურთელთა ნათესავ-მეგობრები დადიან, რაც მოთამაშის საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებას ნამდვილად არ უწყობს ხელს. არც ვიცი, როგორ შეიძლება ამ სიტუაციის გამოსწორება. ფეხბურთის მოყვარულებს მხოლოდ ის შემიძლია ვუთხრა, რომ, თუ "მცხეთა პარკზე" ივლიან, "ვიტ ჯორჯია" მათთვის თავს არ დაზოგავს და სანახაობრივ ფეხბურთს აჩვენებს.

**- რამდენად შეესაბამება "ვიტ ჯორჯიას" ამჟამინდელი სატურნირო მდგომარეობა თქვენი კლუბის ამბიციებს?**

- ამ სეზონში შედარებით მოკრძალებული მიზანი გვაქვს დასახული - ჩვენი პროგრამა-მინიმუმი რვა საუკეთესო გუნდში მოხვედრაა. კმაყოფილების მიზეზი კი არ გვაქვს, რადგან ვალდებულები ვართ, ბოლო ოთხ გუნდს უფრო დიდი სხვაობით ვუსწრებდეთ და ლიდერებთან უფრო ახლოს ვიყოთ. ამჟამინდელი შედეგი ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი არ არის და ამას მალე აუცილებლად დავამტკიცებთ.

**- თასის გათამაშებაში რას გეგმავთ?**

- კარგად გვესმის, რომ ევროპის ლიგაზე გასვლის ყველაზე დიდი შანსი სწორედ თასიდან გვაქვს და ამ შანსის გამოსაყენებლად ვიბრძოლებთ.

**- რომელი იყო "ვიტ ჯორჯიას" მიერ ამ სეზონში ჩატარებული საუკეთესო მატჩი?**

- რამდენიმე შეხვედრას გავიხსენებდი – "ბაიასთან", "გაგრასთან", "კოლხეთთან"... კარგად ვითამაშეთ ზესტაფონშიც, სადაც, ვფიქრობ, მარცხს არ ვიმსახურებდით.

**- უკვე რამდენიმე თვეა, "ვიტ ჯორჯიას" კაპიტანი ხარ. სამკლავურმა, ალბათ, დამატებითი სტიმული მოგცა.**

- როცა ასეთ ადრეულ ასაკში ასეთ პასუხისმგებლობას მოგანდობენ, გრძნობ, რომ შენი განსაკუთრებით სჯერათ და ყოველთვის ვცდილობ, იმ დონეზე მოვემზადო და ვითამაშო, როგორც კაპიტანს შეეფერება. მე შრომასა და მონდომებას არ ვაკლებ და როგორ გამომდის ჩემი მოვალეობების შესრულება, ეს უკვე მედიისა და გულშემატკივრების შესაფასებელია.

**- ალბათ, უკვე ფიქრობ კარიერის საზღვარგარეთ გაგრძელებაზე.**

- ჯერჯერობით მხოლოდ "ვიტ ჯორჯიაზე" ვარ კონცენტრირებული, თუმცა, თუ საინტერესო შეთავაზებას მივიღებ, ვიცი, რომ ჩემი კლუბი არ დამაბრკოლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIII ტურის წინათქმა

# ცრურწმენას ნუ აჰყვებით...

კვირისმატჩებით „საშემოდგომო მარათონის" მართლაც მომქანცველი ეტაპი დამთავრდება: 22 ოქტომბრიდან მოყოლებული, უმაღლესი ლიგის თითოეულმა გუნდმა 16 დღის განმავლობაში მეხუთე მატჩი უნდა ჩაატაროს! ასეთი გრაფიკით ასპარეზობა საქართველოში კი არა, მართლაც „საფეხბურთო ქვეყნებში" უძნელდებათ გუნდებს და ჩვენი მოედნების მდგომარეობიდან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენი იქნება, თუ როგორი რთული „გადასაგორებელი" იქნებოდა ეს თექვსმეტდღიანი პერიოდი ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელთათვის (გნებავთ - მწვრთნელებისთვისაც); ჰო, მხოლოდ ფეხბურთელები ხომ არ იღლებიან? განა, მწვრთნელებს ნაკლები დატვირთვა აქვთ და ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ ხშირ შემთხვევაში, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება გუნდების თავკაცთა მდგომარეობასაც; აბა, ახალი რა უნდა ვთქვათ: ამ საკითხში მსოფლიოში, ალბათ, ბრაზილიელები თუ „მოგვიახლოვდებიან", თორემ მწვრთნელების გაუთავებელ მოხსნა-დანიშვნაში მართლაც უკონკურენტო ვართ! თანაც, კონკრეტული ტურის შემდეგ ერთი კი არა, ორი და სამი სამწვრთნელო გადაადგილებაც აღარ გვიკვირს ხოლმე. რა თქმა უნდა, კლუბის ხელმძღვანელთა გადასაწყვეტია, თავიანთი გუნდის გაძღოლა ვის მიანდონ, მაგრამ არც ის მიგვაჩნია გამართლებულად, 12 ტურის განმავლობაში ფეხბურთელებს... სამი თუ ოთხი მწვრთნელის „გაცნობა-დამშვიდობება" რომ უწევთ. ახლაც, ამ ტურის წინ, ვინ იცის, რამდენი მწვრთნელია ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ; უფრო ზუსტად, ერთი-ორი სპეციალისტისათვის ხვალინდელი ტური განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი უნდა იყოს; არადა, კაცი ცრურწმენასაც არ უნდა აჰყვეს, მაგრამ ჩემპიონატში გამოცხადებულ ორკვირიან შესვენებამდე ჩასატარებელი ტური ხომ რიგით... მეცამეტეა?!.

# პრინციპის, მოტივაციას

ვიტ ჯორჯია–დინამო
06.11. მცხეთა, „მცხეთა-პარკი" 14:00

ამ ტურში ჩემპიონატის ოთხი გამოკვეთილი ფავორიტი ერთმანეთს არ ხვდება, მაგრამ კვირის შეხვედრებიდან ერთი მაინც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს! მნიშვნელობა არა აქვს, კონკრეტული მომენტისათვის „ვიტ ჯორჯია" და „დინამო" ცხრილში რომელ ადგილზე იმყოფებიან: ამ გუნდების დაპირისპირება მუდამ გამორჩეულ პაექრობად მიიჩნევა; თანაც, ასე გრძელდება, ფაქტობრივად, იმ დღიდან, „ვეტერინარები" უმაღლეს ლიგაში რომ გამოჩნდნენ (1998 წლის დასაწყისიდან). რა თქმა უნდა, ამ (ისე როგორც, წინა) სეზონში „ვიტ ჯორჯიას" არც საჩემპიონო ამბითავის ერთგულ ქომაგებთან რეაბილიტაციისათვის ყველაფერი უნდა გააკეთონ გამარჯვების მისაღწევად.

...„ვიტ ჯორჯიასა" და „დინამოს" ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიაში დიდი ხნის განმავლობაში თითქმის აბსოლუტური თანაფარდობა იყო; თუმცა, ამ ბოლო დროს დინამოელთა უპირატესობა გამოიკვეთა: „ვეტერინარები" უკვე შვიდი მატჩია თავისი პრინციპული მეტოქის დამარცხებას ვერ ახერხებენ. ამ გუნდებს შორის პირველი წრის შეხვედრაც „დინამოს" გამარჯვებით დამთავრდა: მეორე ტაიმში ანგარიში **ლევან კაკუბავამ** გახსნა, მსაჯის


2011 წლის 14 აგვისტო. დინამო-ვიტ ჯორჯია 2:0
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მიერ დამატებულ დროში კი **მიკელე ალვარომ** მართლაც ეფექტური დარტყმით პირველი, „ქართული გოლი" გაიტანა და „დინამოს" ორბურთიანი უპირატესობაც დააფიქსირა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ვიტ ჯორჯიასა" და „დინამოს" ადრინდელი დაპირისპირებები მუდამ უკომპრომისობით გამოირჩეოდა და ძალიან ხშირად იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა სწორედ ამ მეტოქეთა პაექრობებში წყდებოდა... საქართველოს ჩემპიონის ვინაობა! აი, მაგალითად, წინა სეზონში ჩატარებული ოთხი მატჩიდან „დინამომ" სამში გაიმარჯვა და ერთიც ფრედ დაამთავრა, მაგრამ ამა წლის 27 აპრილს, მესამე წრის შეხვედრაში დაფიქსირებულმა სწორედ იმ საყაიმო ანგარიშმა (1:1) დაასამარა დინამოელთა საჩემპიონო შანსები; ცალკე საუბრის თემაა ხვალინდელი მეტოქეების ის მატჩები, მცხეთაში, იმდროინდელ „არმაზზე" რომ ტარდებოდა, - ხუთი წლის (2003-2008) განმავლობაში ფაქტობრივად, სავსე ტრიბუნების წინ გამართული ყველა შეხვედრა უაღრესად უკომპრომისოდ და საინტერესოდ მიმდინარეობდა, ხანდახან სკანდალური ელფერიც ჰქონია, მსაჯების შეცდომებიც ყოფილა და ორივე გუნდის შემადგენლობაში ცალკეული ფეხბურთელების ჩინებული თამაშიც; თუმცა, სხვანაირად ვერც იქნებოდა: იმ პერიოდში „ვიტ ჯორჯია" ხომ ერთ-ერთი წარმატებული ქართული კლუბი იყო და ამის დასტურად ორი საჩემპიონო ტიტული და ორჯერ ვერცხლის პრიზიორობაც გამოდგება. მერე კი, „ვიტ ჯორჯიას" საშინაო მატჩების ჩატარება სხვადასხვა ქალაქსა თუ სხვადასხვა სტადიონზე უწევდა და მხოლოდ ამ სეზონში დაუბრუნდა მცხეთას.

...„ვიტ ჯორჯიამ" „დინამოს" მცხეთაში ბოლოს 2008 წლის 18 აპრილს უმასპინძლა და მაშინაც, ფაქტობრივად, ჩემპიონობის ბედი წყდებოდა! სეზონის ფინიშამდე 5 ტური რჩებოდა და **დუშან უჰრინის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „დინამო" 4 ქულით უსწრებდა **რამაზ მუმლაძის** „ვიტ ჯორჯიას"; თანაც, „ვეტერინარებს" დარჩენილ მატჩებში ბევრად იოლი მეტოქეები ჰყავდათ, მაშინ როცა „დინამოს" სტუმრად „ზესტაფონთან" მატჩიც ელოდა. მოკლედ, მასპინძლები თუ გაიმარჯვებდნენ, ჩემპიონობის კარგი შანსიც უჩნდებოდათ, თუმცა უაღრესად დაძაბული, დრამატული და ნერვული შეხვედრა ფრედ (0:0) დამთავრდა. ეს შედეგი კი „დინამოსთვის", ფაქტობრივად, იდეალური იყო და გუნდმაც თავისი ბოლო საჩემპიონო ტიტული სწორედ იმ სეზონში მოიპოვა. სამი წლისწინანდელ იმ მატჩში გამოუყენებელი პენალტიც იყო, გაძევებაც და რვა ყვითელი ბარათიც; ოღონდ, დღევანდელ „ვიტ ჯორჯიაში" იმ შემადგენლობიდან თუ აღარავინ შემორჩა, აი, „დინამოში" ორი ფეხბურთელია, რომლებიც ჩვენ მიერ ნახსენებ დაპირისპირებაში ილებდნენ მონაწილეობს - **შოთა კაშია** და **დავით ოდიკაძე** (კიდევ ერთი მოთამაშე, **ლევან ხმალაძე,** სამწუხაროდ, დღესდღეობით კვლავაც ტრავმირებულია)

გია ტუხაშვილი

**P.S.** სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: „ვიტ ჯორჯიას" საშინაო მატჩებს ძალიან ცოტა გულშემატკივარი ესწრება; იმედი დავიტოვოთ, რომ „მცხეთა-პარკზე" ხვალ ქომაგთა სიმრავლე იქნება და პრინციპული მეტოქეებიც უკომპრომისო სანახაობას შემოგვთავაზებენ.

ვიტ ჯორჯიას" არც საჩემპიონო ამბიცია გააჩნია და არც „შესაბამისი" შემადგენლობა, მაგრამ **ზურაბ ბერიძის** ახალგაზრდულ გუნდს „დინამოსთან" დაპირისპირებაში „დამატებითი" მოტივაცია არ სჭირდება. მეტოქის ფაქტორი რომც გამოვრიცხოთ, „ვიტ ჯორჯიას" საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრა ჯერჯერობით გარანტირებული არ აქვს და „მცხეთა-პარკზე" ხვალ საინტერესო მატჩის მომსწრენიც უნდა გავხდეთ. „დინამოზე" კი ახალი რა უნდა ვთქვათ: გუნდის ესპანელმა მწვრთნელმა **ალექს გარსიამ** და თითოეულმა ფეხბურთელმა რაც შეიძლება მალე უნდა დაივიწყონ გორის ფიასკო (თასის მერვედფინალიდან გამოვარდნას ვგულისხმობთ) და

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 12 | 8 | 2 | 2 | 25 | 14 | 26 |
| 2 | ტორპედო | 12 | 8 | 1 | 3 | 15 | 7 | 25 |
| 3 | დინამო | 12 | 8 | 1 | 3 | 25 | 12 | 25 |
| 4 | მეტალურგი | 12 | 6 | 3 | 3 | 17 | 13 | 21 |
| 5 | მერანი | 12 | 6 | 2 | 4 | 14 | 12 | 20 |
| 6 | ბაია | 12 | 6 | 1 | 5 | 15 | 10 | 19 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 12 | 4 | 3 | 5 | 11 | 15 | 15 |
| 8 | გაგრა | 12 | 4 | 1 | 7 | 12 | 17 | 13 |
| 9 | კოლხეთი | 12 | 3 | 3 | 6 | 11 | 18 | 12 |
| 10 | დილა | 12 | 3 | 2 | 7 | 16 | 19 | 11 |
| 11 | სპარტაკი | 12 | 2 | 4 | 6 | 8 | 18 | 10 |
| 12 | სიონი | 12 | 1 | 3 | 8 | 8 | 22 | 6 |

შენიშვნა: თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება:

1. მოგებათა მეტი რაოდენობა;
2. ურთიერთშეხვედრები;
3. გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;
4. გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;
5. სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;
6. ფეარ პლეი;
7. წილისყრა.

ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ჩისკო (დინამო) | 8 |
| დვალი (ზესტაფონი) | 8 |
| ტატანაშვილი (მეტალურგი) | 8 |

კოლხეთი–ზესტაფონი
06.11. ლანჩხუთი, ე.შავარდნაძე 14:00

გაგრა–სიონი
06.11. თბილისი, მერანი (ზღვაა) 14:00

სპარტაკი–მერანი
06.11. საგურამო, ლოკომოტივის ბაზა 14:00

ბაია–მეტალურგი
06.11. ზუგდიდი, გ. თეთრაძე 14:00

ტორპედო–დილა
06.11. ქუთაისი, ტორპედო 18:00
Live რეპორტაჟი პირველ არხზე

პირველი ლიგა

XII ტური

„ა" ზონა, 5 ნოემბერი

დინამო (ბათუმი)-სტუ (თბილისი)
ჩხერიმელა (ხარაგაული)-სამტრედია
მერცხალი (ოზურგ.)-ლოკომოტივი (თბ.)
მესხეთი (ახალციხე)-კოლხეთი (ხობი)
მეშახტე (ტყიბული)-ჭიათურა (ჭიათურა)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბათუმი | 11 | 8 | 2 | 1 | 16-6 | 26 |
| 2. მერცხალი | 11 | 7 | 2 | 2 | 17-11 | 23 |
| 3. ჭიათურა | 11 | 6 | 3 | 2 | 17-9 | 21 |
| 4. სტუ | 10 | 5 | 2 | 3 | 20-18 | 17 |
| 5. ჩხერიმელა | 11 | 5 | 2 | 4 | 14-14 | 17 |
| 6. მესხეთი | 11 | 4 | 1 | 6 | 10-11 | 13 |
| 7. მეშახტე | 11 | 2 | 3 | 6 | 11-15 | 9 |
| 8. ლოკომოტივი | 9 | 2 | 3 | 4 | 10-14 | 9 |
| 9. კოლხეთი (ხ) | 11 | 2 | 3 | 6 | 8-13 | 9 |
| 10. სამტრედია | 10 | 0 | 3 | 7 | 5-17 | 3 |

„ბ" ზონა, 6 ნოემბერი

იმერეთი (ხონი)-აეტი (სოხუმი)
სქური (წალენჯიხა)-ჩიხურა (საჩხერე)
ზოოვეტი (თბ.)-სამგურალი (წყალტ.)
სულორი (ვანი)-adeli (ბათუმი)
ნ/დინამოელი (თბ.)-გურია (ლანჩხუთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 11 | 10 | 1 | 0 | 28-2 | 31 |
| 2. გურია | 11 | 8 | 2 | 1 | 30-8 | 26 |
| 3. ნ/დინამოელი | 11 | 6 | 1 | 4 | 22-11 | 19 |
| 4. სქური | 11 | 5 | 2 | 4 | 16-15 | 17 |
| 5. იმერეთი | 11 | 5 | 1 | 5 | 15-16 | 16 |
| 6. ზოოვეტი | 11 | 5 | 1 | 5 | 13-20 | 16 |
| 7. სამგურალი | 11 | 4 | 4 | 3 | 14-10 | 16 |
| 8. ადელი | 11 | 2 | 1 | 8 | 10-22 | 7 |
| 9. სულორი | 11 | 1 | 2 | 8 | 3-27 | 5 |
| 10. აეტი | 11 | 1 | 1 | 9 | 5-25 | 4 |

ოღონდ ტრიბუნაზე...



# ხიდეშელის ამბავი

## ბელგიელმა ექიმმა... სტადიონები გაგვისინჯა

ოთხი თვეა, 'ზესტაფონს" მისი ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი ხიდეშელი** ვერ ეხმარება. 23 წლის ცენტრალური მცველი ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე კიშინიოვის "დაჩიასთან" განმეორებით შეხვედრაში დაშავდა და მას შემდეგ ექიმებს გაუშინაურდა.

"რეაბილიტაციას ოთხ კვირაში ვასრულებ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ წლეულს ველარ ვითამაშებ. მოედანზე გასვლა კი შემეძლება, მაგრამ ფორმა ხომ უნდა ალვიდგინო, რათა ძირითადში დასაბრუნებლად ვიბრძოლო, ნაადრევად დაბრუნება კი გაუმართლებელი რისკია. ასე რომ, მოსამზადებელ ეტაპამდე აჯობებს დაცდა.

ბელგიაში ცნობილ ექიმ მარტენსთან ვმკურნალობდი, რომელიც რეაბილიტაციისა და მოედანზე დაბრუნების მომენტს განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება. წარმოიდგინეთ, რა დონის პროფესიონალია, საქართველოში გამოგზავნა სპეციალისტები, რომლებმაც შეისწავლეს აქაური სტადიონების საფარები, კლიმატი და მარტენსმა ამ მონაცემების საფუძველზე დაასკვნა, რომ ჩვენი უხარისხო მოედნების პირობებში ახალ წლამდე ჩემი თამაში ხელახალი ტრავმიანობის დიდ რისკს შეიცავს.

საქართველოში მუხლის ოპერაციის გაკეთებას ამიტომაც მოვერიდე. შესაძლოა, თავად ოპერაცია კარგად გააკეთონ, მაგრამ რეაბილიტაციის პროცესის კარგად წარმართვაა პრობლემა. ამ დროს მთავარი კუნთის „ამოყვანაა", ჩვენთან კი სწორედ ეს ჭირს" – გვითხრა ხიდეშელმა.

გიორგის ტრიბუნიდან "ზესტაფონის" თამაშის ყურება უჭირს: „უთამაშებლობას ძალიან განვიცდი. თანაგუნდელების დახმარება მინდა, მაგრამ... ეს ძალიან უსიამოვნო ემოციაა. ბოლო შეხვედრა ქუთაისის "ტორპედოსთან" რომ წავაგეთ, სტადიონზე ადგილს ვერ ვპოულობდი, ისე ვინერვიულე. ბევრი მომენტი გვქონდა და, ჩემი აზრით, არ გაგვიმართლა... თუმცა ამ წაგებით არაფერი იცვლება, "ზესტაფონი" ჩემპიონია და აუცილებლად ვიბრძოლებთ ტიტულის შესანარჩუნებლად".

მერაბ მამულაშვილი

## მიხაილ პირაევი – 90



ჩვენი ფეხბურთი ყოველთვის იყო დამშვენებული გამოჩენილი ფეხბურთელებით - ფორვარდებით, ჰავბეკებით და, რაღა თქმა უნდა, მეკარეებით, რომელთა შორის იყო ბრწყინვალე გოლკიპერი **მიხაილ პირაევი.** საფეხბურთო კარიერა მან გაატარა თბილისის „დინამოში", მოსკოვის „სპარტაკში" და ვვს-ში. 1953 წელს გახდა სსრკ ჩემპიონი, მომდევნო წელს - მეორე პრიზიორი. უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 82 მატჩი.

შემდეგ ახალგაზრდა ფეხბურთელების დაოსტატებას ემსახურებოდა. მუშაობდა გურჯაანში, რუსთავში, „შევარდენის" საფეხბურთო სკოლაში. გარდაიცვალა 2008 წელს. ხვალ, 6 ნოემბერს, 90 წლისა გახდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XI ტურის წინ

**დღეს**

**ნიუკასლი–ევერტონი 16:45**

**ტრავმა:** ამეობი, ტიოტე – ჰეიტინგა, ტ. კეჰილი, ფ. ნევილი, ენიჩიბე

**დისკვალიფიკაცია:** ფელაინი (ევერტონი)

**არსენალი–ვესტ ბრომვიჩი 19:00**

**ტრავმა:** შამახი, გიბზი, დიაბი, სანია, უილშირი – შარნერი, ლონგი

**ასტონ ვილა–ნორვიჩი 19:00**

**ტრავმა:** ლიჩაი – ვუგანი, უითბრედი, უორდი

**ბლექბერნი–ჩელსი 19:00**

**ტრავმა:** ს. დანი, გრელა, სალგადო, რ. ნილსენი – მიკელი, ილარიო, ესიენი

**დისკვალიფიკაცია:** დროგბა (ჩელსი)

**ლივერპული–სუონსი 19:00**

**ტრავმა:** ჯერარდი, კარაგერი – დობი, კოლკერი, ტატე

**მანჩესტერ იუნ.–სანდერლენდი 19:00**

**ტრავმა:** კლევერლი, მაკედა, გიგზი, გიბსონი, სმოლინგი, ე. იანგი – ფ. კემპბელი

**ქუინზ პარკი–მანჩესტერ სიტი 21:30**

**ტრავმა:** კონოლი, დ. ჯ. კემპბელი, ჰალსი, დაიერი - ჰარგრივზი

**დისკვალიფიკაცია:** კომპანი (მანჩესტერ სიტი)

**ხვალ**

**ვულვერჰემპტონი–უიგანი 17:30**

**ტრავმა:** ფლეტჩერი, ფოული, ზუბარი - კირკლენდი

**დისკვალიფიკაცია:** კოლდუელი (უიგანი)

**ბოლტონი–სტოკი 19:00**

**ტრავმა:** ბოიატა, ჰოლდენი, რიკეტსი, მირსი, ლი, შ. დევისი – სიდიბე, ფულერი

**დისკვალიფიკაცია:** გარდნერი (ბოლტონი)

**ფულჰემი–ტოტენჰემი 20:00**

**ტრავმა:** სა, ჰიუზი, სენდეროსი, ს. დევისი – კრანჩარი, ჰადლსტოუნი, გალასი, დოუსონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 10 | 9 | 1 | 0 | 36-8 | 28 |
| 2. იუნაიტედი | 10 | 7 | 2 | 1 | 27-12 | 23 |
| 3. ნიუკასლი | 10 | 6 | 4 | 0 | 15-7 | 22 |
| 4. ჩელსი | 10 | 6 | 1 | 3 | 23-15 | 19 |
| 5. ტოტენჰემი | 9 | 6 | 1 | 2 | 18-14 | 19 |
| 6. ლივერპული | 10 | 5 | 3 | 2 | 14-10 | 18 |
| 7. არსენალი | 10 | 5 | 1 | 4 | 20-21 | 16 |
| 8. ნორვიჩი | 10 | 3 | 4 | 3 | 14-15 | 13 |
| 9. ასტონ ვილა | 10 | 2 | 6 | 2 | 13-13 | 12 |
| 10. სუონსი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-15 | 12 |
| 11. სტოკ სიტი | 10 | 3 | 3 | 4 | 8-14 | 12 |
| 12. ქუინზ პარკი | 10 | 3 | 3 | 4 | 8-17 | 12 |
| 13. ვესტ ბრომვიჩი | 10 | 3 | 2 | 5 | 9-13 | 11 |
| 14. სანდერლენდი | 10 | 2 | 4 | 4 | 14-12 | 10 |
| 15. ფულჰემი | 10 | 2 | 4 | 4 | 13-12 | 10 |
| 16. ევერტონი | 9 | 3 | 1 | 5 | 10-13 | 10 |
| 17. ვულვზი | 10 | 2 | 2 | 6 | 9-17 | 8 |
| 18. ბლექბერნი | 10 | 1 | 3 | 6 | 13-23 | 6 |
| 19. ბოლტონი | 10 | 2 | 0 | 8 | 13-27 | 6 |
| 20. უიგანი | 10 | 1 | 2 | 7 | 6-17 | 5 |

**ბომბარდირები:** 10 - ვან პერსი (არსენალი); 9 - აგუერო (სიტი), ჯეკო (სიტი), რუნი (იუნაიტედი) 8 – ბა (ნიუკასლი); 6 - ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი); 5 - ბალოტელი (სიტი), ლემპარდი (ჩელსი), 4 - აგბონლაჰორი, გრემი (სუონსი), ერნანდესი (იუნაიტედი), სტარიჯი (ჩელსი), სუარესი (ლივერპული); 3 - ბეილი (ტოტენჰემი), ადებაიორი (ტოტენჰემი).

# სიტი და დიდი რბოლა

მიმოხილვა ლიდერის, „მანჩესტერ სიტის" ამბებით დავიწყოთ. **რობერტო მანჩინის** საუცხოო ფორმაში მყოფი გუნდი დასავლეთ ლონდონში „ქუინზ პარკ რეინჯერსს" სტუმრობს. შეგახსენებთ, რომ მას მერე, რაც 27 სექტემბერს მიუნხენში, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში „ბაიერნთან" 2:0 წააგო (ეს ის მატჩია, რომელშიც **კარლოს ტევესმა** მოედანზე შესვლაზე უარი თქვა), „სიტის" მარცხის სიმწარე აღარ უგრძვნია - ყველა შეჯიბრებაში ერთად, ზედიზედ შვიდი თამაში მოიგო. ისტლენდელები შემტევ ფეხბურთს თამაშობენ (10 შეხვედრაში 36 გოლი) და პრემიერლიგის ცხრილში „მანჩესტერ იუნაიტედს" მთელი 5 ქულით უსწრებენ. თუ არ დაიზარებთ და ბომბარდირთა სიასაც ჩახედავთ, ნახავთ, რომ პრემიერშიფის შვიდი საუკეთესო ბომბარდირიდან სამი „სიტის" ფეხბურთელია - **ედინ ჯეკო, სერხიო აგუერო** და **მარიო ბალოტელი.** ამ ფორვარდებს ზურგს **დავიდ სილვა** და **სამირ ნასრი** უმაგრებენ, რომელთაც, შესაბამისად 7 და 6 საგოლე პასი აქვთ გადაწოდებული.

რაც შეეხება „ქუინზ პარკს", პრემიერლიგაში ახლახან აღზევებულ გუნდს „სიტიში" ნათამაშები ორი ფეხბურთელი ჰყავს: **შონ რაიტ-ფილიპსი** და **ჯოი ბარტონი.** „რეინჯერსი" მე-12 ადგილზეა. სტატისტიკა გვეუბნება, რომ „სიტისთან" ბოლო ექვსი შეხვედრიდან ერთიც არ წაუგია. მეცხრე და მეათე ტურებში დასავლეთლონდონელებს თანაქალაქელებთან ჰქონდათ „საქმის გარჩევა". ჯერ იყო და „ჩელსის" მოუგეს (!) 1:0, მერე კი „ტოტენჰემთან" 3:1 წააგეს.

„სიტის" მდევარი „მანჩესტერ იუნაიტედი" „ოლდ ტრეფორდზე" „სანდერლენდს" მასპინძლობს. სერ **ალექს ფერგიუსონის** „იუნაიტედში" მუშაობის 25 წლისთავზე გუნდი, რასაკვირველია, დამატებით გახლავთ მობილიზებული. ინგლისის ჩემპიონის ამოცანა მხოლოდ ერთია - „შავი კატები" დაამარცხოს და „სიტის" კისერში მდევრის შემაწუხებელი სუნთქვა აგრძნობინოს.

მანჩესტერულ დერბიში 6:1 დამარცხების შემდეგ „იუნაიტედმა", ყველა შეჯიბრებაში ერთად, ზედიზედ სამი თამაში მოიგო. ბოლო პერიოდში თვალშისაცემი კიდევ ის გახლდათ, რომ **უეინ რუნი** ჩემპიონთა ლიგაში „ოცელულთან" შეხვედრაში სერ ალექსმა მისთვის უჩვეულო პოზიციაზე, ნახევარდაცვაში ათამაშა, თუმცა, თუ „სანდერლენდთან" შეხვედრაში მოედანს გამოჯანმრთელებული **ტომ კლევერლი** დაუბრუნდება, მაშინ რუნი შესაძლოა ჩვეულ ამპლუაში დაბრუნდეს. კლევერლის მოედნის შუაში პარტნიორობას **დარენ ფლეტჩერი** გაუწევს.

„შავ კატებს" კი ცხრილის ზედა ნახევრის გუნდებთან ცუდი სტატისტიკა აქვთ. „არსენალზე", „ჩელსიზე" და „ნიუკასლზე" აღარ არის ლაპარაკი, გუნდმა მერვე ადგილზე მყოფ „ნორვიჩთანაც" კი წააგო.

„ნიუკასლ იუნაიტედს" ათი ტურის შემდეგ მესამე ადგილზე არავინ ელოდა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: „კაჭკაჭები" მესამე პოზიციაზე არიან და „ევერტონს" მასპინძლობენ. მერედა, მესამე ადგილზე ყოფნასაც გააჩნია - **ალან პერდიუს** შეგირდები მიმდინარე პირველობაზე ჯერ არ დამარცხებულან. ცხრილში ასეთი გუნდი ორი დარჩა, „სიტი" და „ნიუკასლი". გუნდი შესანიშნავ ფორმაში რომ არის ორშაბათსაც დამტკიცდა, როდესაც **დემბა ბას** ჰეთ-თრიკით „კაჭკაჭებმა" „სტოკ სიტი" გაანადგურეს. „ევერტონი" კი ამ სეზონში წვალობს, ცუდ ფორმაშია. ბოლო ტურში შინ დამარცხდა „მანჩესტერ იუნაიტედთან", 0:1.

„ჩელსი" „ივუდ პარკზე" „ბლექბერნს" სტუმრობს. ერთი რამ უეჭველია: „ლურჯებმა" ბოლო პერიოდის ჩავარდნას ბოლო უნდა მოუღონ. ეს არის მატჩი, რომელშიც **ანდრე ვილაშ-ბოაშის** შეგირდებს (რომელთა დიდი ნაწილი ასაკით მისი ტოლია) აუცილებლად გამაჯვება მართებთ.

შეგახსენებთ „ჩელსის" ბოლო სამი შეხვედრის შედეგებს: მარცხი „ქუინზ პარკ რეინჯერსთან", მარცხი „არსენალთან" და ფრე ბელგიურ „გენკთან", ჩემპიონთა ლიგაში. პრემიერლიგის ერთ-ერთ ფავორიტს ასე თამაში არ ეკადრება და გუნდი მდგომარეობის გამოსწორებას „ბლექბერნთან" შეხვედრაშივე შეეცდება.

ამ შეხვედრის მასპინძლებმა კი წინა ტურში, „ნორვიჩთან", ფაქტობრივად მოგებული თამაში გაატანეს ქარს - 3:1-ს იგებდნენ, მაგრამ ბოლო 7 წუთში ორი გოლი გაუშვეს. ბლექბერნელთა თავკაც **სტივ კინს** არასახარბიელო შედეგების გამო კრიტიკა არ აკლია, თუმცა, იხტიბარს არ იტეხს, ამბობს, ჩემს ბიჭებს გავარდნისა არ ეშინიათო:

*„შიში რა მოსატანია, თუმცა ახალგაზრდა ფეხბურთელებისგან შეკრულ გუნდს ხანდახან საკუთარი თამაშის ჩანაწერის მშვიდად ნახვა და დაკვირვება სჭირდება".*

„ლივერპულმა" მომენტი არ უნდა გაუშვას ხელიდან, დებიუტანტ „სუონსის" უნდა მოუგოს - „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან" გამარჯვების შემდეგ მერსისაიდელებს კიდევ ერთი წარმატება სჭირდებათ, თავი კიდევ უფრო ყოჩაღად რომ იგრძნონ. „წითლების" გუნდში განსაკუთრებით კარგი თამაშით ურუგვაელი **ლუის სუარესი** გამოირჩევა. მან „ვესტ ბრომვიჩთან" შეხვედრაში ორი საგოლე პასი შეასრულა, მანამდე, „ქარლინგის თასზე", „სტოკ სიტისთან" კი ორი თავად გაიტანა.

სუარესს თავდასხმაში **ენდი ქეროლი** შეუწყვილდება. აი, ნახევარდაცვაში კი უფრო პრობლემურად არის საქმე, რადგან ინფენქციამ კაპიტანი **სტივენ ჯერარდი** გამოთიშა საქმეს. ჯერარდის არყოფნაში **ჩარლი ადამის** მხარდამხარ ბრაზილიელი **ლუკასი** ითამაშებს. „ლივერპულის" თავკაც **კენი დალგლიშს** აუცილებლად სჭირდება გამარჯვება. გუნდს ამ სეზონში ოთხეულში მოხვედრა აქვს დაგეგმილი და ქულების ფანტვა ყოვლად დაუშვებელია.

უელსური გუნდი კი, ყველას გასაკვირად, ათი ტურის შემდეგ მეათე ადგილზეა - სამი მოიგო, რასაც არავინ ელოდა. ახლა ოთხ დამარცხებასაც ხომ გააჩნია? „სუონსის" მოუგეს „ჩელსიმ", „არსენალმა", „მანჩესტერ სიტიმ" და „ნორვიჩმა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ არც ერთ მათგანს უელსელებთან იოლად არ გაუსეირნია. „სუონსისთვის" დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ როგორ ითამაშებს თავდამსხმელი **დენი გრემი**, რომელმაც ბოლო ოთხ შეხვედრაში ხუთი გოლი გაიტანა.

„სუონსის" თავკაცმა, **ბრენდენ როჯერსმა** თქვა: *„გასულ სეზონში, როდესაც პლეი ოფში გავიმარჯვეთ, კენი დალგლიშისგან ძალიან თბილი მილოცვის წერილი მივიღეთ. ვიცით, რომ ჩვენდამი დიდი სიმპათიით არის განწყობილი მისი ასისტენტი სტივ კლარკიც, მაგრამ ჩვენ „ენფილდ როუდზე" სამი ქულისთვის მივდივართ".*

„არსენალი" შინ თამაშობს, მისი მოწინააღმდეგე „ვესტ ბრომვიჩია". წარმატების შემთხვევაში ეს მეთოფეთა ზედიზედ მეოთხე გამარჯვება იქნება პრემიერლიგაში. ბოლო ორი შეხვედრა ჩრდილოლონდონელებს ერთმანეთისგან განსხვავებული ჰქონდათ: ინგლისის ჩემპიონატში „ჩელსისთან" საუცხოოდ ითამაშა (ყოველ შემთხვევაში, თავდასხმაში) და 5:3 მოიგო, შემდეგ კი, ჩემპიონთა ლიგაში, „მარსელთან" უსახური და უგოლო ფრე გამოუვიდა.



სიტის მთავარი დამრტყმელი ძალა: ედინ ჯეკო და სერხიო აგუერო

„ვესტ ბრომვიჩი" დედაქალაქში ორი წამყვანი ფეხბურთელის, თავდამსხმელი **შეინ ლონგისა** და მცველი **პოლ შარნერის** გარეშე ჩადის.

„ასტონ ვილა" „ნორვიჩს" მასპინძლობს. ბირმინგემელების შემადგენლობაში შეიძლება „ტოტენჰემის" მიერ გაქირავებული 28 წლის **ჯერმაინ ჯენასი** ვიხილოთ. ეს „ვილაში" მისი დებიუტი იქნება. როგორც ამბობენ, ფორვარდს ბარძაყისა და კოჭის ტრავმები დაუამდა. „ნორვიჩი" კი ყოჩაღობს და არავისთვის გახლავთ იოლად დასამარცხებელი - პრემიერლიგაში ამ სეზონში აღზევებულთაგან ცხრილში ყველაზე მაღლა სწორედ ეს გუნდია.

ცუდ დღეში მყოფი „ბოლტონი" „სტოკ სიტისთან" შეხვედრაში შეეცდება სეზონი სასიკეთოდ შემოატრიალოს. „სტოკმა" ორშაბათს „ნიუკასლთან" 3:1 წააგო და ისიც წამხდარი ნირის გამოსწორებაზე იქნება მომართული.

„უიგანი" „ვულვერჰემპტონს" ესტუმრება. გუნდის ახალგაზრდა მწვრთნელი, **რობერტ მარტინესი** შეეცდება თავისი ბიჭები ბოლო ადგილს ააცილოს. საგულისხმოა, რომ კლუბის თავმჯდომარე **დეივ უილანი** ესპანელ თავკაცს სრულ მხარდაჭერას უცხადებს.

დაბოლოს, ლონდინური დერბი: „ფულჰემი" „ტოტენჰემ ჰოთსპურის" წინააღმდეგ. დასავლეთ ლონდონის" კიდევ ერთი წარმომადგენელი, „ფულჰემი", მე-15 ადგილზეა და, წესითა და რიგით, „ტოტენჰემ ჰოთსპურს" ყველა პარამეტრით ჩამოუვარდება, თუმცა „დეზებს" ერთი ცუდი ამბავი შეემთხვათ - მათი მწვრთნელი, **ჰარი რედნაპი** ამ დღეებში ცუდად გახდა და გულის მცირე ოპერაცია, უფრო სწორად კი, სტენტირება ჩაუტარეს. მას ორი არტერია ჰქონდა ჩაკეტილი.

როგორი რეაქცია ექნებათ რედნაპის ფეხბურთელებს? მწვრთნელის გარეშე დარჩენილები დაიბნევიან თუ პირიქით, ძალ-ღონეს მოიკრებენ და რედნაპს გამარჯვებას მიუძღვნიან? ამის შესახებ უკვე ტურის მიმოხილვაში ვილაპარაკებთ.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● სერია A XI ტურის წინ

# ნეაპოლში: სამხრეთი VS ჩრდილოეთი

## კლინიკაში: TUTTO PERFETTO

**დღეს**

**პალერმო-ბოლონია 21.00**

**დისკვალიფიკაცია:** პორტანოვა (ბოლონია).

**ტრავმა:** პინილია - დიამანტი, კრუზი.

**ნოვარა-რომა 23.45**

**ტრავმა:** ლიზუძო, უიკანი, დელაფიორე - ტოტი, ლობონტი, სისინიო, ბორინი, ჟუანი, პიზარო.

**ხვალ**

**ჯენოა-ინტერი 15.30**

**დისკვალიფიკაცია:** კალაძე - კივუ.

**ტრავმა:** ზე ედუარდო - პოლი, კოუტინიო, ფორლანი, ვივიანო, ჟულიო სეზარი, მაიკონი, ნაგატომო.

**მილანი-კატანია 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბოატენგი, ნოჩერინო (მილანი).

**ტრავმა:** გატუზო, ფლამინი, პატო, კასანო, ნესტა - ისკო, ალვარესი, ლიამა, სუაზო.

**ატალანტა-კალიარი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** პადოინი (ატალანტა).

**ტრავმა:** ბრიგი, ფერეირა, მანფრედინი, რაიმონდი - ასტორი, ქაბირი, ერიკსონი.

**ჩეზენა-ლეჩე 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** გუანა (ჩეზენა).

**ტრავმა:** მარტინიო, კოლუჩი, მარტინესი - დი მიკელე, დიამუტენე, ფერარიო, ობოდო, მესბა.

**კიევო-ფიორენტინა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ცეზარი (კიევო).

**ტრავმა:** სარდო, მორერო - კროლდრუპი.

**ლაციო-პარმა 18.00**

**ტრავმა:** გონსალესი, მაური, მათუზალემი - ფლოკარი, ჟადიდი.

**უდინეზე-სიენა 18.00**

**ტრავმა:** ფაბრინი, ბარეტო, ფერონეტი, პასკუალე, კოდა - პეზოლი, ვერგასოლა.

**ნაპოლი-იუვენტუსი 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** სანტანა (ნაპოლი).

**ტრავმა:** ბრიტოსი, გარგანო, დონადელი, არონიკა - ჯაკერინი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 9 | 5 | 4 | 0 | 15-7 | 19 |
| 2. უდინეზე | 9 | 5 | 3 | 1 | 11-3 | 18 |
| 3. ლაციო | 9 | 5 | 3 | 1 | 15-8 | 18 |
| 4. მილანი | 9 | 5 | 2 | 2 | 19-14 | 17 |
| 5. ნაპოლი | 9 | 4 | 2 | 3 | 13-7 | 14 |
| 6. კატანია | 9 | 3 | 5 | 1 | 12-12 | 14 |
| 7. სიენა | 9 | 3 | 4 | 2 | 11-6 | 13 |
| 8. პალერმო | 9 | 4 | 1 | 4 | 11-11 | 13 |
| 9. კალიარი | 9 | 3 | 4 | 2 | 9-9 | 13 |
| 10. ფიორენტინა | 9 | 3 | 3 | 3 | 10-8 | 12 |
| 11. ჯენოა | 9 | 3 | 3 | 3 | 13-12 | 12 |
| 12. პარმა | 9 | 4 | 0 | 5 | 12-17 | 12 |
| 13. რომა | 9 | 3 | 2 | 4 | 11-11 | 11 |
| 14. ბოლონია | 9 | 3 | 1 | 5 | 8-13 | 10 |
| 15. ატალანტა | 9 | 4 | 3 | 2 | 12-12 | 9 |
| 16. კიევო | 9 | 2 | 3 | 4 | 7-11 | 9 |
| 17. ინტერი | 9 | 2 | 2 | 5 | 11-16 | 8 |
| 18. ნოვარა | 9 | 1 | 4 | 4 | 12-17 | 7 |
| 19. ლეჩე | 9 | 1 | 2 | 6 | 7-16 | 5 |
| 20. ჩეზენა | 9 | 0 | 3 | 6 | 3-12 | 3 |

**შენიშვნა:** ატალანტა - 6 ქულა

**ბომბარდირები:** 7 - დი ნატალე (უდინეზე); 6 - ჯოვინკო (პარმა), დენისი (ატალანტა); 5 - პალასიო (ჯენოა), კლოზე (ლაციო), იოვეტიჩი (ფიორენტინა).

ტური ტრადიციულად ორ დღეზეა გაწერილი, ორი შეხვედრა დღეს გაიმართება, დარჩენილი რვა კი ხვალ. გამომდინარე იქიდან, რომ შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგის ბატალიები არ არის დაგეგმილი, ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე მოასპარეზე გუნდები კვირას ჩაატარებენ თავიანთ შეხვედრებს. შესაბამისად, უფრო დიდი ინტერესით ხვალინდელ პაექრობებს ველოდებით, განსაკუთრებით კი ერთ დაპირისპირებას, რომელიც „სტადიო სან პაოლოზე“ გაიმართება. „ნაპოლი“ „იუვენტუსს“ მიიღებს, ეს კი ის თამაშია, სადაც დუღილის ტემპერატურა უმაღლეს გრადუსს მიაღწევს...

„ნაპოლისა“ და „იუვენტუსის“ დაპირისპირება ხშირად განიხილება როგორც ჩრდილეთი VS სამხრეთი - ოდითგანვე ასე მოდის და გამონაკლისი არც მოახლოებული ჯახი იქნება. „ვეკია სენიორა“ პიემონტეს რეგიონის მკვიდრია, ჩრდილოეთ იტალიის შუაგული, სადაც ცხოვრების დონე გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე სამხრეთში. შესაბამისად, ჩრდილოური გუნდები ბევრად უფრო მდიდრები და ტიტულოვანები არიან, რაც სამხრეთელთა მუდმივი გაღიზიანების საფუძველია. სამხრეთში თვლიან, რომ ჩრდილოელები ხშირად უსამართლოდ იბრძვიან, ჩემპიონატებისა და კონკრეტული თამაშების ბედს მოედანს მიღმა წყვეტენ და სწორედ ამიტომ არიან გაცილებით უფრო წარმატებულნი. რაც შეეხებათ ჩრდილოელებს, მათთვის სამხრეთ იტალია გაჭირვებასთან, უმუშევრობასთან, უწესრიგობასთან და ათას უბედურებასთან ასოცირდება - შესაბამისად, მათთვის ძალიან ლოგიკურია, რომ სამხრეთული კლუბები ნაკლებად წარმატებულნი არიან.

„ნაპოლისა“ და „იუვენტუსის“ დაპირისპირება ჩრდილოეთისა და სამხრეთის კლასიკური დაპირისპირებაა და „სან პაოლოზე“ ნამდვილად ჩამოცხება - თუ არ გჯერათ, ტურინელთა მთავარ მწვრთნელს **ანტონიო კონტეს** მოუსმინეთ: *„კარგად მახსოვს, რა განცდებთან იყო დაკავშირებული „იუვენტუსის“ ამუნიციით „სტადიო სან პაოლოზე“ გასვლა, დამიჯერეთ, ამას ვერაფერი შეედრება. თუ სადმე მინახავს ზღვარსგადასული ემოცია, ეს სწორედ ნეაპოლში გახლავთ, როდესაც იქ „ვეკია სენიორა“ ჩადის. პირადად მე, მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ „ნაპოლისთვის“ მთავარი „იუვენტუსთან“ გამარჯვება იყო და არა ჩემპიონატში წარმატების მიღწევა. ამიტომ, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ და მაქსიმალურად დავიზღვიოთ თავი შეცდომებისგან. სრული კონცენტრირება უნდა მოვახდინოთ უშუალოდ თამაშზე და არ მივაქციოთ ყურადღება ტრიბუნებზე შეკრებილ გულშემატკივრებს. მჯერა, რომ ჩვენ ამის გაკეთება შეგვიძლია“.*

მიუნხენში ნაომარ „ნაპოლის“ კიდევ ერთი, ურთულესი მატჩის გადატანა მოუწევს - იტალიელ ჟურნალისტებს ყველაზე მეტად ერთი კითხვა აწუხებთ: ხომ არ გადაიღალა ნეაპოლური გუნდი? - ამაზე გუნდის მთავარი მწვრთნელი **ვალტერ მაძარი** ისაუბრებს: *„ჯერ კიდევ სეზონის წინ აღვნიშნე, რომ ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა სერია A-ში მინიმუმ 10 ქულას დაგვაკარგინებს. ვერ მოვიტყუები და ვერ ვიტყვი, რომ ასეთი გრაფიკი გუნდის ფიზიკურ კონდიციაზე უარყოფითად არ აისახება. ასე ნამდვილად არ არის, მაგრამ მთლიანობაში სიტუაციას ვაკონტროლებ და თითოეულ შეხვედრაში შეგირდებს გამარჯვებისთვის ვამზადებ. „იუვენტუსთან“ ძალიან საინტერესო დაპირისპირება გველის, რომელიც ტრიბუნებზე შეკრებილ გულშემატკივრებს უდიდეს სიამოვნებას მიანიჭებს. აუცილებლად პირველი ნომრიდან ვითამაშებთ, დღეს მხოლოდ ეს შემიძლია გითხრათ, დანარჩენი კი მოედანზე გამოჩნდება“.*

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი - ფერნანდესი, კანავარო, კამპანიარო - მაჯო, ჯემაილი, ინლერი, დოსენა - ჰამშიკი, ლავეცი - კავანი.

**იუვენტუსი (4-2-3-1):** ბუფონი - ლიხტშტაინერი, ბარცალი, ბონუჩი, კიელინი - მარკიზიო, პირლო - პეპე, ვიდალი, ვუჩინიჩი - მატრი.

ორიოდე სიტყვა მილანური გრანდების შესახებ უნდა ვთქვათ: „ინტერს“ „ჯენოასთან“ უწევს გასვლითი პაექრობა, ხოლო „მილანი“ „კატანიას“ მიიღებს. ჯერ „ნერაძურის“ შესახებ ვთქვათ, რომელიც მე-16 ადგილზეა სატურნირო ცხრილში და თუ კიდევ დაუცდა ფეხი, სავარაუდოდ, გასავარდნ ზონაში ამოყოფს თავს, ეს კი ლომბარდიული გრანდისთვის უდავოდ სამარცხვინო ამბავი იქნება. ისედაც, მილანელებს სარეაბილიტაციოდ აქვთ საქმე და გენუაში სამი ქულის მოსაპოვებლად მიდიან.

„გაძეტა დელლო სპორტის“ ვარაუდით, **კლაუდიო რანიერი** ამჯერად **მაურო სარატეს** დატოვებს თადარიგში, შეტევის წინა ხაზზე კი **დიეგო მილიტოსა** და **ჯამპაოლო პაცინის** ტანდემი გაირჯება. სრულ მზადყოფნაშია **ვესლი სნეიდერი**, რომელიც გამთამაშებლის პოზიციას დაიკავებს. „ინტერს“ დაცვაში აქვს პრობლემები, რაც **მაიკონის, ნაგატომოს, სამუელის** და **კორდობას** ტრავმებით არის განპირობებული. ამასთან, დისკვალიფიცირებულია **კრისტიან კივუ**, რომელიც „ჯენოასთან“ თამაშს ნებისმიერ შემთხვევაში გამოტოვებს. აქვე დავაზუსტოთ, რომ სამუელის და კორდობას ტრავმები მსუბუქია,. სავარაუდოდ, სათადარიგოთა სკამზე ისხდებიან და საჭიროების შემთხვევაში ჩაერთვებიან კიდეც თამაშში. აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ **კახა კალაძის** სახით, დანაკლისი მასპინძლებსაც აქვთ - ქართველი მცველი კივუს მსგავსად დისკვალიფიცირებულია. დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება და დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „მილანი“ „კატანიას“ დაუპირისპირდება, გუნდს, რომელიც ძალიან კარგად ასპარეზობს მიმდინარე სეზონში და შემთხვევით არ უკავია სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილი. სიცილიელებმა ურთულეს მატჩებში მოახერხეს ქულების აღება და „სან სიროზე“ განწირულნი ნამდვილად არ არიან. ბუნებრივია, ამის შესახებ სიტყვის გაგონება არ სურს **მასიმილიანო ალეგრის** და შეგირდებს გამარჯვებაზე გეშავს:

*„ჩემპიონატის ლიდერს რთული გასვლითი მატჩი აქვს, დიდია შანსია, ქულები დაკარგოს, რაც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. „კატანია“ კარგი გუნდია, სიცილიელები შესანიშნავად იცავენ თავს და სწრაფად გადადიან კონტრშეტევებზე - ამაზე აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება და ზონები არ მოვაშიშვლოთ. ბუნებრივია, პირველი ნომრიდან ვითამაშებთ და ჩვენი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება იქნება“.*

ალეგრი შეტევის წინა ხაზზე **ზლატან იბრაჰიმოვიჩისა** და **რობინიოს** ტანდემს გაამწესებს, მათ უკან კი გამოჯანმრთელებული **კლარენს ზეედორფი** გაირჯება. ყოველ შემთხვევაში, ასეთ პროგნოზს აკეთებს ავტორიტეტული გამოცემა და არ გვაქვს საფუძველი, რომ არ დავუჯეროთ. გამომდინარე იქიდან, რომ **ანტონიო ნოჩერინო** და **კევინ პრინს ბოატენგი** დისკვალიფიცირებულნი არიან, ძირითადი შემადგენლობისკენ **მასიმო ამბროზინის** გაეხსნა გზა, რომელიც **მარკ ვან ბომელის** და **ალბერტო აკვილანის** მხარდამხარ იასპარეზებს. ვნახოთ, როგორ გაირჯება „მილანი“ და ნააქცევს თუ არა კერკეტ მეტოქეს.

ბოლოს, **ანტონიო კასანოს** შესახებ ვთქვათ: „როსონერის“ და იტალიის ნაკრების ფორვარდს გუშინ დილით ოპერაცია გაუკეთეს, რის შემდეგაც მას „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** ესტუმრა; კლინიკიდან გამოსულ გალიანის ჟურნალისტებმა კითხვები დააყარეს, რომელიც რა თქმა უნდა ოპერაციას და ფეხბურთელის ჯანმრთელობის მდგომარეობას ეხებოდა - სენიორ ადრიანომ მედიას მოკლედ უპასუხა: tutto perfetoo (ყველაფერი შესანიშნავადაა).

**P.S. ნუხელ გახდა ცნობილი, რომ „ჯენოა“-„ინტერი“ გადაიდო ლიგურიის მხარეში კოკისპირული წვიმების გამო.**

**ლაშა წიკლაური**



ნეაპოლში დიდი მატჩია

**ამბები**

### სასჯელი რუმინულად

რუმინულმა "პეტროლულმა" წინა უქმეებზე "სტიაუას" უმასპინძლა და თავი შეირცხვინა. არა, დიდი ანგარიშით არ წაუგია, მაგრამ ამას ნამდვილად თავის მოჭრა ჰქვია. პირველი ტაიმის მიწურულს მსაჯის მიერ მასპინძელთა კარში დანიშნულ პენალტს ტრიბუნებმა არნახული აგრესიით უპასუხეს. მავანი ხულიგანი მინდორზე შეიჭრა და **გეორგე გალამაზს** ყურში ისე ძლიერად ჩასცხო, რომ ეს უკანასკნელი უმალ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ყურის ბარაბნის ნაწილობრივი დაზიანება დაუდგინეს. ფეხბურთელი საავადმყოფოდან იმ საღამოსვე გამოწერეს. ალბათ გახსოვთ, რომ ეს არ იყო ყველაფერი, რაც იმ დღეს მოედანზე მოხდა. "სტიაუას" ფეხბურთელებმა თანაგუნდელზე შური იძიეს და თავდამსხმელს კარგა გვარიანად ურტყეს, რის გამოც მსაჯმა **ნოვან მარტინოვიჩი** და **რაზვან სტანკა** მინდვრიდან გააძევა. სადისციპლინო კომიტეტმა ფეხბურთელებისთვის სასჯელის გამოტანა გარკვეული ხნით გადადო. იმავე კომიტეტის გადაწყვეტილებით "პეტროლულს" ტექნიკური ნაგება 3:0 ჩაეთვალა, ის 6 შეხვედრას ჩაატარებს ცარიელი ტრიბუნების წინ და ამასთან ჯარიმის სახით 19 ათას დოლარს გადაიხდის.

### სპორტინგი ლიდერის გარეშე

"სპორტინგის" 24 წლის შემტევმა ნახევარმცველმა, არგენტინელმა **ფიტო რინაუდომ** რუმინული "ვასლუის" წინააღმდეგ ევროპის ლიგის მატჩის მე-12 წუთზე ფეხი მოიტეხა. სასწრაფო დახმარების მანქანამ ის უმალ საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც პირველადი დიაგნოზი დაადასტურეს. წინასწარი მონაცემებით, ფეხბურთელი 4-5 თვეს გამოტოვებს. "სპორტინგის" მთავარი მწვრთნელის **დომინგუშ პასიენსიას** თქმით, მომხდარით ის უბრალოდ შოკირებულია.

### კიდევ ერთი არაბი ინვესტორი

საბერძნეთში მძვინვარე პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის ფონზე ასეთ გადაწყვეტილებას არავინ ელოდა, მაგრამ ეს მაინც მოხდა. საუდის არაბეთის ერთ-ერთმა პრინცმა, 26 წლის **ნასერ ალ საუდის** პრესსამსახურმა განაცხადა, რომ ისინი უახლოეს დღეებში დაასრულებენ მოლაპარაკებას ბერძენ ბიზნესმენ **იანის ვერდინოიანისთან** და მისგან "პანათინაიკოსის" აქციების 54,7%-ს შეიძენენ. გარიგებას ხელი 21 ნოემბერს ათენში მოეწერება, თუმცა სერიოზულ ფინანსურ კრიზისში ჩავარდნილი კლუბი თანხებს ჯერ კიდევ იქამდე მიიღებს. პრინცი კლუბს 15 მილიონ ევროს უახლოეს დღეებში გადასცემს. იანის ვერდინოიანისი უკანასკნელი 32 წლის განმავლობაში იყო "პანათინაიკოსის" მესაკუთრე.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XII ტურის წინ

# შვაინისთვის 2011 დამთავრებულია!

## ...მაგრამ ბაიერნმა აუგსბურგს მის გარეშეც უნდა მოუგოს

**გუშინ**

**მაინცი–შტუტგარტი 3:1**

**დღეს**

**ბორუსია (დ)–ვოლფსბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კოხი, ოვომოიელა – ჰიტცლშპერგერი, ლაკიჩი

**ვერდერი–კიოლნი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბიონიში, სილვესტრი, ბოროვსკი, ავდიჩი

**ნიურნბერგი–ფრაიბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ნილსონი, ბუნიაკუ – მუიჯა, ბიკელი, ს. ბრანდშტეტერი

**ჰოფენჰაიმი–კაიზერსლაუტ. 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** იაისლე - შიმუნეკი

**ჰერტა–ბორუსია (მ) 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კარგბო – დე კამარგო

**ლევერკუზენი–ჰამბურგი 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** რაიკოვიჩი (ჰამბურგი)
**ტრავმა:** ადლერი, ბარნეტა, ბელარაბი, ორტეგა, რენატო – ბრუმა, შტეპანეკი, არსლანი, ილიჩევიჩი, პეტრიჩი

**ხვალ**

**ჰანოვერი–შალკე 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** შმიდებახი (ჰანოვერი)
**ტრავმა:** მილერი, ანდრეასენი, კარლიტოსი – ფერმანი, ჰუგლანდი, ყენია, კლუგე

**აუგსბურგი–ბაიერნი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** იორლი - ბოატენგი
**ტრავმა:** იენტცში, დე იონგი, მიორლე, ბა, მ. ნდიენგი, ნებელი, ს. ჰაინი – რობენი, შვაინშტაიგერი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 11 | 8 | 1 | 2 | 30:3 | 25 |
| 2. შალკე | 11 | 7 | 0 | 4 | 22:16 | 21 |
| 3. ბორუსია (დ) | 11 | 6 | 2 | 3 | 21:8 | 20 |
| 4. ვერდერი | 11 | 6 | 2 | 3 | 20:14 | 20 |
| 5. ბორუსია (მ) | 11 | 6 | 2 | 3 | 13:8 | 20 |
| 6. შტუტგარტი | 12 | 5 | 3 | 4 | 18:12 | 18 |
| 7. ჰანოვერი | 11 | 5 | 3 | 3 | 14:15 | 18 |
| 8. ლევერკუზენი | 11 | 5 | 2 | 4 | 13:14 | 17 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 11 | 5 | 1 | 5 | 14:12 | 16 |
| 10. ჰერტა | 11 | 4 | 4 | 3 | 15:15 | 16 |
| 11. კიოლნი | 11 | 5 | 1 | 5 | 18:23 | 16 |
| 12. ვოლფსბურგი | 11 | 4 | 1 | 6 | 14:20 | 13 |
| 13. კაიზერსლაუტ. | 11 | 3 | 3 | 5 | 9:14 | 12 |
| 14. ნიურნბერგი | 11 | 3 | 3 | 5 | 12:18 | 12 |
| 15. მაინცი | 12 | 3 | 3 | 6 | 16:23 | 12 |
| 16. ჰამბურგი | 11 | 2 | 3 | 6 | 13:23 | 9 |
| 17. აუგსბურგი | 11 | 1 | 5 | 5 | 8:20 | 8 |
| 18. ფრაიბურგი | 11 | 2 | 1 | 8 | 14:26 | 7 |

**ბომბარდირები:** 12 – გომესი (ბაიერნი); 10 – ჰუნტელაარი (შალკე); 8 – პისარო (ვერდერი), პოდოლსკი (კიოლნი); 7 – აბდელაუ (ჰანოვერი), სისე (ფრაიბურგი), ლევანდოვსკი (ბორუსია დ), მანჯუკიჩი (ვოლფსბურგი).

გერმანიის პირველობის მე-12 ტური გუშინ მაინცში დაიწყო. დღეს გერმანიის მოქმედი ჩემპიონი 2009 წლის ჩემპიონ „ვოლფსბურგს“ ელის, გამოსწორების გზაზე დამდგარი „ვერდერი“ არასტაბილურ „კიოლნს“ დაუხვდება, „ნიურნბერგი“ და „ფრაიბურგი“ კი გადარჩენისთვის ბრძოლას იწყებენ. საღამოს, „ჰამბურგის“ ახალი მწვრთნელი **ტორსტენ ფინკი** პირველი თამაშის მოგებას ახლა გასვლით მატჩში ეცდება, მაგრამ მეტოქედ ვიცე-ჩემპიონი „ლევერკუზენი“ ჰყავს და შესაბამისად, ეს არარეალურია, ხვალ კი, ჯერ „ჰანოვერი“ და „შალკე“ გაარკვევენ ურთიერთობას, ხოლო სულ ბოლოს „ბაიერნი“ აუგსბურგში ითამაშებს.

### ჩემპიონები და მგლები

დორტმუნდის „ბორუსიამ“, როგორც იქნა, ჩემპიონთა ლიგაში პირველი გამარჯვებით გაიხარა. მართალია, გერმანიის ჩემპიონებმა „ოლიმპიაკოსთან“ ვერ იფრინეს, მაგრამ რაც მთავარია, თამაში მოიგეს (1:0) და ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსი შეინარჩუნეს. ახლა კი **იურგენ კლოპის** გუნდი ისევ ბუნდესლიგაზე უნდა გადაერთოს, სადაც „შტუტგარტთან“ წაფორხილების (1:1) შემდეგ, „ვოლფსბურგს“ მასპინძლობს და მხოლოდ გამარჯვება უნდა, რათა ლიდერ „ბაიერნს“ ძალიან არ ჩამორჩეს. მართალია, „მგლები“ არც ერთ ევროტურნირზე არ ასპარეზობენ, მაგრამ გერმანიის ჩემპიონატშიც ვერ დგანან მოწოდების სიმაღლეზე – ერთი კვირის წინ **ფელიქს მაგათის** გუნდი საკუთარ მოედანზე „ჰერტასთან“ დამარცხდა და 11 ტურის შემდეგ მე-12 ადგილზეა.

### პრინციპული დუელი ნიურნბერგში

წინა ტური „ნიურნბერგისთვისაც“ წარუმატებელი გამოდგა: **დიტერ ჰეკინგის** ბიჭები ბავარიულ დერბიში „ბაიერნთან“ განადგურდნენ, დღეს კი გადარჩენისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტ „ფრაიბურგს“ უმასპინძლებენ და ცხადია, ამ თამაშის მოგება უნდათ. „ფრაის“ ზედიზედ ექვსი თამაში აქვს წაგებული, რამაც ბრაისგაუელები ბოლო ადგილზე დაამკვიდრა, რაც იმას ნიშნავს, რომ წესით, „ფრაიბურგმაც“ კბილებითა და ფრჩხილებით უნდა იბრძოლოს. „ნიურნბერგს“ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გამოუჯანმრთელდა – **შეფერს, პინოლას, აიგლერსა** და **ფოილნერს** დღეს მოედანზე გასვლა შეუძლიათ, რაც ჰეკინგისთვის დიდი შელავათია. მართალია, „ფრაიბურგი“ ბოლო ადგილზეა, მაგრამ ეს გუნდი მაინც არ არის ხელწამოსაკრავი, რადგან „ბაიერნის“ გარდა, თითქმის ყველა მეტოქეს ტოლ-სწორად ეთამაშება ხოლმე.

### ბრემენი პისაროსთვის ლოცულობს

ბრემენის „ვერდერი“ ამ სეზონში ჯერჯერობით კარგად გამოიყურება.




თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ „მუსიკოსებმა“ წინა სეზონი ჩააგდეს, 11 ტურის შემდეგ მეოთხე ადგილზე ყოფნისთვის **თომას შააფის** სამწყსო ნამდვილად ქებას იმსახურებს. ცხადია, ბრემენელთაგან ყველაზე მეტად ისევ **კლაუდიო პისარო** გამოირჩევა, რომელსაც უკვე 8 გოლი აქვს გატანილი. ბრემენელები სწორედ ამიტომ იმედოვნებენ, რომ გამოცდილი პერუელი თავდამსხმელი წინა ტურში (3:1 მაინცთან) მიღებული ტრავმის მოშუშებას მოასწრებს და „კიოლნთან“ შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს. თამამად უნდა ითქვას, რომ „კიოლნი“ დღესდღეობით ყველაზე არასტაბილური გერმანული კლუბია - ჯერ „ლევერკუზენს“ (4:1) და „აუგსბურგს“ (3:0) გაანადგურებს, მერე კი შეუძლია, დორტმუნდში (0:5), გელზენკირხენსა (1:5) და ბერლინშიც კი (0:3) საშვილიშვილოდ შერცხვეს. აქედან გამომდინარე, ამ გუნდზე წინასწარ რამის თქმა ძალიან რთულია – არავინ იცის, როგორ ითამაშებენ „თხები“ ბრემენში. დანამდვილებით ვერც იმას ვიტყვით, დაუბრუნდება თუ არა **სტალე სოლბაკენის** გუნდს კაპიტანი და დაცვის ბურჯი **პედრო ჟერომელი**, რომელმაც ტრავმა კი მოიშუშა, მაგრამ მოედანზე გასვლა მისთვის შესაძლოა ნაადრევი იყოს.

### ჰოფენჰაიმის რეალობა

„კიოლნისგან“ განსხვავებით, „ჰოფენჰაიმი“ ყველაფერში თავიდან ბოლომდე გარკვეული და ჩამოყალიბებული გუნდია. აგერ უკვე მეორე სეზონია, რაც „სოფლელები“ პირველიდან ბოლო ტურამდე ცხრილის შუაში იმყოფებიან ხოლმე – არც მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხის წინაშე დგებიან და ვერც ევროტურნირებისთვის იბრძვიან. ამიტომაც თქვა „ჰოფეს“ თავკაცმა **ჰოლგერ სტანისლავსკიმ** „შალკესთან“ წაგებული (1:3) მატჩის შემდეგ, საშუალო დონის გერმანული გუნდი ვართ და ეს რეალობაა, რომელიც აუცილებლად უნდა მივიღოთო. „ჰოფენჰაიმი“ დღეს „კაიზერსლაუტერნს“ მასპინძლობს, გუნდს, რომლის მიზანი სწორედ ისაა, რისთვისაც „ჰოფეს“ უკვე მიღწეული აქვს – საშუალო დონე. „ეშმაკები“ ამ მხრივ სწორ გზას ადგანან, რადგან ბოლო სამი თამაშიდან ორი მოიგეს და ერთი ფრედ დაასრულეს.

### ლუსიენის დაბრუნება ბერლინში

4 მოგება, 4 ფრე, 3 მარცხი – ბერლინის „ჰერტა“ ჯერჯერობით საკმაოდ კარგად გამოიყურება და შეიძლება ითქვას, რომ თუ **ლევან კობიაშვილი** და კომპანია ასე გააგრძელებენ, ელიტიდან გავარდნის საფრთხე ნამდვილად არ დაემუქრებათ. წინა ტურში **მარკუს ბაბელის** გუნდმა „ვოლფსბურგიდან“ სამი ქულა წაიღო, დღეს კი ამ სეზონის აღმოჩენას, მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ მასპინძლობს. ის, რომ „გლადბახი“ ჯერჯერობით სეზონის მთავარი აღმოჩენაა, მწვრთნელ **ლუსიენ ფავრის** დამსახურებაა, რომელიც ადრე „ჰერტას“ ავარჯიშებდა და მას მერე, რაც ბერლინული კლუბიდან გააგდეს, გერმანიის დედაქალაქში პირველად ჩადის.

### ფინკის ეფექტი ჯერ არ ჩანს

შაბათის მთავარი მატჩი კი „ლევერკუზენისა“ და „ჰამბურგის“ დაპირისპირებაა, რომელიც ოდნავ მოგვიანებით დაიწყება. „ფარმაცევტები“ ჩემპიონთა ლიგაში „ვალენსიასთან“ 1:3 დამარცხდნენ და მდგომარეობა გაირთულეს. გერმანიის ჩემპიონატში კი, **რობინ დუტის** შეგირდებმა „ფრაიბურგთან“ გამარჯვებას „ჰამბურგთან“ მოგებაც თუ არ მოაყოლეს, ლიდერებს კიდევ უფრო დაშორდებიან. „ჰამბურგმა“ **ტორსტენ ფინკის** მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ თამაში კი გამოასწორა, მაგრამ შედეგი ვერა და ვერ დადო – საკუთარ მოედანზე „ვოლფსბურგთან“ და „კაიზერსლაუტერნთან“ ფრეებს ფინკს აქტივში ნამდვილად ვერ ჩავუთვლით. ახლა კი ჩრდილოელებმა გასვლით მატჩში უნდა სცადონ ბედი და თანაც „ბაი არენაზე“, სადაც ფინკი ტრავმირებულ **პეტრიჩს** და დისკვალიფიცირებულ **რაიკოვიჩს** ვერ გამოიყენებს.

### ევროპამოვლილების ჯახი ჰანოვერში

ხვალ ევროპის ლიგის მონაწილეებს შორის პირველი მატჩი გაიმართება: „ჰანოვერი“ „შალკეს“ დაუხვდება. „ბაიერნის“ დამარცხების შემდეგ, „ჰანოვერმა“ მიონხენგლადბახში წააგო, მაგრამ მერე „კოპენჰაგენი“ დაამარცხა (სტუმრად, 2:1) და **მირკო სლომკას** შეგირდები ხასიათზეც მოვიდნენ. „შალკე“ **ჰუუბ სტევენსის** ხელში ძალიან კარგ ფორმაშია, რაც მეტწილად შესანიშნავ ფორმაში მყოფი **კლაას-იან ჰუნტელაარის** დამსახურებაა, რომელსაც ბუნდესლიგაში 10 გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირთა დავაში პირველ ადგილზე მყოფ **მარიო გომესს** მხოლოდ ორი გოლით ჩამორჩება. თუმცა ევროპის ლიგის მორიგ მატჩში ჰუნტელაარმა გოლის გატანა ვერ შეძლო (0:0 ლარნაკასთან) და თან ცხვირი გაუტეხეს, თუმცა ეს ხვალ მოედანზე გასვლაში ხელს არ შეუშლის.

### ბაიერნის გასეირნება აუგსბურგში

ტურს რეკორდმაისტერი დახურავს: „ბაიერნი“ აუგსბურგში **ბასტიან შვაინშტაიგერის** გარეშე ჩადის, რადგან ამ უკანასკნელმა „ნაპოლისთან“ შეხვედრაში საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო. თუმცა წესით, მიუნხენელებს ელიტაში ახალაღზევებულ აუგსბურგელებთან გამარჯვება არც შვაინის გარეშე უნდა გაუჭირდეთ. თანაც, **იოს ლუჰუკაის** გუნდს საკადრო პრობლემები მაინცდამაინც ახლა მიეძალა – კაპიტანი **მიორლე** ტრავმირებულია, თავდამსხმელი **იორლი** - დისკვალიფიცირებული, ძირითადმა მეკარემ, **სიმონ იენტცშმა** კი თითი მოიტეხა და მოედანზე გასვლას ვერც ის მოახერხებს. მოკლედ, **აკაკი გოგიას** გუნდს ეს თამაში კარგს არაფერს უქადის.

გერმანიის ნაკრები



ფილიპ ლამი

# ლიოვი ლამს ასვენებს!

## 300 000 ევრო თითოეულს, ევროპის ჩემპიონობისთვის

გერმანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ მასპინძელ უკრაინასთან (11 ნოემბერს) და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ ჰოლანდიასთან (15 ნოემბერს) ამხანაგურ მატჩებს **ფილიპ ლამის** გარეშე ჩაატარებს – ბუნდესგუნდის თავკაცმა **იოახიმ ლიოვმა** გადაწყვიტა, რომ კაპიტანი დაასვენოს. იოგი ნაწილობრივ ასვენებს პირველ მეკარე **მაუნელ ნოიერსაც**, რომელიც განაცხადში მხოლოდ ჰოლანდიასთან შეხვედრაში იქნება, უკრაინასთან კი თავის გამოჩენის შანსი ტაიმების მიხედვით **ტიმ ვიზეს** და **რონ-რობერტ ცილერს** მიეცემათ.

ლიოვი იძულებული გახდა, უარი ეთქვა **ბასტიან შვაინშტაიგერზეც**, რომელიც „ბაიერნისა“ და „ნაპოლის“ მატჩის დროს დაშავდა და ოპერაცია სჭირდება. სამაგიეროდ, გერმანიის ნაკრებში დორტმუნდელი **მარსელ შმელცერი**, ლევერკუზენელი **ლარს ბენდერი** და რომის „ლაციოს“ ფორვარდი **მიროსლავ კლოზე** ბრუნდებიან - ეს უკანასკნელი თურქეთთან (1:0) და ბელგიასთან (3:1) შეხვედრებში ბუნდესგუნდს მხოლოდ და მხოლოდ ტრავმის გამო აკლდა.

*„ფილიპ ლამს ხუთშაბათს ვესაუბრე და ერთად გადავწყვიტეთ, რომ უმჯობესი იქნება, დაისვენოს. ბოლო დროს ფილიპი კვირაში ორ მატჩს ატარებს და ნაკრების ამხანაგურ მატჩებში აღარ დავტვირთავ. თანაც, მინდა, რომ დაცვის მარცხენა ფრთაზე ალტერნატიული კანდიდატები კარგად გამოვცადო,“* - აცხადებს ლიოვი „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ლამი და ლიოვი კიდევ ერთ რამეზე შეთანხმდნენ: ევროპის ჩემპიონატის მოგების შემთხვევაში, გერმანიის ნაკრების თითოეული ფეხბურთელი პრემიის სახით 300 000 ევროს მიიღებს. ბუნდესგუნდის განაცხადი კი, უკრაინასთან და ჰოლანდიასთან ტესტ-მატჩებისთვის, ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** *მანუელ ნოიერი (ბაიერნი/მხოლოდ ჰოლანდიასთან), ტიმ ვიზე (ვერდერი), რონ-რობერტ ცილერი (ჰანოვერი)*

**მცველები:** *დენის აოგო (ჰამბურგი), ჟერომ ბოატენგი (ბაიერნი), ჰოლგერ ბადშტუბერი (ბაიერნი), ბენედიქტ ჰიოვედესი (შალკე), მატს ჰუმელსი (ბორუსია დ), პერ მერტეზაკერი (არსენალი), კრისტიან ტრეში (ვოლფსბურგი), მარსელ შმელცერი (ბორუსია დ).*

**ნახევარმცველები:** *ლარს ბენდერი (ლევერკუზენი), მარიო გიოტცე (ბორუსია დ), სამი ხედირა (რეალი), ტონი კროოსი (ბაიერნი), ანდრე შიურლე (ლევერკუზენი), ლუკას პოდოლსკი (კიოლნი), თომას მიულერი (ბაიერნი), მესუთ იოზილი (რეალი), მარკო როისი (ბორუსია მ), სიმონ როლფესი (ლევერკუზენი).*

**თავდამსხმელები:** *მარიო გომესი (ბაიერნი), მიროსლავ კლოზე (ლაციო), კაკაუ (შტუტგარტი).*

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XI ტურის წინ

# დილაუთენია სანტიაგო ბერნაბეუზე: მეტოქე ლიდერთა რისხვაა

## მადრიდული, ვალენსიური და ანდალუსიური დერბები

### დღეს

**მალიორკა-სევილია 21:00**

**ტრავმა:** ლაკრუსი, კასერესი - კანუტე (?), პეროტი, ნეგრედო

**ბეტისი-მალაგა 23:00**

**ტრავმა:** ამაია (?), მარიო (?), ჩიკა (?), ვადილიო, მომო, სანტა კრუსი - ბაპტიშტა (?), სტადსგაარდი (?), მარესკა

**ლევანტე-ვალენსია 01:00**

**ტრავმა:** ხორდა (?) - ბანეგა, ბრუნო, კანალესი, მადურო

### ხვალ

**რეალი-ოსასუნა 15:00**

**ტრავმა:** არბელოა (?), მარსელო, კაკა, რიკარდო კარვალიო - მასუდი, ბერტრანი, რაიტალა (?), როვერსიო, ეჩაიდე, ლამა, სერხიო

**დისკვალიფიკაცია:** სეხუდო (ოსასუნა)

**გრანადა-რასინგი 19:00**

**ტრავმა:** სამპერიო (?), კენედი (?), აკოსტა (ყველა რასინგი)

**დისკვალიფიკაცია:** დიოპი

**სარაგოსა-სპორტინგი 19:00**

**ტრავმა:** პინტერი, ბრაულიო, მინერო - ლორა (?), ნაჩო კასესი

**დისკვალიფიკაცია:** მეირა (სარაგოსა)

**ესპანიოლი-ვილიარეალი 21:00**

**ტრავმა:** მარკესი (?), ალბინი, მატიონი - საპატა, სენა, ნილმარი, რუბენი (?), მარჩენა (?), როსი, კამუნიასი (?), კანი

**რაიო ვალეკანო-რეალ სოსიედადი 21:00**

**ტრავმა:** ბრავო (?), ტამუდო, ბოტელიო (?) - ილარამენდი (?), ზურუტუზა

**დისკვალიფიკაცია:** არიბასი (რაიო)

**ბილბაო-ბარსელონა 23:00**

**ტრავმა:** დ. ლოპესი (?), გაბილონდო (?), ეკიზა (?), მარტინესი, კასტილიო, ამორებიეტა, გურპეგი - აფელაი, პედრო

**ხეტაფე-ატლეტიკო 01:00**

**ტრავმა:** მასილელა, პედრო ლეონი, გავილანი, უსტარი - კოშტა, ხუანფრანი (?)

**დისკვალიფიკაცია:** პერესი - სუარესი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 10 | 8 | 1 | 1 | 32-6 | 25 |
| 2. ბარსელონა | 10 | 7 | 3 | 0 | 32-4 | 24 |
| 3. ლევანტე | 10 | 7 | 2 | 1 | 17-7 | 23 |
| 4. ვალენსია | 10 | 6 | 3 | 1 | 15-9 | 21 |
| 5. სევილია | 10 | 4 | 5 | 1 | 11-8 | 17 |
| 6. მალაგა | 10 | 5 | 1 | 4 | 12-14 | 16 |
| 7. ესპანიოლი | 10 | 5 | 0 | 5 | 9-13 | 15 |
| 8. ოსასუნა | 10 | 3 | 5 | 2 | 13-17 | 14 |
| 9. ბილბაო | 10 | 3 | 4 | 3 | 15-12 | 13 |
| 10. ატლეტიკო | 10 | 3 | 4 | 3 | 12-11 | 13 |
| 11. ვალეკანო | 10 | 3 | 3 | 4 | 10-13 | 12 |
| 12. ბეტისი | 10 | 4 | 0 | 6 | 10-15 | 12 |
| 13. ვილიარეალი | 10 | 2 | 4 | 4 | 9-17 | 10 |
| 14. მალიორკა | 10 | 2 | 3 | 5 | 8-16 | 9 |
| 15. სარაგოსა | 10 | 2 | 3 | 5 | 10-20 | 9 |
| 16. რეალ სოსიედადი | 10 | 2 | 2 | 6 | 9-14 | 8 |
| 17. სპორტინგი | 10 | 2 | 2 | 6 | 8-14 | 8 |
| 18. რასინგი | 10 | 1 | 5 | 4 | 7-15 | 8 |
| 19. გრანადა | 10 | 2 | 2 | 6 | 4-12 | 8 |
| 20. ხეტაფე | 10 | 1 | 4 | 5 | 9-15 | 7 |

**ბომბარდირები:** 13 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 10 - გონსალო იგუაინი (რეალი), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 6 - რობერტო სოლდადო (ვალენსია), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 5 - ხუანლუ გომესი (ლევანტე), ფერნანდო ლორენტე (ბილბაო).


მესტალიაზე ახალ საფარს დააგებენ

„სანტიაგო ბერნაბეუს“ არ ახსოვს თამაში შუადღეს დაწყებულიყოს, ხვალ კი სწორედ მადრიდის დროით 12 საათზე ითამაშებს ლა ლიგის ახალი ლიდერი. „რეალი“ ლიდერობას ძალიან უნდა გაუფრთხილდეს, რადგან „ოსასუნა“ ის გუნდია, რომელსაც პირველადგილოსანთა ტრიუმფის შეწყვეტა შეუძლია. ხვალ ვალენსიური დერბია, ოღონდ პირველად ხდება, რომ ორივე ვალენსიური კლუბი ასე მაღლაა რეიტინგში, შესაბამისად, ინტრიგაც მეტია. ტურის ბოლოსკენ კი ცენტრალური მატჩი საფეხბურთო კათედრალზე გაიმართება. დიახ, არ მოგესმათ - წლებია, ქვეყანაში ბილბაოს „სან მამესმა“ მსგავსი საპატიო სახელი დაიმსახურა.

ლიდერით დავიწყოთ - „რეალი“ პამპლონის „ოსასუნას“ მასპინძლობს და, გამარჯვების შემთხვევაში, ყველა სხვა თამაშის შედეგის მიუხედავად, ლიდერად დარჩება. ბოლო მწვრთნელი, რომელმაც **ჟოზე მოურინიოს** ქულები დააკარგვინა, საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცი **ექტორ კუპერი** იყო - 21 სექტემბერს კანტაბრიაში „რასინგი“ 0:0 ეთამაშა „სამეფო კლუბს“. მას მერე „რეალმა“ ზედიზედ 9 (!!!) თამაში მოიგო, ბურთების შეფარდებით - 31:3. ალბათ, ნათელია, რა მძიმე ამოცანა აქვთ გადასაჭრელი 50 წლის ბასკი სპეციალისტის, **ხოსე ლუის მენდილიბარის** შეგირდებს. სხვათა შორის, „ოსასუნამ“ ყოჩაღად დაიწყო და 14 ქულით მე-8 ადგილზეა, მაგრამ სტუმრად ნავარულ კლუბს ჯერ არ მოუგია.

მასპინძელთაგან მთავარი მოქმედი გმირი **კრიშტიანო რონალდო** იქნება, რომელმაც შეძლო და ორ სეზონსა და ორ თვეში „რეალის“ თეთრი (ზოგჯერ, შავი) მაისურით 100-ზე მეტი გოლი გაიტანა. „რეალის“ ოფიციალურმა ვებ-გვერდმა რონალდოს 100 გოლიდან 8 საუკეთესო ამოარჩია, რომელთაგანაც საიტის სტუმრებმა პორტუგალიელის ულამაზესი გოლი უნდა დაასახელონ. ჯერჯერობით ლიდერობს კრიშტიანოს მიერ „ბარსას“ კარში „სამეფო თასის“ ფინალში გადამწყვეტი თავური 9,9 ათასი ხმით. გამოკითხვა დღეს დასრულდება.

სხვათა შორის, დიდების მწვერვალზე მყოფ პორტუგალიელს ზედიზედ 2 ტურია პრიმერა დივიზიონში არ გაუტანია. *„ყოველი გოლი განსაკუთრებულია. განსაკუთრებით კი ის, რომელიც გუნდს წარმატებას მოუტანს“*, - აცხადებს რონალდო.

ჟოზე მოურინიო უპრობლემოდ ვერ ხვდება „ოსასუნასთან“ მატჩს - საეჭვოა პორტუგალიელი **ფაბიო კოენტრაოს** თამაში, რომელიც წინა ტურში, „რეალ სოსიედადთან“ საუკეთესო იყო მოედანზე. „ლიონთან“ მატჩის მეორე ტაიმში კოენტრაომ კუნთი გაიჭიმა. მოურინიომ „ა ბოლას“ განუცხადა, რომ კოენტრაოს კიდევ აქვს თამაშის შანსი, აი, **კაკას** და **მარსელოს** მოედანზე გამოსვლა კი გამორიცხულიაო. **ალვარო არბელოა** ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც დაცვის მარცხენა ფრთაზე შეუძლია თამაში ამ სიტუაციაში, არადა, ალვაროსაც მცირე ტრავმა აქვს, თუმცა ითამაშებს.

**ნური შაჰინი**, ბუნდესლიგის გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი, რომელსაც წუთიც კი არ უთამაშია ახალ სეზონში, ნორმალურად ვარჯიშობს, თუმცა სამატჩო განაცხადში, ალბათ, არ იქნება. პარასკევს არბელოამ და კოენტრაომ ჯგუფთან ერთად ივარჯიშეს, ხოლო კაკამ, მარსელომ და **რიკარდო კარვალიომ** - დარბაზში.

„მარკამ“ ამ მატჩის წინ ყველაზე შესაფერისი რესპონდენტი... ჩინეთში მოძებნა - 56 წლის **ხოსე ანტონიო კამაჩო**, რომელსაც „რეალიც“ გაუწვრთნია (2004 წელს) და „ოსასუნაც“ (2008-2011), ახლა კი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელია. გასაკვირი არ არის, რომ კამაჩომ განაცხადა, *„ჩემი გული „რეალისკენ“ იხრებაო“* - მას ხომ 400-ზე მეტ მატჩში უთამაშია „რეალის“ მაისურით. სხვათა შორის, კამაჩომ თქვა, რომ ჩინეთში არავის აინტერესებს „რეალი“-“ოსასუნას“ დაპირისპირება, ეგ იგივეა ესპანეთში ბადმინტონში ჩინეთის ლიგის მატჩების ტრანსლირება რომ დაიწყონო...

„ოსასუნას“ ცენტრალურმა მცველმა **რუბენ გონსალესმა** განაცხადა, რომ თუკი ნავარული გუნდი ქულას წამოიღებს „სანტიაგო ბერნაბეუდან“, ეს იქნება მაქსიმუმი. *„ჩვენ არ დავნებდებით ბოლო წუთებამდე და მერე გამოჩნდა, რა შეგვიძლია რეალურად. ერთი ვიცი, რომ „ოსასუნა“ მეტოქისგან ძალიან განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობს და ეგებ ამან შეუშალოს „რეალს“ ხელი მიზნის მიღწევაში“*. ძალზე საეჭვოა სტუმართა მარცხენა მცველის, **იუკა რაიტალას** თამაში. გუშინ მას გუნდთან ერთად არ უვარჯიშია. მენდილიბარს ჯამში 6 ფეხბურთელი აკლია ტრავმების გამო (რაიტალას მათში არ ვთვლით), პლუს **ალვარო სეხუდო** „ლევანტესთან“ გაძევების გამო დისკვალიფიცირებულია. ჰო, კინაღამ დაგვავიწყდა - „ოსასუნა“ სწორედ ის გუნდია, რომელმაც „ლევანტეს“ ტრიუმფალური სვლა შეაჩერა. იქნებ, ლიდერთა რისხვამ ახლა „რეალისთვის“ მოიცალოს?

დღეს „სიუტატ დე ვალენსიაზე“ ვალენსიური დერბია და 1965 წლიდან პირველად დერბის წინ „ლევანტე“ „ვალენსიაზე“ წინაა ცხრილში - 23 ქულით მესამეა, როცა „ღამურები“ 21 ქულით მე-4 ადგილზე არიან. მოკლედ, დერბის დიდი სატურნირო მნიშვნელობა აქვს.

„ლევანტეს“ რიგებში საეჭვო იყო ფეხბურთელთა მთელი ჯგუფის თამაში, თუმცა ბოლო ცნობებით გამოჯანმრთელება ყველამ შეძლო, **არუნა კონე, ნაბილ ალ ჟარი, ხავი ვენტა** და **ხავიერ ბარკერო** მწყობრში არიან. **ხუან იგნასიო მარტინესმა** ცამდე აიყვანა „ვალენსია“ და მისი მწვრთნელი **უნაი ემერი** ქებით, თუმცა აღნიშნა, რომ მოგების შემთხვევაში მისი გუნდი ძალიან დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ. თამაში ვალენსიის მეორე სტადიონზეა, ამასობაში „მესტალიაზე“ ძველი საფარი (2009 წლისა), რომელიც კრიტიკას ვერ უძლებდა, აიღეს და ახლის დაგება დაიწყეს. კლუბმა ეს 16 ნოემბრამდე, „რეალის“ ვიზიტამდე უნდა მოასწროს.

ემერის პრობლემები დაუგროვდა: **სერხიო კანალესი** კიდევ 6 თვეს ვერ ითამაშებს, **ჰედვიგეს მადურო** - თებერვლამდე, **ევერ ბანეგა** ერთი თვით დააკლდა „ვალენსიას“. სამაგიეროდ, შესანიშნავ ფორმაშია ფორვარდი **რობერტო სოლდადო**, რომელიც აცხადებს, რომ კარიერაში ასე კარგად არასოდეს უთამაშია, მოკლედ, „ლევანტეს“ დაცვა უპირველესაც „ჯარისკაცს“ უნდა უფრთხილდეს.

დღეს კიდევ ერთი თამაშია, რომელსაც ასევე არ დაეწუნება ინტრიგა, კიდევ ერთი დერბი (ანდალუსიური): „ბეტისი“ „მალაგას“ მასპინძლობს. 4 მატჩის მოგების შემდეგ **პეპე მელის** გუნდმა ზედიზედ 6 წააგო და თუ კიდევ დამარცხდა, შეიძლება მელის სკამიც შეეწიროს ამას. ბოლოს „ბეტისმა“ სევილიაში „მალაგას“ 2004 წელს (3:0) მოუგო. **მანუელ პელეგრინის** გუნდიც ისე ვერ თამაშობს, როგორც მისგან ელოდნენ. გუნდებს თითო წამყვანი ფორვარდი დააკლდებათ - სევილიელებს **როკე სანტა კრუსი**, ხოლო სტუმრებს - **ჟულიო ბაპტიშტა**.

„ბარსელონა“ ერთადერთია ლა ლიგაში, რომელსაც ჯერ არ წაუგია. თუმცა მეორეადგილოსან ჩემპიონს ბილბაოში „ცხარე“ 90 წუთი ელის. **ხოსეპ გვარდიოლამ** უკვე მოაგვარა მომავალ წლამდე ჩემპიონთა ლიგის საკითხი (გუნდი პლეი ოფშია), ახლა დროა, ისევ ლა ლიგის ტიტულის დაცვაზე იფიქროს. გუშინ მისი მეთვალყურეობით პირველი გუნდის 19-მა ფეხბურთელმა ითამაშა, რომელსაც პეპმა **ისააკ კვენკა** დაამატა. როგორც ჩანს, ეს ბიჭი მალე პირველი გუნდის სრულუფლებიანი წევრი გახდება. არ უვარჯიშია მხოლოდ **პედრო როდრიგესს** (ბუნებრივია, არ იყო არც დიდი ხნით დამტვრეული **იბრაჰიმ აფელაი**).

სხვა მატჩებიდან აღვნიშნავთ ქრონოლოგიურად სულ ბოლოს - კვირას მადრიდული დერბია: „ხეტაფე“ „ატლეტიკოს“ მასპინძლობს. არც ერთ კლუბს ულხინს, თუმცა ფინანსურად მომძლავრებული „ხეტაფეს“ მდგომარეობა კატასტროფულია - გუნდი 7 ქულით უკანასკნელ ადგილზეა.




ევრო 2012

### ბენტუმ დაასახელა

**პაულუ ბენტუმ** პორტუგალიის ნაკრების შემადგენლობა დაასახელა ევრო 2012-ის პლეი ოფისთვის (ბოსნია ჰერცეგოვინის ნაკრებთან). 11 ნოემბერს პირველი მატჩია ზენიცაში, 4 დღის შემდეგ კი საპასუხო შეხვედრა ლისაბონში გაიმართება.

**მეკარეები:** *ედუარდო (ბენფიკა), რუი პატრისიო (სპორტინგი), ბეტო (კლუჟი).*

**მცველები:** *ბრუნო ალვეში (ზენიტი), ფაბიო კოენტრაო (რეალი), სერენო (კიოლნი), ჟოაო პერეირა (სპორტინგი), პეპე (რეალი), როლანდო (პორტუ), სილვიო (ატლეტიკო).*

**ნახევარმცველები:** *კარლუშ მარტინში (გრანადა), ჟოაო მოუტინიო (პორტუ), მიგელ ველოზო (ჯენოა), რაულ მეირელეში (ჩელსი), რუბენ ამორიმი (ბენფიკა), რუბენ მიკაელი (სარაგოსა), დანი (ზენიტი).*

**თავდამსხმელები:** *კრიშტიანო რონალდო (რეალი), უგო ალმეიდა (ბეშიქთაში), ელდერ პოშტიგა (სარაგოსა), ნანი (მანჩესტერი), ნუნუ გომეში (სპორტინგი), რიკარდო კვარეჟმა (ბეშიქთაში).*

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

● საფრანგეთი. ლიგა 1. XIII ტურის წინ

# აუღებელი შაბან დელმა

| დღეს | |
|---|---|
| ლილი-ევიანი | 24:00 |

| ხვალ | |
|---|---|
| ოსერი-ტულუზი | 20:00 |
| კანი-დიჟონი | 20:00 |
| ლორიანი-აიაჩო | 20:00 |
| მარსელი-ნიცა | 20:00 |
| ნანსი-ბრესტი | 20:00 |
| რენი-ვალანსიენი | 20:00 |
| სტ. ეტიენი-მონპელიე | 20:00 |
| სოშო-ლიონი | 20:00 |
| ბორდო-პსჟ | 24:00 |


ფრანსის ჟიიო

ერთი შეხედვით ვითომ არაფერ შუაშია, მაგრამ ტურის მიმოხილვაზე ლაპარაკი იმით უნდა დავიწყოთ, რომ შაბათს პარიზში მსოფლიოს 20 ყველაზე განვითარებული ქვეყნის ფინანსთა მინისტრი უნდა შეიკრიბოს, რათა გაჭიანურებულ მსოფლიო ფინანსურ კრიზისზე იმსჯელონ. მსგავს თავყრილობებს, როგორც წესი, ანტიგლობალისტების საპროტესტო აქციები უძღვის ხოლმე წინ. საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ლიგა 1-ის მესვეურებს სთხოვა, ანგარიში გაეწიათ ამ მოვლენისთვის და შაბათს დაგეგმილი მატჩები მეორე დღისთვის გადაედოთ. პროფესიული ფეხბურთის ლიგამ გაითვალისწინა სამართალდამცავთა ინტერესი და "ლილი"-"ევიანის" გარდა ყველა მატჩი მეორე დღისთვის გადადო. მოკლედ, ცოტა უცნაური ტურია.

"ბორდოსა" და "პარი სენ-ჟერმენის" მატჩის შემდეგ დედაქალაქურ გრანდს "მონპელიესთან" მინიმუმ 3-ქულიანი უპირატესობის შენარჩუნების ამბიცია აქვს და საამისოდ წლევანდელი სეზონის ერთ-ერთ იმედგაცრუება "ბორდოსთან" გასვლით შეხვედრაში გამარჯვება მართებს. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ მის ამჟამინდელ უშუალო კონკურენტს არცთუ ყველაზე იოლი მატჩი ელის "სენტ ეტიენთან" და თანაც "ჟოფრუა გიშარზე", შესაძლებელია ისეც მოხდეს, რომ **ანტუან კომბუარეს** გუნდმა უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდოს. ოღონდ აქ ერთი წინაპირობაა - "ბორდომ" წინა ტურში როგორც იქნა ის თამაში აჩვენა, რასაც მისგან სეზონის დაწყებიდან ელოდნენ. ჟირონდელები შეიძლება ითქვას, საბრძოლოდ არიან განწყობილები და პსჟ-ს სამი ქულისთვის სერიოზულად მოუწევს ბრძოლა. დიახ, ჩემპიონატში ზედიზედ 6 მოგებული მატჩის მიუხედავად, სეზონის დასაწყისში ნაჩვენები ფეერიული მატჩების შემდეგ "ლურჯ-წითლებმა" სერიოზულად რომ მოუკლეს, ამას დიდი კამათი არ სჭირდება. თანაც "შაბან დელმა" დედაქალაქელებისთვის ტრადიციულად უხერხული არენაა. 36 გასვლითი მატჩიდან მათ ანგარიშზე სულ 6 მოგებაა, აქედან მხოლოდ 1 უკანასკნელი 21 მატჩიდან. "ბორდომ" ბოლო 4 თამაში მოიგო, ბოლო პარიზელი სტუმარი, რომელმაც გოლის გატანა შეძლო **პედრო პაულეტა** იყო. ეს 2005 წელს მოხდა. მოკლედ, ისე გამოგვდის, რომ დედაქალაქელებს იმედი გადავუწურეთ, მაგრამ მხოლოდ სტატისტიკა რომ არაფერს წყვეტს, "პარი სენ-ჟერმენმა" "აიაჩოსაც" დაუმტკიცა, როცა სულ ცოტა ხნის წინ პირველად ისტორიაში გასვლითი მატჩი მოუგო. *"ჩვენ კარგი ტემპი გვაქვს აკრეფილი და ძალიან გვინდა, მისი შენარჩუნება. ასევე გვსურს, რომ "პარკ დე პრენსი" აუღებელ ციხესიმაგრედ ვაქციოთ და თავად ისეთ გუნდად ჩამოვყალიბდეთ, რომლისაც მეტოქეებს შეეშინდებათ,"* – განაცხადა გუნდის კაპიტანმა **მამადუ სახომ.**

თავის მხრივ "ბორდოს" ნამდვილად აქვს საფუძველი, რომ შიშით ელოდოს მრისხანე მეტოქეს. **ფრანსის ჟიიოს** გუნდი ჩემპიონატში ერთადერთია, ვისაც შინ ჩატარებულ მატჩებში ჯერ მოგება არ აქვს. 6 შეხვედრაში – 5 ფრე და წაგება. მასზე ნაკლები ქულა საკუთარ არენაზე მხოლოდ "აიაჩოს" აქვს აღებული. აი, "პარი სენ-ჟერმენი" კი გასვლაზე ყველაზე მრისხანედ გამოიყურება – 7-დან 6 მოგება.

ბორდოელები ბოლო ტურში გამარჯვების შემდეგ ცოტა უკეთეს განწყობაზე არიან-თქო, ზემოთ ვახსენეთ. მატჩის წინ ეს ფაქტორი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს. *"ვფიქრობ, გუნდი დამაკმაყოფილებლად თამაშობდა, რაც ჩვენი ბოლოდროინდელი გამოსვლების ფონზე ერთობ დამაიმედებელია,* – განაცხადა ფრანსის ჟიიომ. – *ვიცოდი, რომ თუ ამ შეხვედრას ვერ მოვიგებდით, შინ "პარი სენ-ჟერმენთან" გამკლავებაც გაგვიჭირდებოდა. ჩვენ გავაკეთეთ ის, რაც გვევალებოდა. გუნდს სუსტი წერტილები პრაქტიკულად არ უჩვენებია. ეს საშუალებას მოგვცემს, სეზონის დარჩენილ ნაწილში თავი უფრო დამაჯერებლად ვიგრძნოთ".*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 12 | 9 | 2 | 1 | 25-10 | 29 |
| 2. მონპელიე | 12 | 8 | 2 | 2 | 27-15 | 26 |
| 3. ლილი | 12 | 6 | 5 | 1 | 21-12 | 23 |
| 4. ლიონი | 12 | 7 | 2 | 3 | 20-13 | 23 |
| 5. ტულუზი | 12 | 6 | 4 | 2 | 13-10 | 22 |
| 6. რენი | 12 | 6 | 3 | 3 | 21-15 | 21 |
| 7. ლორიანი | 12 | 4 | 5 | 3 | 13-12 | 17 |
| 8. სტ. ეტიენი | 12 | 4 | 4 | 4 | 11-15 | 16 |
| 9. მარსელი | 12 | 3 | 6 | 3 | 15-14 | 15 |
| 10. კანი | 12 | 4 | 3 | 5 | 17-19 | 15 |
| 11. სოშო | 12 | 3 | 5 | 4 | 18-24 | 14 |
| 12. ბრესტი | 12 | 1 | 9 | 2 | 12-12 | 12 |
| 13. ოსერი | 12 | 2 | 6 | 4 | 17-18 | 12 |
| 14. ევიანი | 12 | 2 | 6 | 4 | 14-17 | 12 |
| 15. ბორდო | 12 | 2 | 6 | 4 | 14-18 | 12 |
| 16. ნიცა | 12 | 2 | 5 | 5 | 12-12 | 11 |
| 17. დიჟონი | 12 | 3 | 2 | 7 | 13-25 | 11 |
| 18. ვალანსიენი | 12 | 2 | 4 | 6 | 12-13 | 10 |
| 19. ნანსი | 12 | 1 | 5 | 6 | 8-15 | 8 |
| 20. აიაჩო | 12 | 1 | 4 | 7 | 10-24 | 7 |

● საფრანგეთის ნაკრები

# დებიუტანტი ბლანის გუნდში


საფრანგეთის ნაკრების დებიუტანტი ოლივიე ჟირუ

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ლორან ბლანმა** გუნდში დებიუტანტს უხმო. ამ ფეხბურთელის მიწვევას მთელი ქვეყანა მოუთმენლად ელოდა. ლაპარაკია "მონპელიეს" 25 წლის ცენტრფორვარდ **ოლივიე ჟირუზე**, თავდამსხმელზე, ვისაც წლევანდელ სეზონში ჩატარებულ 13 შეხვედრაში (ყველა ტურნირში ერთად), 10 გოლი აქვს გატანილი. ლორან ბლანი მისით ლიგა 1-ის მე-10 ტურის მატჩში მოიხიბლა ყველაზე მეტად, როცა ოლივიემ "დიჟონს" 3 გოლი გაუტანა.

საფრანგეთის ნაკრები 11 ნოემბერს აშშ-ს დაუპირისპირდება, 15-ში კი - ბელგიას. შეკრებაზე სულ 22 ფეხბურთელი გამოცხადდება. მოულოდნელად განაცხადს მიღმა დარჩნენ "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი **პატრის ევრა** და "ლიონის" გამთამაშებელი **იოან გურკუფი**. ამ უკანასკნელმა 5-თვიანი მკურნალობის შემდეგ თამაში ახლახა განაახლა და ბლანმა მას დასვენების საშუალება მისცა. გთავაზობთ სრულ შემადგენლობას:

**მეკარეები:** *უგო ლორისი (ლიონი), სედრიკ კარასო (ბორდო), სტივ მანდანდა (მარსელი)*

**მცველები:** *ერიკ აბიდალი (ბარსელონა), მატიე დებიუში (ლილი), ლორან კოშელნი (არსენალი), ჟერემი მატიო, ადილ რამი (ორივე ვალენსია), ანტონ რევეიერი (ლიონი), მამადუ სახო (პარი სენ-ჟერმენი)*

**ნახევარმცველები:** *იოან კაბაიე (ნიუკასლი), ალუ დიარა (მარსელი), იან მვილა (რენი), ფლორან მალუდა (ჩელსი), მარვენ მარტენი (სოშო), სამირ ნასრი (მანჩესტერ სიტი), ჟერემი მენეზი (პარი სენ-ჟერმენი) ფრანკ რიბერი (ბაიერნი)*

**თავდამსხმელები:** *ქარიმ ბენზემა (რეალი), კევინ გამეირო (პარი სენ-ჟერმენი), ოლივიე ჟირუ (მონპელიე), ლოიკ რემი (მარსელი)*

რაკი მასალა საფრანგეთის ნაკრებზეა, აქვე მის მომავალ მეტოქეებზეც მოგაწვდით ინფორმაციას. ბელგიას გროზნოს "ტერეკის" 24 წლის შემტევი ნახევარმცველი **ჯონათან ლეჟარი** დააკლდება. ფეხბურთელმა პრემიერლიგის 29-ე ტურში "კრილია სოვეტოვთან" შეხვედრაში მიიღო ტრავმა.

რაც შეეხება აშშ-ის ნაკრებს. 11-ში პარიზული შეხვედრის შემდეგ **იურგენ კლინსმანის** გუნდი ლუბლიანაში სლოვენიას გაეჯიბრება. კლინსიმ გუნდში დებიუტანტი იხმო - **ალფრედო მორალესი** "ჰერტადან". აღსანიშნავია ისიც, რომ თუკი **კარლოს ბოკანეგრა** ორივე თამაშს ჩაატარებს, ეროვნულ გუნდში 100 მატჩი დაუგროვდება. გერმანელმა სპეციალისტმა ამ ორი შეხვედრისთვის შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

**მეკარეები:** *ტიმ ჰოვარდი (ევერტონი), ბილ ჰამიდი (დი სი იუნაიტედი)*

**მცველები:** *ტიმი ჩენდლერი (ნიურნბერგი), სტივ ჩერუნდოლო (ჰანოვერი), კარლოს ბოკანეგრა (რეინჯერსი), კლერენს გუდსონი (ბრონდბიუ), ალფრედო მორალესი (ჰერტა), მაიკლ ფისკელი (სენტ ლუისი), ოგუჩი ონიევუ (სპორტინგი), დანიელ უილიამსი (ჰოფენჰაიმი)*

**ნახევარმცველები:** *კაილ ბეკერმანი (რეალ სოლტ ლეიკი), მაიკლ ბრედლი (კიევო), მორის ედუ (რეინჯერსი), დამარკუს ბისლი (პუებლა), ლენდონ დონოვანი (ლოს ანჯელეს გალაქსი), ფაბიან ჯონსონი, (ჰოფენჰაიმი), ჯერმეინ ჯონსი (შალკე), რობი როჯერსი (კოლამბუს ქრიუ), ბრეკ ში (დალასი)*

**თავდამსხმელები:** *კლინტ დემპსი (ფულჰემი), ჟოზი ალტიდორი (ალკმაარი), ედსონ ბადლი (ინგოლშტადტი)*

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**









ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობა

# ქართველთა ბრინჯაოს ხანა კეიპტაუნში

## ისევ ერთი ბრინჯაო

პირველის მსგავსად, კეიპტაუნში მიმდინარე ახალგაზრდა ძიუდოისტთა მეორე დღეც ერთი ბრინჯაოს მედლით დავამთავრეთ, რომელსაც 66 კილოგრამში მოასპარეზე ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** დაეუფლა. მსაჯთა უსამართლობა რომ არა, ის უკეთეს შედეგსაც მოიპოვებდა, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, საშუალება არბიტრებმა არ მისცეს. ამის მიუხედავად, წინა დღის მიღწევის გამეორების შანსი მაინც გვრჩებოდა, ევროპის პრიზიორ **მიხეილ ჩოხელს** (73) ბოლოსკენ ცოტა რომ ევაჟკაცა, მაგრამ კარგად აღებული ტემპი შუა გზაში დააგდო და საბოლოოდ მეშვიდეზე დარჩა. მთლიანობაში, დილის შეხვედრები ჩვენებმა ბევრად უფრო ძლიერად ჩაატარეს, ვიდრე – საღამოსი.

გუშინ ჩვენგან ორ წონაში სამი კაცი ჭიდაობდა. ამ ტრიოდან კი ყველაზე ადრე **ფრიდონ გიგანი** გამოვარდა – პირველივე წრეში ირანელ **საეიდ მოლაეის** ვერაფერი მოუხერხა და მეტოქემ გაფრთხილებებით სავსებით დამსახურებულად მოიპოვა იუკო.

გიგანისგან განსხვავებით, ჩოხელმა და შავდათუაშვილმა ძლიერად დაიწყეს ჩემპიონატი. ისინი იმდენად კარგად ჭიდაობდნენ, ნამდვილად გვეგონა, ერთ-ერთი მაინც გავიდოდა ფინალში. რაღა დასამალია, ამას უფრო შავდათუაშვილისგან ველოდით, რომელიც გუშინ ცოტა უფრო მაღალი კლასის მოჭიდავედ წარმოჩნდა.

ჩოხელმა პირველ წრეში ირანელი **მოჰამად მალეკ მემარ მოჰამადი** ქრესტომათიულად დააიპონა ანუ 180-გრადუსიანი ამპლიტუდა მოახაზინა ჰაერში. დანიელ **ბენჟამინ დარვილესთან** უფრო გაუჭირდა, თუმცა გაფრთხილება-იუკოთი მაინც მიაღწია საწადელს. იტალიელი **მასიმილიანო კაროლოც** გაფრთხილებებით ჩამოიცილა გზიდან და მეოთხედფინალში ებრაელ ევროპის პრიზიორ **საგი მუკის** პირისპირ დადგა. ისინი ევროპაზეც შეხვდნენ ერთმანეთს ამავე ეტაპზე და მაშინ ჩვენებურმა მოუგო. ჩოხელი ახლაც ახლოს იყო მიზანთან – შეხვედრის დამთავრებამდე 5



წამით ადრე ვაზარს უგებდა. საწყისი წუთები ქართველმა ბევრად უფრო აქტიურად ჩაატარა და იუკოც მოიპოვა, მაგრამ შეხვედრის მეორე ნახევარში ინიციატივა დათმო, ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყო ფიქრი და მსაჯებმა გაფრთხილებებით მოხსნეს. ძალიან დასანანი იყო ბოლო სასჯელი - იმ დროს ჩოხელს მეტი სიფრთხილე მართებდა და სულ ცოტა აქტიურობით, ტაქტიკური ჭიდაობით შეიძლებოდა დარჩენილი წამების გაუფრთხილებლად გატარება. მით უფრო, წინა ჯერზეც ამ ეპიზოდამდე 2-3 წამით ადრე გააფრთხილეს და აშკარა იყო, მსაჯები უმცირეს მიზეზსაც გამოიყენებდნენ მის დასასჯელად. თან რევანშის სურვილით ანთებული მუკი ჩვენებურის უგერგილობამ კიდევ უფრო გაათამამა და გააფთრებით უტევდა. ჩოხელს დამამშვიდებელშიც მეტი ინიციტივის გამოჩენა მართებდა ბრიტანელ ევროპის ვიცე-ჩემპიონ **მაქს სტიუარტთან**, სადაც ბოლო წამებზე იპონით კი წააგო, მაგრამ მანამდე მსაჯმა სამჯერ გააფრთხილა. აქედან მხოლოდ მესამეზე თუ ვიკამათებთ, როცა, ალბათ, ყველაზე ლოგიკური ორივეს დასჯა იქნებოდა, თორემ იმ ეპიზოდში ქართველი უფრო აქტიური იყო. შეხვედრის ბედიც მაშინ გადაწყდა, რადგან ჩვენებური ვერ აჩვენებდა ისეთ ჭიდაობას, ამხელა ჩამორჩენის – ვაზარის ამომქაჩავი ყოფილიყო. ბოლოს გარისკა და ვა-ბანკზე წავიდა, თუმცა მაშინაც ბრიტანელი უფრო ოსტატურად გაისარჯა.





## ნუგეშად ოპტიმიზმი გვრჩება

შავდათუაშვილმა პირველ შეხვედრაში გვარიანად აჭანჭყარა მაროკოელი **ოტმან მოჰამად არმაზი**. აფრიკელიც კერკეტი კაკალი გამოდგა, თუმცა ქართველი უფრო დაკვირვებით მუშაობდა, ინიციატივას ფლობდა და გაფრთხილებებით მალევე დაწინაურდა. ორივე მეტოქე ფონს გასვლას ამოსმულით ცდილობდა და შეხვედრა ძიძგილაობას დაემსგავსა, თუმცა ამაშიც უფრო ქართველმა იყოჩაღა – როგორც კი დრო იხელთა, ფეხიდან აიტაცა და ჯერ ხომ სავაზარედ დაანარცხა ტატამს, იქვე შებოჭა კიდეც. შავდათუაშვილმა რუსი **ევგენი ტირსკიხი** იუკოთი ადვილად ჩამოიშორა, მეოთხედფინალში კი კორეელ **დონგკიო ლეესთან** მსაჯთა იშვიათი არაობიექტურობის მოწმე გავხდით. აქ ძირითად დროში ქულა არ გაკეთებულა, მეტოქეებმა მხოლოდ თითო გაფრთხილება მიიღეს. დამატებითში ლაშა უფრო უტევდა, უფრო მოძრაობდა და აქტიურობდა, მაგრამ რატომღაც არბიტრებმა მაინც ის გააფრთხილეს და შეიძლება ითქვას, კორეელს მოგება ლანგრით მიართვეს. შესაძლოა, მსაჯთა გადაწყვეტილება შავდათუაშვილის საქციელმაც განაპირობა – კორეელის მუხლებზე მორიგი ჩავარდნისას მან არბიტრთა მისამართით უკმაყოფილება გამოხატა, რატომ არ აფრთხილებთო. მართალია, ეს არ ყოფილა არც უხეში ჟესტი და არც – მწვავე შეკამათება, მაგრამ ფაქტია, რომ არბიტრმა ამის შემდეგ დამხმარეებს მოუხმო და მათთან რამდენიმეწამიანი თათბირის ბოლოს ქართველი გააფრთხილა.

ეს მარცხი მით უფრო დასანანია, რომ კორეელი ვერაფრით ალემატებოდა შავდათუაშვილს. ჩვენებური ნამდვილად კარგ ფორმაში იყო, რაც სანუგეშო წრეშიც დაამტკიცა, როცა ამერიკელ **ევერეტ დესილეტს** გასაქანი არ მისცა და სამჯერ გააფრთხილებინა, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი ასევე პირწმინდად დაჩაგრა ფრანგი **არტურ კლერი** და ცოტა უცნაური ტრაექტორიით წამოღებული პირდაპირ ბეჭებით დაანარცხა ტატამზე. საწყენია, რომ შავდათუაშვილი, მინიმუმ, ფინალში ვერ ვიხილეთ, თუმცა მისი ჭიდაობის ხარისხი და მისი სტაბილურობა, მისი მომზადება ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს. მან ამჯერად მშვენიერი ფიზიკური ფორმა გამოავლინა. მას აქვს ყველა მონაცემი, უახლოეს წლებში ამ წონაში ეროვნულ ნაკრებში არსებული ჩავარდნა ალმოფხვრას და ლიდერობა იტვირთოს, მაგრამ საჭიროა მისი სწორად განვითარება, სწორად გაზრდა, თუ გვინდა, კიდევ ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა არ დავკარგოთ.

## ვერც უცხოეთის ქართველებმა ივარგეს

გუშინ დიდად ვერ ივარგეს სხვა ქვეყნების სახელით მოჭიდავე ქართველებმა. საბერძნეთის ნაკრების წევრმა **რომან მოსტოპულოსმა** ორი შეხვედრა მოიგო, მაგრამ გიგანის მძლეველ ირანელ მოლაეისთან წააგო. ასევე ორი წრე გაიარა ფრანგების ლიდერმა **ტრისტან ავალიანმა**, რომელიც სამბოში მსოფლიოს ჩემპიონ **ვეფხვია ავალიანის** შვილია. ის საფრანგეთში გაიზარდა, მთლიანად იქაური ძიუდოს აღზრდილია და წლეულს თანატოლებში „მამლების" ვიცე-ჩემპიონიც გახდა.

## დღეს და ხვალ...

დღეს კეიპტაუნში 81-90, ხვალ კი 100 და +100 წონების ფალავნები იჭიდავებენ. შეგახსენებთ, რომ 81-ში ჭაბუკებში ევროპის, მსოფლიოსა და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გამარჯვებული **ბექა ღვინიაშვილი** პირველ წრეში ისვენებს, მეორეში კი უნგრელ **პეტერ ჰაიმისა** და ამერიკელ **იან კაფარსკის** შორის გამარჯვებულს შეხვდება. ამავე წონაში **შალვა ნინიძეც** მეორე წრიდან ჩაებმება ბრძოლაში, თუმცა მისი მეტოქე ახლავეა ცნობილი – ინდოელი **ავტარ სინგჰხი**, რომელიც თავიდან ასევე ისვენებს.

ზუსტად ასეთივე მდგომარეობაა 90-ში **გიორგი მერმანიშვილთანაც** – პირველ წრეში ისიც და მისი მომავალი მეტოქეც, ბელგიელი **დილან ვან ნუფელიც** ისვენებენ, ხოლო **გიორგი ქავთარაძე** თავიდანვე ჩაებმება ტურნირში ავსტრალიელ **ბრანდონ ბრამინთან** შეხვედრით.

კვირას **დავით მერაბიშვილი** (100) ეგვიპტელ **მოჰამედ აბდელრაჰმანს** დაეჭიდება, ჭაბუკებში მსოფლიოს კიდევ ერთი ჩემპიონი და ღვინიაშვილივით დებიუტანტი **გურამ თუშიშვილი** (100) კი იტალიელ ევროპის ჩემპიონ **დომენიკო დი გიუდას** ხვდება. მძიმე წონაში თავიდან ორივე ჩვენებური ისვენებს. ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ლევან მატიაშვილის** მეტოქე ყაზახ **აიტუარ აბდულოვისა** და ეგვიპტელ **მაისარა ელნაგარის** შეხვედრაში გამოვლინდება, **უშანგი კოკაურის** მოწინააღმდეგე კი ახლავეა ცნობილი – იაპონელი **ტაკეში ოჯიტანი**.

**ირაკლი თავაძე**

## კვარცხლბეკი

**ბიჭები**

**66 კგ.** 1. შო ტატეიამა (იაპონია), 2. მაგომედ ახმაროვი (რუსეთი), **3. ლაშა შავდათუაშვილი (საქართველო),** დონგკიო ლეე (კორეა).

**73 კგ.** 1. სონეი ონო (იაპონია), 2. აზიზ კალკამანული (ყაზახეთი), 3. ჰაე იოო იუნგი (კორეა), ვლადიმირ ზოლოევი (რუსეთი), **7. მიხეილ ჩოხელი** (საქართველო).

**გოგოები**

**52 კგ.** 1. ტაკუმი მიაკავა (იაპონია), 2. ოლექსანდრა სტარკოვა (უკრაინა), 3. ჩეიენ ბინცი (შვეიცარია), ფლოორ სტოოპი (ჰოლანდია).

**57 კგ.** 1. ანზუ იამამოტო (იაპონია), 2. სანე ვერჰაგენი (ჰოლანდია), 3. ფაბიენ კოჩერი (შვეიცარია), ტინა ზელტნერი (ავსტრია).

ჭადრაკი



# მთავარი პრიზი კეკელიძეს

ნიუ-იორკში დამთავრდა მარშალის საჭადრაკო კლუბის 95-ე პირველობა, რომელშიც 33 მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის - თბილისელი დიდოსტატი **მიხეილ კეკელიძე**. შეჯიბრება გაიმართა შვეიცარიული სისტემით ცხრა ტურად. კეკელიძემ 6 პარტია მოიგო (ბოლო ტურში - მირო რევერბისთან), ორი ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა მე-3 ტურში **ეფიმ ტრეგერთან**, მოაგროვა 7 ქულა და პირველ ადგილთან ერთად 2000 დოლარიც დაიმსახურა. 6,5 ქულით მე-2 ადგილზე გავიდა ქრისტოფერ ვუ (1000$), 6,5-6,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები (425-425$) ალექსანდრ ოსტროვსკიმ და ლიფ ე პრესმენმა გაიყვეს.

**ვაჟა დანელია**

# ქალებმა გააორეს, კაცებმა დაიწყეს

პირველ ტურში აზერბაიჯანელებთან გამარჯვების შემდეგ საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრები გუშინ ბერძნულ პორტო კარასში ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე პოლონელებს დაუპირისპირდა. **ლელა ჯავახიშვილმა,** რომელიც ამჯერად შავებით მეორე დაფაზე თამაშობდა, გუშინწინ ზეინაბ მამედიაროვასთან მარცხისთვის ჯავრი იოლანტა ზავადსკაზე იყარა - 42-ე სვლაზე საათი გააჩერებინა. ჩვენს გუნდს მეორე ქულა **ნინო ხურციძემ** მოუტანა: 47-ე სვლაზე მან კატარზინა ტომას აჯობა. ახლოს იყო გამარჯვებასთან **ნანა ძაგნიძე,** მაგრამ ერთი უხეში შეცდომით მეტოქეს - მონიკა სოჩკოს მუდმივი ქიშის შანსი მისცა და საბოლოოდ ყაიმს დასჯერდა, თუმცა ამ ნახევარმა ქულამ საქართველოს ნაკრებს წარმატება მოუტანა. **ნაზი პაიკიძემ** კარინა ჰოროვსკასთან წააგო. საბოლოოდ 2,5:1,5 ჩვენებურთა სასარგებლოდ.

ქალებში კვლავ იყოჩაღეს რუსებმა და უკრაინელებმა. **უნგრეთი-რუსეთი** 1:3 (ჰოანგ თან თრანგი-ნადეჟდა კოსინცევა 0,5:0,5, ტატიანა კოსინცევა-ანა რუდოლფი 1:0, ტასია გარა-ვალენტინა გუნინა 0,5:0,5, ალექსანდრა კოსტენიუკი-ანიტა გარა 1:0), **ბულგარეთი-უკრაინა 1:3** (ანტოანეტა სტეფანოვა-კატერინა ლახნო 0:1, ნატალია ჟუკოვა-ივა ვიდენოვა 0,5:0,5, ემილია ჯინგაროვა-ანა უშენინა 0:1, მარია მუზიჩუკი-ადრიანა ნიკოლოვა 0,5:0,5), **ჰოლანდია-გერმანია 2:2** (საგულისხმოა, რომ ნიდერლანდელთა რიგებში გამოდის ევროპის 2006 წლის მე-2 პრიზიორი **თეა ლანჩავა,** რომელიც პირველ ტურში თურქ კუბრა ოზთურქთან დამარცხდა). **საფრანგეთი-რუმინეთი 1.5:2.5** (ფრანგების გუნდში დიდოსტატი **ნინო მაისურაძე** თამაშობს).

გუშინ პირველი გამარჯვება იზეიმა საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა, რომელმაც მშრალი ანგარიშით მოუგო კვიპროსის გუნდს: მარკ ბრაიან-ვისი - **ბაადურ ჯობავა** 0:1, **ლევან ფანცულაია**-ვასილის არისტოტელესი 1:0, **მიხეილ მჭედლიშვილი**-ვრაჩიმის ბულოსი 1:0, პავლოს კონსტანტინუ-**მერაბ გაგუნაშვილი** 0:1.

რაც შეეხება ლიდერთა პაექრობებს, **რუსებმა ჩეხებს** სძლიეს 3,5:0,5 (დავით ნავარა-პიოტრ სვიდლერი 0:1, ალექსანდრ გრიშჩუკი-ვიქტორ ლაზნიჩკა 1:0, ზბინეკ ჰრაჩეკი-სერგეი კარიაკინი 0,5:0,5, იან ნეპომნიაშჩი-ჯირი სტოჩეკი 1:0), **უკრაინა-ბულგარეთი 2:2** (დაზავდნენ: ვასილი ივანჩუკი-ვესელინ ტოპალოვი, ივან ჩეპარინოვი-რუსლან პონომარიოვი, ალექსანდრ მოისეენკო-ალექსანდრ დელჩევი, კირილ გეორგიევი-ზახარ ეფიმენკო), **სომხეთი-აზერბაიჯანი** 1:3 (ლევონ არონიანი-თეიმურ რაჯაბოვი 0,5:0,5, ვუგარ გაშიმოვი-სერგეი მოვსესიანი 1:0, ვლადიმირ აკოფიანი-შაჰრიარ მამედიაროვი 0,5:0,5, გადირ ჰუსეინოვი-გაბრიელ სარგისიანი 1:0). **ხორვატია-უნგრეთი 2:2, ინგლისი-საბერძნეთი 1.5:2.5, გერმანია-ისრაელი 2:2.**

ორი ტურის შემდეგ ქალებში 5 გუნდს – სერბეთს (საერთო მონაგარი 7,5 ქულა), რუსეთს (6), უკრაინას (5,5), რუმინეთს (5,5) და საქართველოს (5) 4-4 ქულა აქვს. ოთხი ნაკრები მათ თითო ქულით ჩამორჩება. ვაჟებშიც ხუთი ნაკრებია ოთხ-ოთხქულიანი – რუმინეთი (7), საბერძნეთი (6,5), რუსეთი (6), აზერბაიჯანი (5,5), ესპანეთი (5). 9 გუნდმა 3-3 ქულას მოუყარა თავი. საქართველო (5,5) ორი ქულით მე-17 ადგილზეა.

დღეს მე-3 ტურში ინტერესს იწვევს შემდეგი ორთაბრძოლები: **ქალები.** რუსეთი-რუმინეთი, სერბეთი-საქართველო, უკრაინა-ჰოლანდია, გერმანია-სომხეთი, ჩეხეთი-თურქეთი; **ვაჟები.** საბერძნეთი-აზერბაიჯანი, რუმინეთი-ესპანეთი, რუსეთი-ჰოლანდია, ხორვატია-უკრაინა, უნგრეთი-გერმანია... საქართველო-შოტლანდია.

**ვაჟა დანელია**

სპორტული რადიო
ჯა – კო
Ja – Ko
FM 96.3
FM 96.3
WWW.RADIOJAKO.GE

FM 107,9
ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.
გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

ქართული სპორტი

ქართული ჭიდაობა. სიახლეთა ესტაფეტა

# შესანიშნავი თაოსნობა

ჩვენი ტრადიციული ქართული ჭიდაობა ძველ ხერხებს უნდა დაეფუძნოს. მაგრამ დინამიკა და მცირედი ცვლილებები აუცილებელია.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონს ქართულ ჭიდაობაზე გამორჩეულად ზრუნვა არაერთხელ საქმით დაუმტკიცებია.

სამხარეო ადმინისტრაციის, პირადად გუბერნატორ **ცეზარ ჩოჩელის** ინიციატივით ახლახან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეირჩნენ ქართული ჭიდაობის ძველი თაობის ოსტატები, რომლებსაც ახალბედებისთვის მივიწყებული ხერხები უნდა ესწავლებინათ.

ნაცადი ფალავნები გუბერნატორის ამ პროგრამას ხალისით გამოეხმაურნენ და რამდენიმე სასარგებლო გაკვეთილი ჩაუტარეს მოზარდებს.

ასეთი ღონისძიება კი წაადგება როგორც ქართულ ჭიდაობას, ისე ძიუდოს, სამბოს, თავისუფალ ჭიდაობას...

გუბერნატორმა ეს გამოცდილი ოსტატები ნამდვილი ქართული ჭიდაობის ხერხების პატარებისთვის გადაცემისათვის წაახალისა კიდეც და ფულადი პრემიებითაც დააჯილდოვა. დაჯილდოებულთა შორის არიან: **გრიგოლ დორეული** (გალავანი), **მურთაზ ელერდაშვილი** (პატარძეული), **გივი იშხანიშვილი** (ძეგვი), **სიმონ მაისურაძე** (ჩაბინაანი), **გენო ყაზარაშვილი** (ტინისხიდი), **გიორგი ნავროზაშვილი**, **გიორგი ბეინაშვილი** (ორივე - ლამისყანა), **სერგო გურასპაშვილი** (ქარელი), **ჯუმბერ ცოციაშვილი** (წილკანი).



**გაბრიელ ბარჯაძე**

რაგბი... ჩოგბურთი

# გორგოძე მეოთხედფინალშია



სტამბოლის საერთაშორისო ტურნირს, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი ამერიკული დოლარია, **სოფიო შაფათავა** (279) მეოთხედფინალურ ეტაპზე დაემშვიდობა. ჩვენებურმა საკვალიფიკაციო ბადიდან გამოსულ რუს **ირინა ხრომაჩევასთან** (399) წააგო - 4:6, 1:6. 16 წლის ხრომაჩევა მსოფლიოს პირველი ჩოგანია ახალგაზრდებში და რუსეთა ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ტალანტი. გახსოვთ, ალბათ, რომ პროფესიონალებში მისი პირველი ნაბიჯები ქართულ ტურნირებში (თბილისსა და თელავში) გადაიდგა. **სოფიო ქვაცაბაიასა** (452) და შაფათავას დუეტმა წყვილთა თანრიგში მეოთხედფინალში წააგო პირველ ნომრად განთესილ უკრაინელ დებ **კიჩენოკებთან** - 2:6, 3:6.

ანთალიაში (10 ათასი დოლარი) კარგად ასპარეზობს **ეკა გორგოძე** (407). მე-2 ნომრად განთესილმა ქართველმა მერვედფინალში სერბ **ნატალია კოსტიჩს** სძლია - 6:1, 6:1. მეოთხედფინალში გორგოძის მეტოქე 17 წლის უკრაინელი **იანა პოზნიხირენკოა**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფოტომატიანე



სასტენდო სროლის ოსტატები.
მარცხნიდან: თემურ მატოიანი, თამაზ იმნაიშვილი, ზურაბ მაჩხანელი და ტარიელ ყლენტი, 1970-იანი წლები

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

ჭადრაკი ფილატელიაში




ბულგარეთი, 1947 წ.




კუბა, 1976 წ.

თარიღი. 5 - 11 ნოემბერი

**05. 1936 წ.** დაიბადა **სეზარ ლუის მენოტი** - ფეხბურთი (მწვრთნელი, არგენტინა).

**05. 1929 წ.** დაიბადა **ლენარტ იუჰანსონი** - უეფას პრეზიდენტი 1990-2007 წლებში.

**06. 1968 წ.** „მარაკანას" სტადიონზე შედგა ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების მიერ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვების 10 წლისთავისადმი მიძღვნილი მატჩი ბრაზილიისა და მსოფლიოს ნაკრებ გუნდებს შორის.

**06. 1861 წ.** დაიბადა **ჯეიმს ნეისმიტი** -კალათბურთის გამომგონებელი.

**06. 1887 წ.** ქ. გლაზგოში (შოტლანდია) დაარსდა საფეხბურთო კლუბი „სელტიკი".

**07. 1944 წ.** დაიბადა **ლუიჯი რივა** - ფეხბურთი (იტალია).

**08. 1949 წ.** დაიბადა **ვლადიმირ ერომეევი** - ფეხბურთი (უკრაინა).

**09. 1960 წ.** დაიბადა **ანდრეს ბრემე** - ფეხბურთი (გერმანია).

**10. 1956 წ.** დაიბადა **ხოსე ლუის ბრაუნი** - ფეხბურთი (არგენტინა).

ვინ რა თქვა..

„დღეს ფეხბურთი ემსგავსება იდიოტიზმს ორი საკვანძო სიტყვით: გამარჯვება და მარცხი. ვინც ფეხბურთში მარტო შედეგს ხედავს, ვურჩევ, სტადიონზე მხოლოდ ტაბლოს შესახედად მივიდეს".

**ხორხე ვალდანო**

იყო ასეთი შემთხვევა...

2005 წლის 5 იანვარს მადრიდის "სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩატარდა "რეალისა" და "სოსიედადის" მატჩის ბოლო ექვსი წუთი. ადრე შეხვედრა სარბიელზე ძაბვის ვარდნის გამო შეწყდა. გადათამაშება როდესაც განახლდა, ანგარიში 1:1 იყო, მაგრამ მადრიდელთა პირველივე შეტევას პენალტი მოჰყვა, რომელიც ზუსტად გამოიყენა ზინედინ ზიდანმა და მატჩიც „რეალმა" 2:1 მოიგო.

■ ■ ■

....56 წლის სატვირთო მანქანის მძღოლი რაიმონდ ევერესტი ყველაზე ხანდაზმული "საფეხბურთო ხულიგანი" აღმოჩნდა. 2003 წელს მას ნაფიცმა მსაჯულებმა ხუთი წლით მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა. 2002 წლის 2 მაისს ევერესტი "მილუოლისა" და "ბირმინგემ სიტის" მიერ ჩატარებული პირველდივიზიონური პლეი ოფის შემდეგ პოლიციელს არ დაემორჩილა და მის ცხენს წიხლი უთავაზა. ევერესტს ცხოველისთვის სასტიკი მოპყრობის მუხლიც წაუყენეს.

სპორტის ნაკლებად ცნობილი სახეობები

# პუშბოლი

პუშბოლი (ინგლ.push - ხელის კვრა, ball -ბურთი) გუნდური თამაშია დიდი ზომის ბურთით (დიამეტრი - დაახლოებით 1,8 მ. წონა - 20-30კგ). მოთამაშეთა მიზანია ბურთის გატანა კარში, რომლის სიგანეა 6,08 მ. ძელის სიმაღლე - 5,48 მ. ძელებს შორის გადებული ხარიხის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან - 2,13 მ. ბურთს აგორებენ ბიძგებით, მიწოლითა და ხელის კვრით. გოლი გატანილად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ხარიხას ზევიდან გადაევლება. მოედნის ზომებია: სიგრძე - 128 მ. სიგანე - 45,7 მ. გუნდში 11 მოთამაშეა. 5 თავდამსხმელი, 2 მარცხენა გარემარბი, 2 მარჯვენა გარემარბი და 2 მეკარე. თამაშის ხანგრძლივობა 1 საათია (ორი 30-30-წუთიანი ტაიმი შესვენებით). არსებობს პუშბოლი ცხენებით (თითოეულ გუნდში 5 მხედარია: 1 მეკარე და 4 მინდვრის მოთამაშე) და პუშბოლი წყალზე. თამაშის წესები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია. ვთქვათ, ზოგან გუნდში შეიძლება იყოს 25-მდე წევრი, კარის სიგანე კი 10 მ-ს აღწევდეს. გავრცელებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში.



პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** ფეხბურთელი, ვინც 1908 წელს ინგლისურ ლიგაში თავისი 250-ე გოლი გაიტანა, იყო **სტივ ბლუმერი**. სულ კი მას ქვეყნის ჩემპიონატში 352 გოლი აქვს გატანილი.

**პირველმა** კრივის სახელმძღვანელო შექმნა ინგლისელმა **ჯონ გოდფრიმ** 1747 წელს.

**პირველად** კრივში არა ერთ და ორ, არამედ... ოთხ წონით კატეგორიაში სხვადასხვა დროს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა **ტომას ჰარნსმა**. იგი მეოთხეჯერ მსოფლიოს ჩემპიონი 1987 წლის 29 ოქტომბერს გახდა.

ვიქტორინა

**1. რომელი ქვეყანაა აღიარებული ფრენბურთის სამშობლოდ?**
ა - საბერძნეთი
ბ - აშშ
გ - იტალია

**2. მსოფლიოს ყველაზე მეტ - 218 ქვეყანაში სპორტის რომელი სახეობაა აღიარებული?**
ა - ფეხბურთი
ბ - მძლეოსნობა
გ - ფრენბურთი

**3. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში პირველი ოფიციალური წესები შეიმუშავეს 1880 წელს. რომელ ქვეყანაში?**
ა - საბერძნეთში
ბ - საფრანგეთში
გ - იტალიაში

**4. სასტენდო სროლის წინამორბედი მიზანში სანადირო თოფით სროლა, ფართოდ იყო გავრცელებული XVIII-XIX საუკუნეების საფრანგეთში, იტალიასა და გერმანიაში. თავდაპირველად რას იყენებდნენ სამიზნედ?**
ა - გარეულ მტრედებს
ბ - შუშის ბურთულებს
გ - თიხის თეფშებს

**5. რომელი წლიდან მონაწილეობენ ქალები ძალოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონატებში?**
**ა - 1971 წლიდან**
**ბ - 1984 წლიდან**
**გ - 1987 წლიდან**

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ბ, 4-ა, 5-გ

სპორტის უცნაური სახეობები

## წყალქვეშა ჰოკეი

ჰოკეის სხვადასხვა ნაირსახეობას ათასობით წლის ისტორია გააჩნია. თავდაპირველად მას მინდორზე თამაშობდნენ, შემდეგ გადავიდნენ ყინულზე, ახლა კი, ყველას გასაკვირად, წყალქვეშ ჩავიდნენ. გუნდში ექვსი მონაწილეა, რომლებიც ცდილობენ ჯოხის გამოყენებით დაიჭირონ ბურთი და მოწინააღმდეგის კარში შეაგდონ. მიუხედავად იმისა, რომ ამ სპორტით მსოფლიოში უამრავი ადამიანია გატაცებული, მან ვერ მოიპოვა პოპულარობა, ალბათ იმიტომ, რომ სპორტის ეს სახეობა წყალქვეშ მიმდინარეობს და მაყურებელი არ ჰყავს.

## ძაღლი სერფინგზე



სპორტის ამ სახეობის პოპულარიზატორებს სურთ დაამტკიცონ, რომ ცხოველებს უფრო მეტი შეუძლიათ, ვიდრე წარმოგვიდგენია. ვინ იფიქრებდა, რომ ძაღლებს ცურვის გარდა, სხვა რამეც შეეძლოთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს სპორტი ჩამოყალიბდა სან დიეგოში, დღეს უკვე უფრო მეტი კონკურსი კალიფორნიაში იმართება.

## თოვლის პოლო

ეს გასართობი პოპულარული იყო თურქეთში იმპერატორების დროს დიდი ხნის წინათ. ახლა ის დაბრუნდა, მაგრამ საკმაოდ უცნაური ფორმით. მოდიფიცირებული ვერსიით პოლოს ახლა ცხენოსნები თოვლზე... თამაშობენ.

**მოგვაწოდა მაგდა კლდიაშვილმა**

ქართველები ევროლიგაში

# ბომბა, რეკორდი, MVP

## როცა ქართველებით იტალიელები ამაყობენ

**გუშინდელ ნომერში მოკლედ გითხარით, როგორ ჩააგდო სამმა ქართველმა ევროლიგის მესამე ტურში 44 ქულა. მატჩები გვიან დასრულდა და მხოლოდ მშრალი სტატისტიკით შემოვიფარგლეთ.**

**დღეს ცოტას განვავრცობთ, მით უმეტეს, რომ ამის საფუძველი ნამდვილად გვაქვს.**

| კანტუ-ბილბაო | 78:69 |
|---|---|

**მანუჩარ მარკოიშვილი** (კანტუ): 27 წუთი, 12 ქულა (7/2 ორქულიანი, 3/2 სამიანი, 2/2 საჯარიმო), 3 პასი, 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება.

**გიორგი შერმადინი** (კანტუ): 23 წუთი, 16 ქულა (9/8 ორქულიანი, 1/0 საჯარიმო), 6 მოხსნა (4 შეტევაში), 1 დაფარება.

*- „კანტუმ" წლევანდელ ევროლიგაზე საუკეთესო თამაში ჩაატარა. კარგად შევაჩერეთ მეტოქის მთავარი მექულეები ბლუმსი და ვასილიადისი. ორივე გუნდმა ჯამში 37 პასი შეასრულა, რაც თამაშის მაღალ ხარისხზე მიუთითებს,* - თქვა „კანტუს" დამრიგებელმა **ანდრეა ტრინჩიერიმ,** რომლის გუნდმაც „ბილბაოს" 78:69 სძლია.

„E' la bomba di Manu"... ასე იწყება გამოცემა „ბასკეტნეტში" გამოქვეყნებული მიმოხილვის ბოლო აბზაცი. მოკლედ, **მანუჩარ მარკოიშვილმა** ჯერ 36-ე წუთზე ჩააგდო სამქულიანი და თანაგუნდელთა უპირატესობა 8 ქულამდე გაზარდა (69:61), შემდეგ სირენამდე 2 წუთით ადრე მეორე სამიანით ბასკების იმედები დაასამარა - 76:67.

■ ■ ■

ბოლო წუთებზე ესპანელები მთავარი კოზირის, პერიმეტრიდან ტყორცნების ხარჯზე ცდილობდნენ დაწევას, ალბათ ამიტომ, იტალიელთა მწვრთნელმა მოედანზე შერმადინი აღარ გამოიყვანა. თუმცა ამას გიორგისთვის ხელი არ შეუშლია მატჩის MVP-ად აღიარებაში. აი, რას „აბრალებენ" გაზეთ „ბასკეტინსაიდში" 216 სმ სიმაღლის ქართველ ცენტრს: *„კანტუელთა გამარჯვება მნიშვნელოვნად განაპირობა ფარქვეშ დამაჯერებელმა თამაშმა, რაც მატჩის საუკეთესო კალათბურთელის გიორგი შერმადინის დამსახურებაა. მან თამაშის სცენარი „კანტუს" სასარგებლოდ შეცვალა - 16 ქულა ჩააგდო, 6-ჯერ მოხსნა და მარგი ქმედების კოეფიციენტით გუნდში პირველი იყო - 21. გიორგიმ 9 ორქულიანიდან 8 გამოიყენა, 5-ჯერ ჩატენა."*

აქვე გეტყვით, რომ 16 ქულა შერმადინის საევროლიგო რეკორდია. მან ამა წლის 2 მარტს „მაქაბისთან" ნაჩვენები შედეგი ერთით გააუმჯობესა.

გამოცემა „ბეტერსპორტში" ქართველი მეფარის გასწვრივ სიტყვა „ვარსკვლავია" გამოყენებული, ხოლო ევროლიგის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებული მიმოხილვა ასე იწყება: „კანტუელებმა შინ „ბილბაო" დაამარცხეს და ჯგუფში მეორე ადგილზე აინაცვლეს. შეხვედრის გმირი გიორგი შერმადინი იყო, რომელმაც მასპინძელთაგან ყველაზე მეტი ჩააგდო".

როგორც წესი, მიმოხილვებს გულშემატკივართა კომენტარები ერთვის. ერთ-ერთის მოსაზრება ქართველ მკითხველსაც დააინტერესებს: *„საოცარია, მაგრამ ფაქტია - „პანათინაიკოსში" მწვრთნელი მხოლოდ 5 წუთით ათამაშებდა, არადა, „ბილბაოსთან" დავინახეთ, რა შეუძლია შერმადინს."*

■ ■ ■

გულშემატკივართა კომენტარზე უფრო ღირებული იტალიელი ჟურნალისტის მოსაზრებაა. კომოელი **კარლო პეროტი** „ფეისბუქზე" ორიოდე კვირის წინ დამიმეგობრდა. გუშინ, „ონლაინში" რომ დამინახა, მომწერა:

*- გიორგიმ და მანუმ შესანიშნავად ითამაშეს. ვამაყობთ ჩვენი ქართველებით. ტოპ-16-ის გზაზე მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ.*

იტალიელს მწვრთნელი შევუქე - ანდრეა ტრინჩიერიმ კარგად იცის, ვინ როდის სჭირდება-მეთქი. მიპასუხა:

*- სეზონის დასაწყისში „კანტუში" ცენტრად პარახუსკი აიყვანეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ტრინჩიერიმ გაიგო, შერმადინი „პანათინაიკოსში" აღარ დარჩებოდა, ბევრი იმუშავა, რათა იგი დაემატებინა. ამ საქმეს პარახუსკიც შესწირა.*

■ ■ ■

როგორც უკვე გითხარით, „კანტუ" ცხრილში მეორე ადგილზეა. მას 2 მოგება და 1 წაგება აქვს. პირველია ესპანური „კახა ლაბორალი" (3 გამარჯვება). მესამე-მეექვსე ადგილებს იყოფენ „ნანსი", „ფენერბაჰჩე", „ბილბაო" და „ოლიმპიაკოსი". მათ თითო მოგება უწერიათ.

| პარტიზანი-შარლერუა | 91:81 |
|---|---|

**თორნიკე შენგელია** (შარლერუა): 21 წუთი, 16 ქულა (8/6 ორქულიანი, 2/1 სამიანი, 1/1 საჯარიმო), 3 მოხსნა.

81:91 - ეს ანგარიში ქართველ გულშემატკივარს სასიამოვნოდ ნამდვილად არ უნდა ახსოვდეს: 2006 წელს ფინეთში სწორედ ამ ანგარიშით დავმარცხდით, რაც B დივიზიონში ჩარჩენად დაგვიჯდა. იმ შეხვედრაში **ზაზა ფაჩულიამ** სანაკრებო რეკორდი დაამყარა - 36 ქულა მიითვალა.

81:91 წაგებული მატჩი თორნიკე შენგელიასთვისაც სარეკორდო აღმოჩნდა. მან ევროლიგაზე პირველად ჩააგდო 16 ქულა. მანამდე, საწყის ტურში „რეალთან" 11 ქულა ჰქონდა მოგროვილი.

მიუხედავად იმისა, რომ „პარტიზანში" უფრო კაშკაშა ვარსკვლავები თამაშობდნენ, ბელგრადში გამართული შეხვედრა მაინც თანაბრად წარიმართა და გამარჯვებულის ვინაობა ბოლო წუთებზე გამოვლინდა. თორნიკეს NBA-დან დროებით დაბრუნებული **ნიკოლა პეკოვიჩის** წინააღმდეგ უწევდა თამაში. თუმცა „პარტიზანების" გამარჯვება პირველ რიგში, გამთამაშებელი **ეისი ლოუს** დამსახურებაა, რომელმაც 26 ქულას 7 პასი მიამატა. დაკვირვებულ მკითხველს გაახსენდებოდა, რომ ეისი, 2007-09 წლებში „ატლანტაში" ფაჩულიას თანაგუნდელი იყო.

■ ■ ■

C ჯგუფში გუნდები ორად იყოფა: ცხრილის ზემოთ ორმოგებიანი სამი კლუბია, ქვემოთ - თითომოგებიანი ტრიო. ამ უკანასკნელ ვინაობასაც გეტყვით: „შარლერუა", „მილანი" და „პარტიზანი".

ევროლიგაზე მომდევნო მატჩში „კანტუ" „ოლიმპიაკოსს" მიიღებს (9 ნოემბერს), „შარლერუა" - „მილანს" (10 ნოემბერს).







საქართველოს XXI ჩემპიონატი: IV ტური



# სტუ აღარ ხუმრობს... არც ანთაძე და ბარბაქაძე

**სუპერლიგის მეოთხე ტურის საწყისი ორი მატჩი დასავლეთში ჩატარდა. ქუთაისში მოსალოდნელი შედეგი დაფიქსირდა - შარშანდელი სეზონის შემდეგ გაძლიერებულმა „ქუთაისმა" გასული ჩემპიონატის მეორეადგილოსანი თსუ 89:72 დაამარცხა. ბათუმში კი „ხელჩართული" ბრძოლა გაიმართა...**

4 ნოემბერი, ბათუმი

| ბათუმი-სტუ | 79:80 |
|---|---|

27:25, 20:15, 15:24, 17:16

**ბათუმი:** ვ. მაისურაძე (5ქ, 7მ, 3პ, 5ფ), რამიშვილი (8ქ, 5მ, 5, 5ფ, 4ჩ), მიქელაძე (25ქ, 4პ, 3ჩ), ელიაშვილი (24ქ, 8მ), ჩხაიძე, კეშელავა (7ქ, 12მ), ნინუა (1ქ), ელიაძე (9ქ, 5ფ).

**სტუ:** ტეტელაშვილი (4ქ), თევზაძე, ჩაჩიბაია (3ქ), მაჩალაძე (8ქ, 9მ), ხანიაშვილი (9ქ), კობიძე (7ქ, 10მ), ძიძიგური (6ქ, 4პ, 5ფ), ვ. ბერუაშვილი (22ქ, 8მ), ანთაძე (21ქ, 18მ, 5პ, 4ჩ).

**კომისარი:** ა. კაზანჯიანი.

**მსაჯები:** მ. ანდღულაძე, გ. მიქელაძე.

„ბათუმს" მიმდინარე სეზონში სამივე მატჩი წაგებული ჰქონდა და გუშინ, მეოთხეში სცადა ნავსის გატეხვა. მისი მეტოქე ასევე ახალგაზრდული სტუ იყო, თუმცა ტექნიკოსებს ზღვისპირელებთან შედარებით გრძელი სათადარიგოთა სკამიც აქვთ და სეზონიც უკეთ დაიწყეს - სამიდან ორი მატჩი ჰქონდათ მოგებული. გუშინ კი გამარჯვებათა რაოდენობა გაასამეს.

განაცხადში იყო, მაგრამ ბათუმელებს ვერ დაეხმარა მეფარე **მამუკა ბოლქვაძე**. მოხსნებში სტუდენტებმა დიდი უპირატესობით იმარჯვეს - 61:40.

ფარქვეშ ასეთი უპირატესობა უმთავრესად **ზვიად ანთაძის** დამსახურებაა, რომელმაც 21 ქულას 18 მოხსნა მიამატა და სეზონის რეკორდი დაამყარა. აქამდე მოხსნების რეკორდი ოლიმპელ **მილიუტინოვიჩსა** და სტუ-ელ **მაჩალაძეს** ეკუთვნოდათ - 16-16.

4 ნოემბერი, ქუთაისი

| ქუთაისი-თსუ | 89:72 |
|---|---|

23:14, 19:7, 19:25, 28:26

**ქუთაისი:** ფაშაევი (9ქ, 7მ, 7პ, 4ჩ, 4დ), ბაბუნაშვილი, დიდია (16ქ, 8მ, 3პ), ცეკვავა (7ქ, 5პ), ტუკვაძე, ცირეკიძე, დ. ბარბაქაძე (6ქ, 8მ), ლომინაშვილი (5ქ), გ. ბარბაქაძე (31ქ), კუჭავა (2ქ), ქორიძე, მათიაშვილი (13ქ, 8მ, 5პ).

**თსუ:** დ. ბერიშვილი, ფანჩულიძე (12ქ, 5პ, 4ჩ), კოხრეიძე (4ქ, 6ჩ, 3პ), თავამაიშვილი (2ქ), კორკოტაძე, მარკოიშვილი (2ქ), ნინიაშვილი (21ქ, 7მ), ჩიტაშვილი (14ქ, 5პ, 5ჩ), ხიზანიშვილი (8ქ), ს. შერმადინი (9ქ, 13მ), ზ. მაისურაძე, ჩქარეული.

**კომისარი:** რ. გელოვანი.

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, ს. საინერსი.

**დავით და გიგი ბარბაქაძეები, რიჩარდ მათიაშვილი და გიორგი კუჭავა** სხვადასხვა დროს თსუ-ს ღირსებას იცავდნენ. დღეს ისინი „ქუთაისის" ღირსებას იცავენ და მათი დიდი დამსახურებაა, იმერლებმა სტუდენტებს პირველი ტაიმი 42:21 რომ მოუგეს. გიგი ბარბაქაძემ სულაც სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა - 31 ქულა ჩააგდო. მან სნაიპერისთვის დამახასიათებელი სიზუსტით ისროლა: 9-დან 8 ორქულიანი, 7-დან 4 სამიანი, 5-დან 3 საჯარიმო.

ლეგიონი

# კვიპროსშიც 16

## ლეჟავას სარეკორდო მატჩი

კვიპროსის ჩემპიონატში მესამე ტურის მატჩები გაიმართა. თუ წინა ტურში **ბესიკ ლეჟავას** „აპოლონმა" იუქმა, ამჯერად **ნიკა ჩხატარაშვილის** ენად-მა დაისვენა.

„აპოლონმა" ორნაგებიან აეკ-ს უმასპინძლა და ფაქტობრივად მესამე პერიოდის ბოლოს გაინაღდა გამარჯვება, როცა 74:56 დაწინაურდა. ბოლო მეოთხედში აეკ-მა წინააღმდეგობა ველარ გაუწია და 77:93 დამარცხდა.

პოპულარულ საკალათბურთო საიტ „ევრობასკეტზე" მოკლე მიმოხილვაში ვკითხულობთ: *„დიდებულად გაისარჯა „აპოლონის" ქართველი უკანახაზელი ბესიკ ლეჟავა, რომელმაც 16 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა. იგი მხოლოდ შეტევაში როდი გამოირჩა, დაცვაშიც დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა".*

გასაკვირია, მაგრამ მიმოხილვაში არაფერი წერია აპოლონელთა ბომბარდირ **რაიმონდზე**, რომელმაც 21 ქულას მოუყარა თავი.

ლეჟავას თანაგუნდელებს სამი ტურის შემდეგ ორი მატჩი აქვთ ჩატარებული, თითო მოგება-წაგებით სატურნირო ცხრილის შუაში არიან. ჩხატარაშვილის ენად-მა აქამდე ორი მატჩი ითამაშა და ჯერ ერთი არ მოუგია.

ქართველ-კვიპროსელებს მომდევნო შეხვედრებამდე ბევრი ცდა მოუწევთ - 18 ნოემბერს ითამაშებენ. „აპოლონი" „ომონიას" მიიღებს, ხოლო ენადი - აეკ-ს ესტუმრება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# ფინალში თოთხმეტი წლის შემდეგ

დღეს ავჭალის სარაგბო სტადიონზე საქართველოს ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ქუთაისის „აია“ წლევანდელი გათამაშების დებიუტანტ „არმიას“ დაუპირისპირდება. ქუთაისურ კლუბს მეტოქისგან განსხვავებით, რომელიც წლეულს შეიქმნა, საკმაოდ დიდი ისტორია აქვს და ტიტულებიც საკმარისად მოუხვეჭია.

ქუთათურები საქართველოს სამგზის ჩემპიონები არიან. ბოლოს ეს ტიტული მათ 1995 წელს მოიპოვეს, ფინალში კი ორი წლის შემდეგაც ითამაშეს, თუმცა დამარცხდნენ. თოთხმეტწლიანი შესვენების შემდეგ „აია“ ისევ ფინალშია და მეტოქედ საკმაოდ ამბიციური, თანაბრად კარგად დაკომპლექტებული „არმია“ ჰყავს.

ფინალის მონაწილე გუნდების მწვრთნელებმა გუშინ „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ პრესკონფერენცია გამართეს.

**ბესიკ ხამაშურიძე,** „აიას“ მოთამაშე მწვრთნელი:

„უწინარესად მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ასეთი მაღალი დონის ბაზის არსებობა, სადაც ახლა ვიმყოფებით, ქართული რაგბის წინსვლის საწინდარია. იმედია, ასეთი პირობები მალე ყველა გუნდს ექნება, რაც საშუალებას მისცემს მათ, მომავალი თაობები გაზარდონ და მნიშვნელოვანი მატჩებისთვისაც სათანადოდ მოემზადონ.

ბოლოს ფინალში „აიამ“ 1997 წელს ითამაშა. მაშინ ქვეყანას უჭირდა და გუნდსაც მძიმე დროება დაუდგა. თამაშმა პირველ ლიგაშიც მოგვიწია. ნელნელა შევძელით მდგომარეობის გამოსწორება, უმაღლეს ლიგაშიც დავბრუნდით. მალე სპონსორიც გამოგვიჩნდა და ფინანსური პრობლემა მოაგვიგვარა.

ქუთაისში სტადიონი არ გვქონდა. საშინაო თამაშებს ფოთში ვმართავდით. ახლახან ქალაქის მერიის და მხარის გუბერნატორის დახმარებით შევძელით მიტოვებული „დინამოს“ სტადიონი წესრიგში მოგვეყვანა. რეგულარული გათამაშების ბოლო შეხვედრები იქ ჩავატარეთ.

განწყობა გუნდში საბრძოლოა. „აია“ საამაყო ტრადიციების მემკვიდრეა და საქმეც იქითკენ მიგვყავს, რომ ამ გუნდში თამაში ყველასთვის საოცნებო იყოს.

ფინალური მატჩი განსაკუთრებული ფსიქოლოგიური დატვირთვის მატარებელია. ვიცი, რომ ამ თამაშზე დასასწრები ყველა ბილეთი გაყიდულია. მრავალრიცხოვანი ქომაგი, რომელიც მატჩს დაესწრება, გვინდა, სტადიონიდან კმაყოფილი წავიდეს.“

**ნიკოლოზ ჭავჭავაძე,** „არმიას“ მთავარი მწვრთნელი:

„ჩვენი გუნდი მატჩისთვის საწვრთნელ შეკრებას „ავჭალის სარაგბო სტადიონზე“ გადიოდა. ვფიქრობ, ფინალისთვის კარგად მოვემზადეთ.

ძალიან გავრცელებული იყო აზრი, რომ ახალი გუნდის ისე მომართვა, რომ ფინალში გავიდეს, თითქმის შეუძლებელია. თუმცა ჩვენ ეს მოვახერხეთ. გუნდის მორაგბეებმა მალე შეძლეს საერთო ენის გამონახვა, შეთამაშება.

ფინალური მატჩი კარგი უნდა გამოვიდეს. ქუთაისის „აიას“ ხელმძღვანელებმა დიდი შრომა ჩადეს ამ გუნდში. მოხარულები ვართ, რომ ფინალში სწორედ მათ ვეთამაშებით. ვფიქრობ, ძლიერი გაიმარჯვებს.“

**გიორგი ხუციშვილი,** „არმიას“ პრეზიდენტი:

„დიდი მადლობა მინდა გადავუხადო რაგბის კავშირს იმისთვის, რომ ჩემპიონატი უმაღლეს დონეზე ჩაატარა. ორივე გუნდმა ფინალამდე ძალიან რთული გზა განვლო. თავად დავრწმუნდი, რომ რაგბის სამყაროში სულ სხვა ურთიერთობა, მეგობრული დამოკიდებულებაა. მეტოქეს მოგებას ვერ ვუსურვებ, მაგრამ წარმატება კი მინდა ვუსურვო. ვფიქრობ, ჩვენ ყველა ერთად ყველაფერს ვილონებთ ქართული რაგბის განვითარებისთვის.

„არმიას“ საკმაოდ სერიოზული, შორს მიმავალი გეგმები აქვს და გამორიცხული არაა, ჩემპიონობის მოპოვების შემთხვევაში, რომელიმე ევროტურნირზეც ვიასპარეზოთ“

**გიორგი გორგასლიძე,** ქუთაისის „აიას“ პრეზიდენტი:

„მსგავსი გეგმები ჩვენც გვაქვს, მაგრამ მომავალ წელს ამას, ალბათ, ვერ შევძლებთ. საამისოდ იმ ბიუჯეტს, რაც ამჟამად გაგვაჩნია, კიდევ მილიონი ლარი უნდა დავუმატოთ. კარგი იქნება, თუ ამ გზას „არმია“ გაკვალავს.“

საქართველოს რაგბის კავშირმა გაავრცელა ცნობა, რომლის მიხედვითაც ფინალურ მატჩზე დასასწრები ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია. მატჩის ხილვის მსურველებს საშუალება ექნებათ თამაშს თვალი საზოგადოებრივი მაუწყებლის მეშვეობით ადევნონ. შეგახსენებთ, რომ შეხვედრა 14 საათზე დაიწყება.

**ფინალი**

**აია-არმია**

**აია:** 15. ბესიკ ხამაშურიძე, 14. გიორგი აბრამიძე, 13. ირაკლი ჩხიკვაძე, 12. ირაკლი გიორგაძე, 11. ბაჩუკი გოშაძე, 10. გაგა სინაურიძე, 9. ლევან გოგია. 1. თორნიკე ლომიძე, 2. გაგა გურეშიძე, 3. ტარიელ ჩხიკვაძე, 4. ერეკლე მეტრეველი, 5. თორნიკე ძაგნიძე, 6. ირაკლი რევიშვილი, 7. გელა შალამბერიძე, 8. ირაკლი დგებუაძე.

16. მერაბ მატკავა, 17. ზურაბ ჟვანია, 18. გიორგი ჩიტეიშვილი, 19. გიორგი ცირეკიძე, 20. ლევან შარვაშიძე, 21. ზურაბ ზვიადაძე, 22. ლევან თხელიძე.

**არმია:** 15. ბახვა კობახიძე, 14. ალექსანდრე ტუჩაშვილი, 13. ვანო გაბროშვილი, 12. თამაზ მჭედლიძე, 11. გიორგი შკინინი, 10. გიორგი ელიზბარაშვილი, 9. ბიძინა სამხარაძე. 1. გიორგი კაკოვინი, 2. ბექა მეკოკიშვილი, 3. ტარიელ დონაძე, 4. ხვიჩა ბუჯიაშვილი, 5. მამუკა ცხადაძე, 6. გიორგი კალმახელიძე, 7. ლაშა თავართქილაძე, 8. ბესო უდესიანი.

16. ჯაბა ბრეგვაძე, 17. ირაკლი ქორიძე, 18. ლევან დარასელია, 19. გიორგი თხილაიშვილი, 20. ალექსანდრე ზაბახიძე, 21. გიორგი გაგოშვილი, 22. მამუკა ნინიძე.



აია - არმია

ევროპის ჩემპიონატი, U-18



# ცამეტნი, ისე როგორც თხუთმეტნი

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ევროპის ჩემპიონატი მოიგო. ჩვენმა მორაგბეებმა ერთ წრედ გამართულ ტურნირში ყველა შეხვედრაში ისე გაიმარჯვეს, რომ ერთი ლელოც არ გაუშვიათ.

ბოლო, მესამე ტურის მატჩში „პატარა ბორჯღალოსნებმა“ პორტუგალიის ნაკრებს სძლიეს 24:3. მეტოქემ სერიოზული წინააღმდეგობა პირველ ტაიმში გაგვიწია, თუმცა ჩვენმა მორაგბეებმა მე-15 წუთისთვის ლელოს გატანა შეძლეს და შესვენებაზე შვიდქულიანი უპირატესობით წავიდნენ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ პორტუგალიელებმა ორი საჯარიმო ვერ გაიტანეს.

მეორე ნახევარში მატჩის არბიტრი წესის დარღვევას მხოლოდ ჩვენი მორაგბეების თამაშში ამჩნევდა. თუმცა „პატარა ბორჯღალოსნებმა“ დასაწყისშივე იყოჩაღეს და პორტუგალიელებს კიდევ ერთი ლელო გაუტანეს, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ გარდავსახეთ - 12:0.

ამის მერე დაიწყო თუ დაიწყო. „პატარა ლობუშებმა“ ერთი საჯარიმო გაგვიტანეს. მერე არბიტრმა ერთმანეთის მიყოლებით ორი მორაგბე გაგვისინბინა და მოედანზე ამდენივე მოთამაშით ნაკლები დავრჩით. პორტუგალიელებმა ათწუთიანი შტურმი მოაწყვეს, თუმცა ჩვენმა ბიჭებმა მეტოქე კონტრშეტევაზე დაიჭირეს და ცამეტმა თხუთმეტს მესამე ლელო გაუტანეს - 19:3.

აქ პორტუგალიელები საბოლოოდ გატყდნენ და ჩვენებმა მეოთხე ლელოს გატანაც მოახერხეს, რითაც ერთი პრემიალური ქულაც ირგუნეს.

ამრიგად, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები, რომელმაც ბუქარესტის ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა, გაისად ექვსი ერის გათამაშებაში მონაწილე ელიტარული სარაგბო ქვეყნების 18-წლამდელ გუნდებთან ერთად იასპარეზებს.

ჩვენი გუნდი B ჯგუფში მოხვდა ინგლისის, უელსისა და იტალიის ნაკრებებთან ერთად. A ჯგუფში კი ირლანდიის, საფრანგეთის, შოტლანდიისა და პორტუგალიის ნაკრებები იასპარეზებენ.

**საქართველოს ნაკრები**

**რამაზ მაზმიშვილი, საბა შუბითიძე, გიორგი გოგლიძე, ბადრი ალხაზიშვილი, უჩა გურგენიძე, ილია მელაძე (ყველა-აკადემია), ბექა ფირიაშვილი (ყოჩები), ალექსანდრე ცისკარიშვილი, გიორგი აფციაური (ორივე-თიბისი), ნიკა ამაშუკელი, მიხეილ მასხარაშვილი, შოთა თევზაძე, ონისე მოგელაშვილი (ოთხივე-ჯიქები), ზაურ ხარებავა (რაინდები), საბა ჩიხლაძე, ლაშა ლაშხია (ორივე-ლელო), შალვა შაშიაშვილი, რევაზ ჯინჭველაშვილი, გიორგი ფრუიძე (სამივე-აია), გიორგი მარგველანი, ვახტანგ ამირანაშვილი (ორივე-ივერია), რევაზ ბროძელი (არმაზი), ფარნავაზ გასვიანი (ლოკომოტივი), გიორგი ნათელაშვილი (ხარები), მურაზ გიორგაძე (ვეფხვები), დევი დევსურაშვილი (ხულიგანა).**

**ევროპის ჩემპიონატი, U-18**

**III ტური**

საქართველო-პორტუგალია 24:3, რუმინეთი-ბელგია 3:7

**სატურნირო მდგომარეობა**

1. საქართველო - 15 ქულა, 2. პორტუგალია - 8, 3. ბელგია - 5, 4. რუმინეთი - 1.

**ელიტური**

**A ჯგუფი:** ირლანდია, საფრანგეთი, შოტლანდია, პორტუგალია

**B ჯგუფი:** ინგლისი, უელსი, იტალია, საქართველო

ევროპის ჩემპიონატი, U-19

# ალაფი მივიღეთ, წინ რუსეთია

დღეს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ბუქარესტში ევროპის ჩემპიონატის ფინალში რუსეთის ნაკრებს დაუპირისპირდება.

ფინალური მატჩის შედეგის მიუხედავად, ორივე გუნდმა მომავალ წელს იაპონიაში გასამართი „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის“ საგზური მოიპოვა, რომელიც თავის მხრივ 2013 წლის მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირია. აქ ჩვენი მეტოქეები რუსების გარდა იქნებიან: იაპონიის, ტონგას, აშშ-ს, კანადის, ჩილესა და ზიმბაბვეს ნაკრებები.

შეგახსენებთ, რომ 19-წლამდელმა ბორჯღალოსნებმა ბუქარესტში მიმდინარე ტურნირზე მეოთხედფინალში დიდი ანგარიშით სძლიეს შვეიცარიელ თანატოლებს - 50:0. ნახევარფინალში კი „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფზე“ გამსვლელი გამარჯვება მოიპოვეს რუმინეთის ნაკრებთან მატჩში - 24:8.

რუსეთის 19-წლამდელთა ნაკრების დამარცხება მხოლოდ პრესტიჟის საქმეა. ამასთან, ტურნირის გამარჯვებულის ტიტულის მოპოვებაც არ იქნება ურიგო.

მატჩი თბილისის დროით 17 საათსა და 15 წუთზე დაიწყება.

**საქართველოს ნაკრები, U-19**

**თორნიკე ჯიბლაძე, დავით ხიდეშელი, საბა ნიკოლავა (სამივე-თიბისი), ვახო ახობაძე, გიორგი თეთროშვილი (ორივე-ალბი), არჩილ ბეჟიაშვილი, მინდია ელგუჯაური (ორივე-ყოჩები), სანდრო ქოიავა, ელგუჯა სურგულაძე, დაჩი კოპაძე (სამივე-ლელო), გურამ შენგელია (ჯიქები), ვახტანგ რაფავა (ნატალ შარქსი), ვაჟა ხუციშვილი, გიორგი ბასილაია (ორივე-ხარები), ნიკო ჯინჭველაშვილი, ზურაბ ძნელაძე, ნოდარ მარდალეიშვილი, გიორგი ზიბზიბაძე (ოთხივე-აია), გიორგი ბიწაძე (ლოკომოტივი), მერაბ შარიქაძე, ლევან გოგოლაშვილი (ორივე-აკადემია), გიორგი ლომთაძე (ბრეთფორდი), ბექა მამრიკიშვილი, ზაზა ნავროზაშვილი (ორივე-არმია), ლაშა სირაძე, გიორგი მისრიაშვილი (ორივე-არმაზი).**

**ევროპის ჩემპიონატი, U-19**

**III ადგილი**

რუმინეთი-ჰოლანდია

**ფინალი**

საქართველო-რუსეთი

**მსოფლიოს ალაფა - 2102**

საქართველო, აშშ, კანადა, ჩილე, იაპონია, ზიმბაბვე, რუსეთი, ტონგა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

● კრივი


ვიტალი კლიჩკო ადამეკთან ბრძოლის შემდეგ

# კლიჩკოს წასვლა ურჩიეს

## გერმანელმა ნეიროქირურგმა უკრაინელს პარკინსონის ავადმყოფობის სიმპტომები შეამჩნია

გერმანელი ნეიროქირურგი **იონათან დეგენი** სუპერმძიმეწონაში WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონს, უკრაინელ **ვიტალი კლიჩკოს** კარიერის დასრულებას ურჩევს, რადგან მოკრივის ქცევაში საეჭვო სიმპტომები შეამჩნია. დეგენი მოძრაობის ფუნქციათა დარღვევისა და პარკინსონის ავადმყოფობის ცენტრის ხელმძღვანელი გახლავთ.

*„ვიტალი კლიჩკომ დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს კარიერა,* - ამბობს დეგენი „ბილდთან" ინტერვიუში. - *ყველა მეტოქეს ვერ მოუგებ. ვიტალი უკვე გახდა ადამიანი-ლეგენდა და ახლა, ჯანმრთელობას უნდა მიხედოს. ადამეკთან ბრძოლის დროს და შემდეგ პრესკონფერენციაზე, მე, როგორც სპეციალისტმა, ყურადღება მოვაქციე ვიტალის მოძრაობას. რინგზე მას უდიდესი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ უმნეო მეტოქეს ერთი აქცენტირებული დარტყმაც ვერ მიაყენა, რომელიც ადამეკს ნოკაუტში ჩააგდებდა. მას უბრალოდ უჭირს საკუთარი სხეულის კოორდინირება. დარტყმების ნაცვლად პოლონელი ძლიერად ხელის კვრას ილებდა. ვიღაც ამბობს, რომ საქმე ვიტალის ცუდ ტექნიკაშია, მაგრამ ცალსახად ვამტკიცებ - ეს ნევროლოგიაა. გავიხსენოთ მისი ბრწყინვალე ბრძოლები ლუისისა და ჯონსონის წინააღმდეგ - ნუთუ მას ჩხუბი დაავიწყდა?*

*ასევე დავაკვირდი ვიტალის მეტყველების მანერას და ის ბრძოლისწინა პრესკონფერენციას შევადარე. ქცევაში სხვაობა ძალიან დიდია. ამ საკითხს საკმაოდ დიდხანს ვსწავლობდი და შემიძლია ასეთი დასკვნა გავაკეთო: რინგზე გატარებული მრავალი წლის შემდეგ, მოკრივეთა უმრავლესობას უვითარდება ე. წ. ტრანზიტორული დარღვევები. ადამიანი გარეგნულად ჯანმრთელი ჩანს, მაგრამ ორგანიზმის მდგომარეობა... პირველ რიგში, ლაპარაკია ამნეზიის ხშირ გამოვლინებებზე, რაც იწვევს გონების დაბინდვას, მოძრაობის შენელებასა და ფუნქციის დარღვევას. ეს ყველაფერი ცხადად ჩანს: დააკვირდით, როგორ ლაპარაკობენ მოკრივეები - შენელებული მეტყველება, ლოგიკას მოკლებული სიტყვათა წყობა..."*

● ჰოკეი

# ველომრბოლი დომინატორი

საინტერესო გასართობი იპოვა ლეგენდარულმა ჩეხმა მეკარემ **დომინიკ ჰაშეკმა** - 46 წლის ჰოკეისტმა გულშემატკივრებს თავი იმით შეახსენა, რომ ველოსიპედით ალბანეთის ტერიტორია გადასერა. გარდა ამისა, „დომინატორი" პლაჟის ფრენბურთს თამაშობს, სამთო თხილამურებით სრიალებს, ცოტა ხნის წინ კი ბარსელონაში მონაწილეობა მიიღო ავტორბოლაში - Super Trofeo Race.

*„ყველა ეს ღონისძიება კარგი ფიზიკური ფორმის შენარჩუნებაში მეხმარება,* - განაცხადა ჰაშეკმა. - *ჯერ კიდევ ვფიქრობ მომავალ წელს ჰოკეიში დაბრუნებაზე, ამიტომაც ჩემთვის მნიშვნელოვანია სხვა სპორტის სახეობებში გამოსვლა. მხიარულად ვატარებ დროს, მაგრამ, ამავდროულად, ვემზადები კარიერის გასაგრძელებლად. შესაძლოა, მალე თხილამურებს დავუბრუნდე. რაც შეეხება ავტორბოლას, ფინიშამდე ორი წრით ადრე ვიღაც დამეჯახა და ტრასიდან გადამაგდო. ნებისმიერ შემთხვევაში, მოხარული ვარ ასეთი გამოცდილების მიღებით და უკვე შემიძლია პროფესიონალების წინააღმდეგ გამოსვლა. შესაძლოა, ავტოსპორტის სხვა სერიებშიც მივიღო მონაწილეობა".*

● ფორმულა 1

# ძველი გუნდები ახალი სახელებით

ჟენევაში გამართული ფორმულა 1-ის კომისიის სხდომაზე მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე სამ გუნდს მისცეს სახელის შეცვლის უფლება: მომავალი წლიდან Team Lotus Caterham გახდება, Lotus Renault GP-ის Lotus-ს დაუძახებენ, ხოლო Marussia Virgin Racing უბრალოდ Marussia-ად გადაიქცა.

უნდა დავამატოთ, რომ „კატერჰემი", „ლოტუსი" და „მარუსია" - შასის დასახელებაა, გუნდების რეალური სახელები კი, შესაძლოა, სხვაგვარი იყოს, რადგან სახელწოდებაში შეიძლება დაემატოს სპონსორების დასახელებები.

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ტორონტო ახალი ლიდერია

რეგულარულ ჩემპიონატს ახალი ლიდერი ჰყავს. ეს არის „ტორონტო", რომელმაც უპრობლემოდ დაამარცხა სტუმრად აუთსაიდერი „კოლამბუსი" - 4:1. გამარჯვებულთა რიგებში უნდა აღვნიშნოთ **მაკარტურის** დუბლი, აგრეთვე **კესელისა** და **ლუპულის** მორიგი ქულები, მაგრამ ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ კანადელთა დამრიგებელმა **რონ უილსონმა** ყველასთვის მოულოდნელად კარში ჩააყენა 25 წლის **ბენ სკრივენსი**, რომელსაც აქამდე NHL-ში არც ერთი მატჩი არ ჰქონდა ჩატარებული. დებიუტანტი შესანიშნავად გაუმკლავდა ამოცანას და 39-დან 38 დარტყმა მოიგერია. „კოლამბუსში" კი ისევ ჩააგდო თამაში **სტივ მეისონმა** და თამაშის შუაში ის 22 წლის მეკარე **ალენ იორკმა** შეცვალა.

„დეტროიტმა" ტრადიციად აქცია მატჩში ერთი გოლი გატანა, რითაც ამ გუნდის წაგებათა სერია ექვსამდე ავიდა - ასეთი რამ ბოლო სამი წელია არ მომხდარა. „რედ უინგზმა" შინ წააგო „კალგარისთან". *„ჩვენ კარგი გუნდი და ძალიან ნიჭიერი მოთამაშეები გვყავს, უბრალოდ, ამ ეტაპზე არ გვიმართლებს",* - განაცხადა „დეტროიტის" ფორვარდმა **დენ ქლირიმ**.

„ნიუ ჯერსი" დიდი გაჭირვებით გაუსწორდა სტუმრად „ფილადელფიას" - ამისთვის მას ბულიტების სერია დასჭირდა. „დევილზს" მატჩის მსვლელობისას 0:2-დან და 2:3-დან მოუწია გადარჩენა, მაგრამ **პარიზეს**, **ენრიკესა** და **კლარკსონის** მონდომებით „ეშმაკებმა" შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანეს და შემდეგ ბულიტების სერია უკეთ შეასრულეს.

ასევე ბულიტების დახმარებით გადაწყდა „ფლორიდასა" და „ჩიკაგოს" დაპირისპირების ბედი. „პანტერებმა" ხასიათის სიმტკიცე გამოავლინეს და 0:2-დან გაათანაბრეს ანგარიში. აღსანიშნავია ორივე მეკარის თამაში - **მარქსტრიომმა** 31 დარტყმა მოიგერია, **კროუფორდმა** - 41. ამ უკანასკნელმა ბულიტების სერიაში სამჯერ იყოჩაღა, „ჩიკაგოში" კი გადამწყვეტი შაიბა **პატრიკ კეინმა** გაიტანა.

ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო „ანაჰაიმმა", რომელიც ნიუ იორკში ეწვია „რეინჯერსს". თუმცა, ისევე როგორც „ვაშინგტონთან" მატჩში, ძირითად დროში ფრის სანაცვლოდ „იხვებმა" ერთი ქულა აიღეს, მაგრამ ბულიტების სერიაში კიდევ ერთი ქულა ვერ დაამატეს. გაგვაკვირვა „მინესოტამ", რომელიც საკუთარ მოედანზე „ვანკუვერს" ილებდა და 5:1 გაიმარჯვა. სასტარტო პერიოდის შემდეგ „კენაქსი" 1:0-ს იგებდა, მაგრამ შემდეგ **კორი შნაიდერმა** ზედიზედ ხუთი შაიბა გაუშვა. „მინესოტამ" 45 ზუსტი დარტყმა შეასრულა, „ვანკუვერმა" - 25.

„ნეშვილის" გოლკიპერმა **პეკა რინემ**, რომელმაც ორი დღის წინ კლუბთან 49-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა, ამ შემთხვევისთვის „შათაუტი" შეასრულა „ფინიქსთან" მატჩში - მან 35 დარტყმის მოგერიება მოახერხა.

ასევე „მშრალი" მატჩები ჩაატარეს „ვინიპეგის" მეკარე **პაველეცმა** და „ედმონტონის" რუსმა ვეტერანმა **ნიკოლაი ხაბიბულინმა**. „მენავთობეებმა" ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგეს, თანაც სტუმრად ძლიერი „ლოს ანჯელესი დაამარცხეს და ახლა დივიზიონის ლიდერები არიან.

**კოლამბუსი-ტორონტო 1:4**

0:2, 1:2, 0:0

გოლები: 0:1 კრები-2 (ლუპული-7, გარდინერი-5), 0:2 მაკარტური-5 (კულემინი-4, გრაბოვსკი-5), 0:3 ლაილსი-1 (ლუპული-8, კესელი-11), 0:4 მაკარტური-6, 1:4 რ. იოჰანსენი-3 (ვერმეტი-6, კალვერტი-3).

**ფილადელფია-ნიუ ჯერსი 3:4**

0:0, 2:2, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 რინალდო-1 (კუტურიე-3), 2:0 კ. ჟირუ-8 (იაგრი-8, ლილია-3), 2:1 პარიზე-5 (ენრიკე-3, კოვალჩუკი-6), 2:2 ენრიკე-1 (კოვალჩუკი-7), 3:2 ტელბოტი-4 (ბულიტი), 3:3 კლარკსონი-4 (ელიაში-5).

ბულიტები გაიტანეს: პარიზე (ნიუ ჯერსი), ბრიერი (ფილადელფია), ელიაში (ნიუ ჯერსი).

**რეინჯერსი-ანაჰაიმი 2:1 (ბ)**

1:0: 0:1, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 ვოივიტკა-1 (გაბორიკი-4, ფედოტენკო-5), 1:1 რაიანი-5 (პერი-4, გეტცლაფი-4).

ბულიტები გაიტანეს: კრისტენსენი (რეინჯერსი), სელიანე (ანაჰაიმი), გაბორიკი (რეინჯერსი).

**აილენდერსი-ვინიპეგი 0:3**

0:1, 0:0, 0:2

გოლები: 0:1 ე. კეინი-5 (უელვუდი-4, ოდუია-2), 0:2 ოდუია-1 (ანტროპოვი-8, ე. კეინი-3), 0:3 ბურმისტროვი-4.

**ფლორიდა-ჩიკაგო 2:3 (ბ)**

0:1, 1:1, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 ტეუვზი-5 (ბრუნეტი-4), 0:2 მარიან ჰოსა-6 (პ. კეინი-8, ლედი-6), 1:2 უეისი-5 (ვერსტიგი-7, ფლიშმანი-6), 2:2 ჯოვანოვსკი-2 (კულიკოვი-8).

ბულიტები გაიტანეს: პ. კეინი (ჩიკაგო).

**დეტროიტი-კალგარი 1:4**

0:1, 1:1, 0:2

გოლები: 0:1 სტემპნიაკი-2 (ბაბჩუკი-3), 0:2 იგინლა-3 (გლენკროსი-3, ო. იოკინენი-6), 1:2 ქლირი-1 (კრონვალი-2, ი. უაიტი-2), 1:3 იგინლა-4 (გლენკროსი-4), 1:4 ო. იოკინენი-3 (იგინლა-3, ჯორდანო-3).

**მინესოტა-ვანკუვერი 5:1**

0:1, 3:0, 2:0

გოლები: 0:1 ჰამჰუისი-1 (ბაროუზი-3, დ. სედინი-10), 1:1 ლატენდრესი-2 (ჟიდლიცკი-3), 2:1 ბუშარი-1 (კულენი-2, სპარჯონი-2), 3:1 სკანდელა-2 (ბროძიაკი-2, ჟილისი-2), 4:1 კულენი-5 (ბუშარი-6, შულცი-1), 5:1 კულენი-6 (სეტოგუჩი-4, ბუშარი-7).

**ფინიქსი-ნეშვილი 0:3**

0:0, 0:2, 0:1

გოლები: 0:1 ბლუმი-1 (ჯოფრიონი-2), 0:2 ჰალიშჩუკი-3 (კ. სმიტი-6), 0:3 ჰორნკვისტი-5 (ლეგუანდი-9, კ. უილსონი-4).

**სან ხოსე-პიტსბურგი 4:3 (ბ)**

0:2, 1:1, 2:0, 0:0

გოლები: 0:1 ენგელანდი-1 (მალკინი-6, სალივანი-4), 0:2 მალკინი-3 (სალივანი-5, ჯ. ნილი-3), 1:2 მარლო-3 (ჰავლატი-6, ვანდერმეერი-2), 1:3 მალკინი-4 (ჯ. ნილი-4, ლეტანგი-11), 2:3 ქლოუ-4 (ჰავლატი-7, დ. ბოილი-6), 3:3 მაკგინი-1 (ჰანძუში-1, დ. ბოილი-7),

ბულიტები გაიტანეს: ქლოუ (სან ხოსე).

**ლოს ანჯელესი-ედმონტონი 0:3**

0:0, 0:2, 0:1

გოლები: 0:1 რ. სმიტი-6 (რ. ჯონსი-3, გილბერტი-3), 0:2 პეტრელი-1 (იგერი-1, ლანდერი-1), 0:3 პოტერი-2 (სემ განიე-2).

● ცურვა. მსოფლიოს თასი

# ტორპედოს მოკრძალებული დაბრუნება

სინგაპურში მსოფლიოს თასის ეტაპზე შედგა ლეგენდარული ავსტრალიელი მოცურავის **იან ტორპის** დიდ სპორტში დაბრუნება. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში თავის პირველ ოფიციალურ სტარტზე „ტორპედომ" მეშვიდე ადგილი დაიკავა.

სინგაპურის ეტაპისთვის დიდი ყურადღება შეიძლება არც მიგვექცია, რომ არა ერთი ადამიანი - იან ტორპი. სწორედ სინგაპურში გადაწყვიტა ხუთგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ცურვაში დაბრუნების შემდეგ პირველი სტარტის გამართვა.

ტორპი გასულ ათწლეულის პირველ ნახევარში საუკეთესო იყო თავისუფალი სტილით ცურვაში 200 და 400 მეტრ დისტანციებზე. მისი კარიერა კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, 23 წლის ასაკში ჯანმრთელობის პრობლემები რომ არ შექმნოდა. 2005 წელს მან გამოტოვა მსოფლიოს ჩემპიონატი, მომდევნო სეზონში დაბრუნება სცადა, მაგრამ ვერ შეძლო და 24 წლის ასაკში დაასრულა სპორტული კარიერა.

2011 წლის თებერვალში ტორპმა დიდ სპორტში დაბრუნების შესახებ სენსაციური განცხადება გააკეთა და მიზნად ლონდონის ოლიმპიადაზე მოხვედრა დაისახა. იანს 2012 წლის თამაშებზე 100 და 200 მეტრზე კროლში გამოსვლის იმედი აქვს, აგრეთვე უნდა ავსტრალიის ნაკრებს ესტაფეტებში დაეხმაროს. მაგრამ ეს მომავალის გეგმებია, სინგაპურში კი მან 100 მეტრი ბატერფლაი და 100 მეტრი კომპლექსი აირჩია.

გუშინ, ავსტრალიელი 100 მეტრი კომპლექსურის ფინალში გამოდიოდა, სადაც მეექვსე შედეგით შევიდა. იანისგან სასწაულს არავინ ელოდა, მით უმეტეს, რომ ეს არ იყო ის დისტანცია, სადაც ის პირველივე ცდაზე ბრწყინვალე შედეგს აჩვენებდა.

გაცურვამ დაგვანახა, რომ ტორპს ჯერ კიდევ ბევრი აქვს სამუშაო. ავსტრალიელმა 100 მეტრი 56,33 წამში გაცურა და მეშვიდე ადგილი დაიკავა. გამარჯვებულ სამხრეთაფრიკელ **ჩად ლე კლოსთან** მან სამ წამზე მეტი წააგო. მიუხედავად ამისა, ნანატრი დაბრუნება შედგა და შეგვიძლია მივულოცოთ ტორპსა და მის მრავალრიცხოვან გულშემატკივარს.



ტორპი ფინიშის შემდეგ

საერთოდ, ავსტრალიელებმა სინგაპურში მრავალრიცხოვანი გუნდი ჩაიყვანეს და სასტარტო ოქმებზე დაკვირვებისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ეს იყო არა მსოფლიოს თასის ეტაპი, არამედ ავსტრალიის ჩემპიონატი. პარასკევს ავსტრალიელებმა 17 ფინალიდან ხუთი მოიგეს.

■ ■ ■

მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში მეოთხე გამარჯვებას უმიზნებს ლეგენდარული შვედი ვეტერანი **ტერეზა ალშამარი**. **მელისა ფრანკლინმა** ბერლინის ეტაპზე მსოფლიოს რეკორდის დამყარებით სერიოზულად გაურთულა საქმე სკანდინაველს, მაგრამ ამერიკელი სინგაპურში არ გამოდის, ასე რომ, ამ ეტაპზე წარმატების შემთხვევაში შვედი შეიძლება გაუთანაბრდეს საერთო ჩათვლაში ფრანკლინს. გუშინ, ალშამარმა სერიოზული განაცხადი გააკეთა საბოლოო წარმატებაზე. 100 მეტრზე ბატერფლაიში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა (56,03 წამი) და 948 ქულა დააგროვა. ის ასევე პირველი იყო 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში.

მამაკაცებს შორის მსოფლიოს თასის ლიდერი **ჩად ლე კლო** აგრძელებს დომინირებას. გუშინ მან სამი გაცურვა მოიგო - 100 და 400 მეტრი კომპლექსში, აგრეთვე 200 მეტრი ბატერფლაით. ამ დისტანციაზე 100 მეტრის შემდეგ ის **კაიო ალმეიდას** მსოფლიოს რეკორდის გრაფიკით ცურავდა, მაგრამ დისტანციის მეორე ნახევარზე სამხრეთაფრიკელმა წააგო მსოფლიო ორიენტირთან, მაგრამ მაინც კარგი შედეგი ჰქონდა - 1.51,05.

დღეს კიდევ 17 ფინალი გაიმართება. იან ტორპი 100 მეტრს ბატერფლაით გაცურავს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი



კირილენკო და კვიტოვა გახსნიან

# დღეს ფინალი იწყება

ფედერაციის თასის ფინალის წინ სერიოზული დანაკლისი განიცადა რუსეთის ნაკრებმა. 5-6 ნოემბერს, მოსკოვში ჩეხეთის ნაკრების წინააღმდეგ ვერ ითამაშებს მსოფლიოს მეექვსე ნომერი **ვერა ზვონარევა**. მის ადგილს ნაკრებში **ელენა ვესნინა** დაიკავებს, რომელიც 57-ე ნომერია ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის რეიტინგში და მე-10 პოზიციაზე იმყოფება წყვილების კლასიფიკაციაში.

ეს უკვე მეორე ცვლილებაა რუსების გუნდში - უფრო ადრე მასპინძლების დამრიგებელმა **შამილ ტარპიშჩევმა ეკატერინა მაკაროვა მარია კირილენკოთი** შეცვალა. საბოლოოდ, რუსების შემადგენლობა ფინალური მატჩისთვის ასე გამოიყურება: **ანასტასია პავლიუჩენკოვა, სვეტლანა კუზნეცოვა**, მარია კირილენკო და ელენა ვესნინა.

ჩეხეთის ნაკრებს ოპტიმალური შემადგენლობა ჰყავს. ამ გუნდს სათავეში უდგას მსოფლიოს მეორე ჩოგანი, ცოტა ხნის წინ წლის შემაჯამებელი ტურნირის ტრიუმფატორი **პეტრა კვიტოვა**. მისი თანაგუნდელები არიან: **ლუსი საფაროვა, ლუსი ჰრადეცკა** და **კვეტა პეშკე**.

რუსეთის ნაკრები ფედერაციის თასის ოთხგზის ჩემპიონია. მისი ბოლო ტრიუმფი 2008 წლით თარიღდება. რაც შეეხება ჩეხეთის ნაკრებს, ეს გუნდი პირველად თამაშობს ამ ტურნირის ფინალში.

■ ■ ■

გუშინ ფინალური მატჩის წილისყრა გაიმართა და გაირკვა ჩოგბურთელთა კორტზე გასვლის განრიგი.

შაბათს, 14 საათზე პირველები დაიწყებენ ბრძოლას რუსების მეორე ნომერი მარია კირილენკო და ჩეხების ლიდერი პეტრა კვიტოვა. მათ შემდეგ სვეტლანა კუზნეცოვა და ლუსი საფაროვა გავლენ კორტზე.

კვირის პირველ მატჩში კუზნეცოვა კვიტოვას შეხვდება, მეორეში კირილენკო - საფაროვას. ბოლო მატჩში წყვილების დაპირისპირება შედგება. რუსების დუეტს ანასტასია პავლიუჩენკოვა და ელენა ვესნინა შეადგენენ, ჩეხებისა - ლუსი ჰრადეცკა და კვეტა პეშკე.

წესების თანახმად, გუნდების კაპიტნებს მატჩების დაწყებიდან ერთი საათით ადრე შეეძლებათ შემადგენლობაში ცვლილების შეტანა.

# 20-მილიონიანი როდიკი

ბაზელის ტურნირის მეორე წრეში ჩეხი **რადეკ შტეპანეკის** დამარცხება მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ამერიკელი **ენდი როდიკისთვის**. ის გახდა მეათე ჩოგბურთელი ისტორიაში, ვინც კორტზე 20 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. როდიკი მეოთხე მოქმედი კალათბურთელია, რომელმაც ამ ზღვარს გადააბიჯა.

*„ჰონორარზე არასოდეს მიფიქრია. რა თქმა უნდა, ფული კომფორტულია, მაგრამ არ მგონია, ვინმე ამას ისახავდეს მიზნად. ჩვენ უფრო მატჩებსა და ტურნირებზე გამარჯვებებზე ვფიქრობთ. ფულზე ფიქრს მაშინ იწყებ, როცა უკვე საკმარისად გაქვს მოგებული ტიტულები"*, - განაცხადა როდიკმა ATP-ის ოფიციალურ ვებგვერდზე.

ყველაზე მდიდარი ჩოგბურთელების საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი | 64 107 721 |
| 2. რაფაელ ნადალი | 43 824 377 |
| 3. პიტ სამპრასი | 43 280 489 |
| 4. ანდრე აგასი | 31 152 975 |
| 5. ნოვაკ ჯოკოვიჩი | 30 872 275 |
| 6. ბორის ბეკერი | 25 080 956 |
| 7. ევგენი კაფელნიკოვი | 23 883 797 |
| 8. ივან ლენდლი | 21 262 417 |
| 9. შტეფან ედბერგი | 20 630 941 |
| 10. ენდი როდიკი | 20 043 099 |



ენდი როდიკი

## სამთო-სათხილამურო სპორტი

# ფინეთში ეტაპი გაუქმდა

ერთ კვირაში ფინეთის კურორტ ლევიში სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ეს სტარტი გააუქმეს თბილი და უთოვლო ამინდის გამო.

შესაბამისი განცხადება ამინდის პროგნოზზე დაყრდნობით ეტაპის დირექტორმა **მიკო საარინენმა** გააკეთა.

■ ■ ■

ამასობაში, მიმდინარე სეზონს გარკვეული ვადით გამოაკლდა სუპერგიგანტში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, იტალიელი **კრისტოფ ინერჰოფერი** - მან ავსტრიაში საწვრთნელი შეკრების დროს ტრასაზე დაცემისას მიიღო ტრავმა.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ მსოფლიოს ჩემპიონმა თავის ქალის ტრავმა მიიღო და მხარი იღრძო. საბედნიეროდ, მოთხილამურეს გონება არ დაუკარგავს და ის უკვე გამოწერეს საავადმყოფოდან. თუმცა ჯერ უცნობია, როდის გააგრძელებს კარიერას იტალიელი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ევრო 2012**

**UNDER 19**

| | |
|---|---|
| უნგრეთი-სან მარინო | 5:0 |
| პორტუგალია-ფარერები | 9:1 |

**ესპანეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კორდობა-ბარსელონა B | 1:1 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| მაინცი-შტუტგარტი | 3:1 |

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ბრაუნშვაიგი-უნიონი | 1:2 |
| ფორტუნა-დინამო | 2:1 |
| კარლსრუე-ინგოლშტადტი | 3:2 |

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| დარმშტადტი-კარლ ცაისი | 3:0 |

**რეგიონალლიგა (სამ)**

| | |
|---|---|
| მემინგენი-აინტრახტი II | 2:4 |
| მიუნხენი II-ბაიერნი (ა) | 3:1 |

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| ვუპერტალი-ლოტე | 1:3 |
| ესენი-ვიდენბრუკი | 1:2 |

**საფრანგეთი**

**III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბეზანსონი-ლე პუარი | 2:1 |
| შერბური-ორლეანი | 1:2 |
| ფრეჟუსი-ლუზენაკი | 0:0 |
| მარტიგი-კევილი | 1:1 |
| რედ სტარი-გფკო აიაჩო | 0:2 |
| რუანი-კოლმარი | 1:1 |
| ვანი-კრეტეი | 3:3 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| ვენლო-ექსელსიორი | 0:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აპელდოორნი-სპარტა | 0:6 |
| ალმერი-დენ ბოში | 1:3 |
| კამბური-მაასტრიხტი | 5:1 |
| ემენი-იგლზი | 3:2 |
| ცვოლე-ვილემი | 1:0 |
| ფორტუნა-ეინდჰოვენი | 0:1 |
| ჰელმონდი-ვეენდამი | 3:2 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| გენტი-მეხელენი | 6:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბრიუსელი-ვიზე | 1:0 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| ფერეირა-გიმარაეში | გვ.დასრულდა |

**დანია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ესბერგი-ფრედერისია | 4:1 |

**ავსტრია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბლაუ ვაისი-ვენა | 4:1 |
| ლუსტენაუ-ჰარტბერგი | 2:2 |
| სტ. პოლტენი-ავსტრია (ლ) | 2:1 |
| გრიოდიგი-ალტახი | 2:1 |
| სტ. ანდრა-ლინცერი | 1:1 |

**საბერძნეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ირაკლისი-ეთნიკოსი (ა) | 0:0 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| სამსუნი-ანკარაგიუჯუ | 2:2 |
| შივასი-ფენერბაჰჩე | 2:0 |

**ირლანდია**

**II დივიზიონი. პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| გალვეი-მონეგანი | 1:3 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ბალა-ებერისტვიტი | 3:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ჰრადეცი-იაბლონეცი | 0:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| იჰლავა-ბრნო | 1:0 |

**რუსეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სკა ენერგია-ურალი | 1:1 |
| ენისეი-ხიმკი | 0:2 |
| ლუჩ ენერგია-გაზოვიკი | 2:1 |
| ნ. ნოვგოროდი-ტორპედო (მ) | 1:0 |
| კამაზ-გაზპრომი | 1:0 |
| მორდოვია-ალანია | 1:2 |
| სიბირი-ფაკელი | 1:2 |
| დინამო (ბრ)-ჩერნომორეცი | 1:0 |
| ტორპედო (ვ)-ბალტიკა | 1:1 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| ზორია-ტავრია | 0:1 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| პოდბესკიძე-გურნიკი | 1:1 |
| პოლონია-ლეხი | 1:0 |

**ხორვატია**

| | |
|---|---|
| ინკერი-სპლიტი | 0:3 |
| სლავენი-რიეკა | 1:0 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| დიორი-ლომბარდ პაპა | 3:2 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| მიოვენი-ჩახლაული | 1:2 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| მინიორი-კალიაკრა | 1:1 |

**აზერბაიჯანი**

| | |
|---|---|
| განჯა-ბაქუ | 1:3 |
| რავანი-შიმურძი | 1:1 |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| ინდეპენდიენტე-მანტა | 3:2 |

**ავსტრალია**

| | |
|---|---|
| ველინგტონი-სენტრალი | 1:2 |
| ადელაიდა-მელბურნი | 1:1 |

### კალათბურთი

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი-ჟალგირისი | 92:75 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| პინარი-ტურკ ტელეკომი | 98:110 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| პო ორტეზი-შოლე | 89:100 |
| ლე მანი-დიჟონი | 68:65 |
| პარიზი-ტულონი | 93:90 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| ს. იულიაევი-ტრაქტორი | 4:0 |
| ცსკა-სპარტაკი | 2:1 |
| აკ ბარსი-ბარისი | 2:3 |
| ატლანტი-მეტალურგი (მ) | 3:2 |
| ნეფტეხიმიკი-ავტომობილისტი | 3:2 |
| სკა-იუგრა | 5:4 (ო) |
| დინამო (მნ)-სევერსტალი | 3:0 |
| დინამო (რ)-ავანგარდი | 1:4 |
| ლევ პოპრადი-ვიტიაზი | 6:3 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ვენა-კლაგენფიურტი | 5:1 |
| ზნოიმო-აკრონი | 6:2 |
| ლინცერი-ვილახი | 2:5 |
| ზაგრები-ზალცბურგი | 5:0 |
| ოლიმპია-ალბა | 2:5 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ინგოლშტადტი-კრეფელდი | 2:3 |
| აუგსბურგი-კიოლნი | 2:1 |
| ვოლფსბურგი-იზერლონი | 3:5 |
| მიუნხენი-დიუსელდორფი | 0:3 |
| ნიურნბერგი-მანჰაიმი | 1:0 (ო) |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-სკალიცა | 4:2 |
| ჟილინა-ნიტრა | 6:2 |
| მარტინი-პოპრადი | 3:1 |
| კოშიცე-ტრენჩინი | 3:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| კალპა-იოკერიტი | 1:2 (ბ) |
| პელიკანსი-იუვიასკიულა | 2:3 (ო) |
| ტაპარა-ლუკო | 2:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-სპარტა | 3:6 |
| ბუდეიოვიცე-პარდუბიცე | 2:5 |
| ჟლინი-ლიტვინოვი | 3:2 |
| კარლოვი ვარი-პლზენი | 4:3 |
| სლავია-ტრშინეცი | 3:2 (ბ) |
| ბრნო-ლიბერეცი | 2:4 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბილი-ლუგანო | 3:0 |
| დავოსი-ფრიბურგი | 4:1 |
| ლანგნაუ-ბერნი | 6:4 |
| სერვეტი-რაპერსვილი | 2:1 |
| ცუგი-კლოტენი | 2:1 |

### ჩოგბურთი

**ATP. ბაზელი**

| | |
|---|---|
| ნიშიკორი-კუკუშკინი | 6:4, 5:7, 6:4 |
| ჯოკოვიჩი-ბაღდატისი | 2:6, 6:2, 6:3 |
| ვავრინკა-ფ. მაიერი | 6:2, 6:2 |
| ფედერერი-როდიკი | 6:3, 6:2 |

**ATP. ვალენსია**

| | |
|---|---|
| მონფილსი-გრანოლერსი | 6:7, 6:3, 4:6 |
| დელ პოტრო-ქუერი | 6:2, 7:5 |
| ფერერი-დავიდენკო | 6:3, 6:4 |
| ფერერო-მონაკო | 3:6, 3:6 |

**WTA. ბალი**

| | |
|---|---|
| მ. გარიგესი-ბარტოლი | 4:6, 7:6, 1:0 უარი |
| ლისიცკი-ჰანტუხოვა | 7:5, 6:2 |

## TV პროგრამა

### 5 ნოემბერი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XII ტური. მაინცი-შტუტგარტი.
**12:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XIII ტურის წინ.
**12:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**13:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**14:00** იტალიის შოუ.
**14:30** ესპანეთის ჩემპიონატი. XII ტურის წინ.
**15:00** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:30** სუპერკოლაჟი.
**16:10** ინგლისის ჩემპიონატი. XI ტურის წინ.
**16:45** ინგლისის ჩემპიონატი. XI ტური. ნიუკასლი-ევერტონი (LIVE).
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XI ტური. მანჩესტერ იუნ-სანდერლენდი (LIVE).
**21:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**21:30** ინგლისის ჩემპიონატი. XI ტური. ქუინზ პარკ რეინჯერსი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
**23:45** იტალიის ჩემპიონატი. XI ტური. ნოვარა-რომა (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**11:35** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
**12:05** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. მემფისი-ოკლაჰომა.
**14:30** გადაცემა - იმედის ფსონი.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ვალენსია. ესპანეთი.
**18:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XII ტური. დორტმუნდი-ვოლფსბურგი (LIVE).
**20:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
**21:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**21:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XII ტური. ლევერკუზენი-ჰამბურგი (LIVE).
**23:25** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ვალენსია. ესპანეთი.
**01:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. XII ტური. ლევანტე-ვალენსია (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ბალი. ინდონეზია (LIVE).
**13:30** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-კაენი.
**15:20** ცურვა. მსოფლიოს თასი. ბერლინი. გერმანია.
**17:20** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მიმოხილვა. ბაზელი. შვეიცარია.
**17:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).
**22:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ბალი. ინდონეზია.
**00:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XIII ტური. ლილი-ევიანი (LIVE).

**I არხი**

**14:00** რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი (LIVE).

### 6 ნოემბერი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XII ტური. ლევანტე-ვალენსია.
**12:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXII ტურის მიმოხილვა.
**12:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**13:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XI ტურის წინ.
**15:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XII ტური. რეალი-ოსასუნა (LIVE).
**17:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XIII ტურის წინ.
**17:30** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**18:00** იტალიის ჩემპიონატი. XI ტური. მილანი-კატანია (LIVE).
**20:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**20:30** გერმანიის ჩემპიონატი. XII ტური. აუგსბურგი-ბაიერნი (LIVE).
**22:30** სუპერკოლაჟი.
**23:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XII ტური. ბილბაო-ბარსელონა (LIVE).
**01:10** არგენტინის ჩემპიონატი. XIV ტური. ველეს სარსფილდი-ბოკა ხუნიორსი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ვალენსია. ესპანეთი.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ჩიკაგო-ატლანტა.
**14:30** გადაცემა - იმედის ფსონი.
**15:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XI ტური. ჯენოა-ინტერი (LIVE).
**17:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**18:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XI ტური. ლაციო-პარმა (LIVE).
**20:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XIII ტური. სოშო-ლიონი (LIVE).
**22:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ბალი. ინდონეზია.
**23:45** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XI ტური. ნაპოლი-იუვენტუსი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**09:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ბალი. ინდონეზია (LIVE).
**13:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-იუვენტუსი.
**15:00** ცურვა. მსოფლიოს თასი. ბერლინი. გერმანია.
**17:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
**17:40** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მიმოხილვა. ბაზელი. შვეიცარია.
**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ვალენსია. ესპანეთი.
**00:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XIII ტური. ბორდო-პსჟ (LIVE).

**I არხი**

**17:55** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ტორპედო-დილა (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირის ბოლოს



თაობათა ცვლა

ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

კალათბურთი

# ახალი რეკორდი ევროლიგაზე

ევროლიგის მესამე ტურში ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. თურქეთის „ფენერბაჰჩესთან“ მატჩში 15 შედეგიანი პასი მიითვალა საფრანგეთის „ნანსის“ ამერიკელმა გამთამაშებელმა **ჯონ ლაინჰენმა**. ეს მთავარი ევროპული საკლუბო ტურნირის აბსოლუტური რეკორდი გახლავთ. თუმცა ლაინჰენის მიღწევამ „ნანსის“ ვერ უშველა და ფრანგულმა კლუბმა წააგო შეხვედრა - 86:90.

წინა რეკორდი „ბენეტონის“ მოთამაშეს - **ტაირუს ედნის** ეკუთვნოდა. ამ კალათბურთელმა 2004 წელს „ოლიმპიაკოსთან“ მატჩში 14 შედეგიანი გადაცემა დააგროვა. 2009 წელს ეს შედეგი ბერძენმა **ტეო პაპალუკასმა** გაიმეორა.

# დღეს მორიგი შეხვედრაა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბების მფლობელები და მოთამაშეთა პროფკავშირები შაბათს განაახლებენ მოლაპარაკებებს და შეეცდებიან ლოკაუტის დასრულებას. მანამდე კი ამერიკულ პრესაში ერთი საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა.

NBA-ის კალათბურთელები და მათი ადვოკატები აქტიურად განიხილავენ პროფკავშირისთვის ლიცენზიის ჩამორთმევის შესაძლებლობას.

ერთ-ერთი წყაროს ცნობით, ამ საქმეში დაახლოებით 50 მოთამაშეა ჩართული. ვარაუდობენ, რომ თუ შაბათის შეხვედრაზე არ შედგა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მოთამაშეები ვერ მიიღებენ საერთო შემოსავლის მინიმუმ 52 პროცენტს, სწორედ ლიცენზიის ჩამორთმევა გახდება შემდეგი ნაბიჯი მფლობელებთან ბრძოლაში.

*„აქ ლაპარაკი არ არის ფიშერისა და ჰანტერის მიმართ უნდობლობაზე. მოთამაშეებს სურთ იცოდნენ, კიდევ რა გზით შეუძლიათ თავიანთი უფლებების დაცვა. თუ ამ უქმეებზე მოლაპარაკებები წარმატებით არ დასრულდება, მათ უკვე იციან, როგორ უნდა გააგრძელონ მოქმედება“*, - ამბობს ინკოგნიტო წყარო.

როგორც ირკვევა, ამ პროცესში ყველაზე მეტად „ბოსტონ სელტიქსის“ ერთ-ერთი ლიდერი **პოლ პირსი** აქტიურობს. მას მხარში უდგანან **დუენ უეიდი, რეი ალენი** და **დუაიტ ჰოვარდი**.



ფიშერს (შუაში) პირსი (მარჯვნივ) ემუქრება

კალათბურთი. ევროლიგა

# რეალის პირველი ნაგება

ჯგუფური ეტაპის მესამე ტური შვიდი შეხვედრით გაგრძელდა და დღეს დასრულდება „პანათინაიკოსისა“ და „ჟალგირისის“ მატჩით.

ქართველი გულშემატკივრების ყურადღებას, პირველ რიგში, „კანტუსა“ და „ბილბაოს“ შეხვედრა იწვევდა და თავიდანვე უნდა ითქვას, რომ იტალიელთა გამარჯვებაში ყველაზე დიდი წვლილი სწორედ ჩვენიანებმა შეიტანეს.

გუნდები თითო მოგებით შეხვდნენ აღნიშნულ შეხვედრას და პრაქტიკულად, ეს იყო თამაში ჯგუფში მეორე ადგილისთვის. „კანტუმ“ გადამწყვეტი დარტყმა მეტოქეს მეორე მეოთხედში მიაყენა, როცა 10-წუთიანი მონაკვეთი რვა ქულით მოიგო და პირველი ტაიმი 11 ქულის სხვაობით დაასრულა.

მეორე ნახევარში „ბილბაომ“ სცადა თამაშში გარდატეხის შეტანა და მატჩის მიწურულს მიუახლოვდა კიდეც „კანტუს“, მაგრამ საფინალო სირენამდე დაახლოებით ერთი წუთით ადრე **მანუჩარ მარკოიშვილმა** საჭირო სამქულიანი ჩააგდო და გადაწყვიტა მატჩის ბედი - 78:69.

მანუჩარმა 12 ქულა დააგროვა, ხოლო „კანტუს“ რიგებში ყველაზე შედეგიანი **გიორგი შერმადინი** იყო 16 ქულით, რასაც ქართველმა ცენტრმა 6 მოხსნაც დაუმატა.

A ჯგუფში პირველ გამარჯვებას მიაღწია თურქეთის „ფენერბაჰჩემ“, რომელმაც შინ საფრანგეთის „ნანსი“ მიიღო.

მასპინძლებს თითქოს იოლად უნდა მოეგოთ ეს შეხვედრა. პირველი ტაიმის შემდეგ თურქების უპირატესობა 21 ქულას შეადგენდა, მაგრამ „ფენებაჰჩემ, როგორც ჩანს, ნაადრევად ირწმუნა გამარჯვება და ამისთვის კინაღამ დაისაჯა.

„ნანსიმ“ **ვიქტორ სამნიკისა** და **ნიკოლა ბატუმის** მონდომებით 12 ქულით მოიგო მესამე მეოთხედი და ბოლო 10-წუთეულის წინ სხვაობა მხოლოდ 9 ქულა იყო. ფრანგებმა ამ ჩამორჩენას კიდევ ხუთი ქულა ჩამოაკლეს, მაგრამ მეტის გასაკეთებლად დრო არ ეყოთ და ოთხი ქულით დამარცხდნენ - 86:90.

■ ■ ■

B ჯგუფის ერთადერთ შეხვედრაში ყველაზე დაძაბული ბრძოლა ვიხილეთ. გერმანიის „ბამბერგი“ საკუთარ მოედანზე ილებდა ესპანეთის „უნიკახას“ და მეორე მეოთხედიდან მოყოლებული, თითქმის სულ მდევრის როლში იყო.

ყველაფერი მატჩის ბოლო წამებზე გადაწყდა. გერმანელთა ამერიკელმა ლეგიონერმა **ბრაიან რობერტსმა** საფინალო სირენამდე 14 წამით ადრე დააწინაურა „ბამბერგი“ - 78:77. საპასუხო შეტევაში „უნიკახას“ ლატვიელმა ლეგიონერმა **ვალტერსმა** სამქულიანი ააცილა, თუმცა შეტევაში მოხსნა და ორი ქულა მიითვალა **ბერნი როდრიგესმა** და წინ გაიყვანა „უნიკახა“.

მასპინძლებს ოთხი წამი რჩებოდათ თამაშის გადასარჩენად. რობერტსმა სროლა მოასწრო, მაგრამ ააცილა და სტუმრებმა ჯგუფში მეორე შეხვედრა მინიმალური ანგარიშით - 79:78 მოიგეს.

■ ■ ■

C ჯგუფში ტურის ცენტრალური შეხვედრა გაიმართა, რომელშიც აქამდე დაუმარცხებელი „რეალი“ თელ-ავივში „მაკაბის“ სტუმრობდა.

ამ მატჩში საუკეთესო იყო „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ყოფილი მცველი **ჯორდან ფარმარი**, რომელმაც „მაკაბის“ 27 ქულა მოუტანა. სწორედ მისი მონდომებით მასპინძლებმა პირველი ტაიმი 5 ქულის სხვაობით მოიგეს. „მაკაბი“ მესამე მეოთხედშიც აკონტროლებდა თამაშის მსვლელობას და თამაშის ეს მონაკვეთი შვიდი ქულით მოიგო, რამაც ბოლო 10-წუთეულის წინ 12 ქულიანი უპირატესობა მოუტანა.

თუმცა „რეალმა“ შეძლო გაბრძოლება და ბოლო მეოთხედში ექვსქულიან უპირატესობასაც მიაღწია, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა თამაშის გადასარჩენად.

„მაკაბიმ“ 88:82 გაიმარჯვა და ქულებით გაუთანაბრდა „სამეფო კლუბს“.

ჯგუფში პირველ გამარჯვებას მიაღწია ბელგრადის „პარტიზანმა“ და სამწუხაროდ, მან **თორნიკე შენგელიას** „შარლერუას“ დამარცხება მოახერხა. ქართველი ფორვარდი ამჯერადაც კარგად გამოიყურებოდა და 16 ქულა შესძინა თავის გუნდს.

პირველ ტაიმში „პარტიზანი“ უკეთესად გამოიყურებოდა და დიდი შესვენებისთვის 8-ქულიან უპირატესობას მიაღწია, მაგრამ მეოთხე მეოთხედში პრაქტიკულად ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწია, რადგან „შარლერუამ“ სამ ქულამდე შეამცირა სხვაობა.

თუმცა ბელგიელებმა მეტის გაკეთება ვერ შეძლეს. სერბებმა ბოლო მეოთხედში ისევ დაიბრუნეს უპირატესობა და საბოლოოდ, 10 ქულით გამარჯვება შეძლეს - 91:81.

C ჯგუფში „რეალსა“ და „მაკაბის“ შეუერთდა „ეფესი“, რომელიც ორი მოგებით ასევე ლიდერთა შორისაა. თურქულმა გრანდმა პრაქტიკულად პირველ მეოთხედში გადაწყვიტა სტუმრად „მილანის“ წინააღმდეგ მატჩის ბედი.

საწყისი 10 წუთი „ეფესმა“ 22:9 მოიგო. მართალია, დარჩენილ სამ მეოთხედს იტალიელები იგებდნენ, მაგრამ ჯამში მხოლოდ ხუთი ქულის გაბათილება მოახერხეს და საბოლოოდ, 54:62 დამარცხდნენ.

„მილანის“ რიგებში მხოლოდ ორი კალათბურთელის გამოყოფა შეიძლება - **გალინარიმ** 12 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა, **ბურუსისის** ანგარიშზე კი ორმაგი დუბლი იყო - 11 ქულა და 10 მოხსნა. „ეფესში“ კი სამი კალათბურთელი გადაცდა 10-ქულიან ზღვარს და მათგან საუკეთესო იყო **ბარაცი** - 16 ქულით.

■ ■ ■

ყველაზე იოლ გამარჯვებას გუშინ ტურნირის ერთ-ერთმა მთავარმა ფავორიტმა - „ბარსელონამ“ მიაღწია, რომელმაც საკალათბურთო გაკვეთილი ჩაუტარა სტუმრად რუსეთის უნიქსს. კატალონელებმა ოთხივე მეოთხედი მოუგეს მეტოქეს და ჯამში ეს უპირატესობა 28-ქულიან სხვაობაში გამოისახა - 93:65.

რუსების ამ განადგურებაში „ბარსას“ თითქმის ყველა წამყვანი კალათბურთელი იღებდა მონაწილეობას. 24 ქულით ყველაზე შედეგიანი იყო სლოვენიელი **ლორბეკი**. შემდეგ მოდიან **ნავარო** 19 ქულით, **მიკელი** - 16-ითა და **მარსელინიო უერტასი** 10 ქულით, რომელმაც ამ მონაგარს რვა პასიც დაუმატა.

## A ჯგუფი

**კანტუ-ბილბაო 78:69**

18:15, 24:16, 18:19, 18:19

კ: შერმადინი (16+6 მოხსნა), ლაუნენი (14), მარკოიშვილი (12), ჩინჩარინი (10+6 პასი), მიჩოვი (9+5 მოხსნა).

ბ: მუმბრუ (20), ბანიჩი (19), ფიშერი (10).

**ფენერბაჰჩე-ნანსი 90:86**

23:17, 32:17, 15:27, 20:25

ფ: სეფოლოშა (19+5 მოხსნა), სავაში (13), გისტი (13), ონანი (13), ბოგდანოვიჩი (11), პეკერი (10).

ნ: სამნიკი (24), ბატუმი (22+6 მოხსნა+6 პასი+4 ჩაჭრა), შულერი (13), მოერმანი (11+15 მოხსნა+4 ჩაჭრა), ლინეჰანი (5+15 პასი).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. კ. ლაბორალი | 3 | 0 | 17 |
| 2. კანტუ | 2 | 1 | 8 |
| 3. ნანსი | 1 | 2 | -1 |
| 4. ფენერბაჰჩე | 1 | 2 | -6 |
| 5. ბილბაო | 1 | 2 | -8 |
| 6. ოლიმპიაკოსი | 1 | 2 | -10 |

## B ჯგუფი

**ბამბერგი-უნიკახა 78:79**

27:22, 11:20, 23:21, 17:16

ბ: რობერტსი (16+4 პასი), სლოტერი (16+6 მოხსნა), ჰაველი (14), ჯენკინსი (14).

უ: ფრილენდი (18+7 მოხსნა), ზორიჩი (13+7 მოხსნა), სინანოვიჩი (11), დარდენი (10), როდრიგესი (8).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 3 | 0 | 75 |
| 2. პანათინაიკოსი | 2 | 0 | 40 |
| 3. უნიკახა | 2 | 1 | -13 |
| 4. ბამბერგი | 1 | 2 | 10 |
| 5. ჟალგირისი | 0 | 2 | -20 |
| 6. ზაგრები | 0 | 3 | -92 |

## C ჯგუფი

**მაკაბი-რეალი 88:82**

21:21, 25:20, 28:21, 14:20

მ: ფარმარი (27+5 პასი), შორცანიდისი (16), ბლუ (16), სმიტი (15+6 მოხსნა).

რ: კეროლი (18), რეიესი (15), ფერნანდესი (13), იბაკა (9+8 მოხსნა).

**პარტიზანი-შარლერუა 91:81**

22:17, 30:27, 21:26, 18:11

პ: ლოუ (26+7 პასი), პეკოვიჩი (21), მაჩვანი (15+6 მოხსნა), მილოსავლევიჩი (14).

შ: მალეტი (19+4 პასი), შენგელია (16), ჰილი (15+9 მოხსნა), რიდიკი (10), უელში (10).

**მილანი-ეფესი 54:62**

9:22, 12:11, 15:14, 18:15

მ: გალინარი (12+8 მოხსნა), ბურუსისი (11+10 მოხსნა).

ე: ბარაცი (16+7 მოხსნა), კინსი (13+8 მოხსნა), ვუიაჩიჩი (12+5 მოხსნა), ილიასოვა (8+9 მოხსნა).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. რეალი | 2 | 1 | 25 |
| 2. ეფესი | 2 | 1 | 18 |
| 3. მაკაბი | 2 | 1 | 3 |
| 4. პარტიზანი | 1 | 2 | -5 |
| 5. მილანი | 1 | 2 | -8 |
| 6. შარლერუა | 1 | 2 | -33 |

## D ჯგუფი

**უნიქსი-ბარსელონა 65:93**

14:23, 18:21, 16:25, 17:24

უ: ლაიდეი (14), ვერემეენკო (11), მაკარტი (10).

ბ: ლორბეკი (24+5 მოხსნა), ნავარო (19+4 პასი), მიკელი (16+6 მოხსნა), მარსელინიო უერტასი (10+8 პასი).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 3 | 0 | 77 |
| 2. მონტეპასკი | 3 | 0 | 56 |
| 3. გალათასარაი | 1 | 2 | -26 |
| 4. უნიქსი | 1 | 2 | -32 |
| 5. ოლიმპია | 1 | 2 | -36 |
| 6. პროკომი | 0 | 3 | -39 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

